

825
1988

ISSN : 0763 - 7247



పత్రాగద

క్వార్టర్లులో వెలిపుచుసి డైరీఎల్యూలో నుండి శుభేందు

వి 40
(15-17)

పాఠాన్ని

N° 15

PARIS

పాఠాన్ని

1988

MARS

დეკანოზ ილია გელიას სარდაცვალება
იური გელია
საქართველოს სამართლის სამსახურის მიერ



20.02.1915 – 15.03.1988



წლიური მიმოხილვა

წინამდებარე გუშაგი პირველია ამ წლისათვის, ამიტომაც „ჩვენი ჩვეულების თანახმად, თავდაპირველად გასული წლის უმნიშვნელოვანების საკაცობრიო ამბების მიმოხილვით გვინდა დავიწყოთ. ასეთი იყო მაგალითად ამერიკის პრეზიდენტი რ. რეიგანისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენ. მდივნის მ. გორბაჩივის ურთიერთობა. 1986 წლის ოქტომბერში ისინი მოსალაპარაკებლად მეორედ ერთმანეთს შეხვდენ ისლანდიის დედაქალაქში. თუმცა ამ ორ უძლიერეს სახელმწიფოს ამ უმაღლესი დონის მოლაპარაკებებს არავითარი კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია, ის მაინც ნაყოფიერი გამოდგა, რადგანაც იქ გამოჩნდა მომავალ შეთანხმებების შესაძლებლობა.

რეიკივიაგის მოლაპარაკების შემდეგ, პირველ დღეებში, ადგილი ჰქონდა მისი ზოგიერთი მომენტების სხვადასხვაგვარ ახსნა-განმარტებას და ნერვიულობას ორივე დელეგაციის მიერ. თვით ამერიკის და მის მოკავშირე დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ წრეებში გაისმა შეშფოთებული ხმები, რომ თითქოს პრეზიდენტი რეიგანი კინალამ შორს არ წავიდა გორბაჩივის მიმართ დათმობის გზაზე. თითქოს ის მზად იყო ეგრეთწოდებული სამმაგი ნულის ხელშეკრულებაზე, რაც საშიშრად დაასუსტებდა დასავლეთ ევროპის თავდაცვას. ეს შიში და გაუგებრობა მალე გაიფანტა. საბჭოთა პროპაგანდამ ტონი შეცვალა საერთოდ კაბიტალისტური დასავლეთის მიმართ და კერძოდ ამერიკის შ. შტატებისა და მისი პრეზიდენტის მიმართ. უენევაში ამერიკის და საბჭოთა კომისიები ატომ-ბირთვული განიარაღებისა სერიოზულად შეუდგა ნიადაგის მომზადებას. განშირდა დიპლომატიური მიმოსვლა კრემლსა და თეთრ სახლს შორის.

ხანგრძლივი ყოყმანისა და „ყი-არა“-ების შემდეგ, წლის ბოლოს (7-10 დეკემბერს) საბჭოთა სახელმწიფოს იერარქიის პირველი ნომერი თეთრ სახლში ეახლა პრეზ. რ. რეიგანს, სადაც მათ, სხვათა შორის, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საშუალო და ახლო რადიუსის (500-1000 კილომეტრი) ბირთვული იარაღის ფრონტებიდან მოხსნისა და მათ უვნებელყოფის შესახებ. ხელშეკრულებაში აგრეთვე გათვალისწინებულია ხელმოწერილი ვალდებულების შესრულების ზუსტი ორმხრივი კონტროლი.

მიხაილ გორბაჩივი ამ ხელშეკრულებით კმაყოფილი უნდა იყოს, რადგანაც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იარაღი განსაკუ-

თორებით აფრთხობს რუსებს იმის გამო, რომ ამერიკის მიერ დასაცლეთ ევროპის ქვეყნებში განლაგებული ეს იარაღი დიდი სიჭრულით სცემს მიზანში და ოღწევს მოსკოვსა და დიდი რუსეთის ტერიტორიას. რაც შეეხება კაცობრიობის საფრთხეს ბირთვული იმის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით ბევრი არაფერი იცვლება, რადგანაც ხელშეკრულებით მწყობრიდან გამოსასვლელი ბირთვული იარაღი მხოლოდ 4-5 პროცენტს შეადგენს არსენალებში დაგროვილ მთელ პოკალიფსურ იარაღისას. ევროპის ფრონტზე კი მდგომარეობა უბრუნდება ამ ათი წლის წინანდელ სტატუს კვლს, როცა ლეონიდ ბრეუნევი დასავლეთს ევროპის უშიშროების ხელშეკრულებით იავნანას უმღეროდა, ხოლო ფარულად დასავლეთ ევროპის კონტინენტს უახლესი ტიპის საშუალო და ახლო მტყორცელ ბირთვულ იარაღს უმიზნებდა, რის აღმოჩენამაც, როგორც ყველასთვის ცნობილია, გამოიწვია „ოტანე“-ის საპასუხო გადაწყვეტილება.

მიუხედავად ზემო თქმულისა, თეორ სახლში ჩატარებულ მოლაპარაკებებს და იქ მიღწეულ ზოგიერთ შეთანხმებებს ჰქონდათ გარკვეული დადებითი მნიშვნელობა მსოფლიოს მშვიდობის საკითხში. მან შექმნა საკმაოდ მტკიცე ნიადაგი მომავალი მოლაპარაკებებისა და შესაძლებელი შეთანხმებებისა, საერთოდ ყოველგვარი შეიარაღების შემცირებისა და განსაკუთრებით ატომ-ბირთვული იმის აკრძალვის საქმეში. ამ გაგებით, გასული წელი დამთავრდა ოდნავი თარიმიზმის სულისკვეთებით. ეს განწყობილება ამ წლის დასაწყისშიც გრძელდება. უენევაში მუშაობას განაგრძობს კომისია, ამჯერად მთელი ბირთვული შეიარაღების ორმოცდათი პროცენტით შემცირების ხელშეკრულების მოსამზადებლად. მაისის ბოლოს ან უგვიანეს ზაფხულისა პრეზიდენტი რეიგანი საპასუხო ვიზიტით უნდა ესტუმროს კრემლს. ამჟამად კი ამ მნიშვნელოვანი შეცვედრის პროტოკოლის მოსამზადებლად მოსკოვსა და ვაშინგტონში მიღი-მოდიან ჯორჯ შულცი და ედუარდ შევარდნაძე. ერთი სიტყვით, არსებობს მშვიდობიანი მორიგების ტენდენცია, თუმცა კი, გულდამშვიდებულობისაკენ მიმავალი გზა ჯერ ძალიან გრძელი და ეკლიანია.

1987-მა წელმა განსაკუთრებით თავი გამოიჩინა საერთაშორისო და შინასახელმწიფოებრივი ტერორით, პოლიტიკური შანტაჟის მიზნით მძეველების აყვანის გახშირებით. მდიდარი და ძლიერი დასავლეთი ხელფეხშებორკილია განსაკუთრებით საერთაშორისო ტერორის მიმართ და იყო ხოლმე სამწუხარო

შემთხვევები ხარკის გაღებისა. გასულმა წელმა ვერ, მოაწვანა ვერცერთი რეგიონული ცხელი თუ ცივი ომი. სისხლუსტეები ბრძოლები არ შეწყვეტილა არც ცენტრალურ ამერიკის ქვეყნებში, არც სამხრეთ აფრიკაში და არც ახლო-აღმოსავლეთში. მდგომარეობა განსაკუთრებით რთული და ფეთქადია ამ უკანასკნელში. გასულმა წელმა გამოამჟღვნა აითოლა ხომეინის ირანის სამხედრო უპირატესობა ერაყის მხედრობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს მატერიალურად, დიპლომატიურად და მორალურად ზურგს უმაგრებს არაბული ქვეყნების დიდი უმრავლესობა და იარაღებს საბჭოთა ხელისუფლება. ერაყის ჯარებს უკირთ ფანატიურად აღგზნებულ მოწინააღმდეგეთა შეკავება. ამერიკელი სამხედრო დამკვირვებლები უკვე აშკარად ლაპარაკობენ ერაყის შესაძლებელ დამარცხებაზე. გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციამ ერთხელ კიდევ გამოამჟღვნა თავისი უძლურება. მან ისიც ვერ შეძლო, რომ ცხოვრებაში გაეტარებია მის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუცია, რომის შეწყვეტის. ამ მის საკითხში განსაკუთრებით საყურადღებოა საბჭოთა კავშირის მაკიაველური პოლიტიკა: საჯაროდ ვითომ ზავის მომხრეა, ჩუმად ორივეს აქტებს, ხოლო, როცა ორმუზის ყურეში ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო არმადები გამოჩდენ, განგაში ასტეხა: არიქა მგლები! მგლები!

ამრიგად, არსებობს საშიშროება, რომ რელიგიური ფანატიზმით დამუხტულმა ირანშა დაამხოს ერაყის მოსოციალისტო ტოტალიტარული რეჟიმი და მისი რევოლუცია გააგრძელოს საუდის არაბეთზე და არაბულ საემიროებზე. ეს კი შეიძლება დამღუპველი გამოდგეს საერთოდ დემოკრატიულ სამყაროსათვი, მისი ეპონომიკისა და სტრატეგიისათვის.

კაცობრიობის ყურადღება ამჟამად განსაკუთრებით მიპყრობილია ისრაელისაკენ, სადაც არაბი მოსახლეობა საპაროტესტო მანიფესტაციებით გამოდის და ხშირად ძალადობასაც მიმართავს წესრიგის დამცველთა მიმართ. ისრაელის ხელისუფლება იძულებულია წესრიგის აღსაღენად ჯარი გამოიყენოს. ჯარი ამ მისისათვის მოწოდებული არაა და არც მომზადებული. ის პროვოკაციებს მკაცრი რეპრესიებით პასუხობს, რაც ყოველდღიურად იწვევს მსხვერპლს. მსხვერპლთა შორის არიან ქალები და ბავშვები, რაც განსაკუთრებით აღელვებს მსოფლიო საზო-

გალებას და, ახლო წარსულში რასიზმისა და გენოციდის მსხვერპლ ებრაელობას, ახლა თვით მას უკიუნებენ იგივე ბრალდებენ. მხედრობა ათეული წლის წინად ცაპალად წოდებულმა პატარი ისრაელის მხედრობამ ბრძოლის ველზე წამოაჩინა გოლიათ არაბების მხედრობა, რასაც მოჰყვა ეგვიპტის პრეზიდენტი ანუარ ელ სადათის თეატრალური შერიგება ისრაელთან და „კემპ დევიდის“ საზავო მოლაპარაკება, რომელშიც ამერიკის პრეზიდენტი შუამავლის როლს თამაშობდა. ისრაელს შეექნა იშვიათად ხელსაყრელი შემთხვევა, რომ უაღრესად ძნელად მოსაგვარებელი პალესტინის პრობლემა მის სასარგებლოდ პოლიტიკურად მოეგვარებია, რა თქმა უნდა, ზოგიერთი დათმობებით. მაგრამ ისრაელის ხელისუფლებამ სათანადო ენერგია და დიპლომატია არ გამოიჩინა, ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ხოლო დრო, როგორც ახლა ჩანს, ისრაელის სასარგებლოდ არ მუშაობდა.

პრემიერ მინისტრ ბეგინის უცნაურ პირობებში გადადგომის შემდეგ, ისრაელის კოალიციურ მთავრობაში თავს იჩენს ურთიერთ საწინააღმდეგო საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რაც მას ასუსტებს და ბორკავს. ერთნი მომხრენი არიან დაპყრობილი ტერიტორიის კოლონიზაციის, მეორენი – წინააღმდეგნი; ერთნი მომხრენი არიან საერთაშორისო კონფერენციის, მეორენი კი ერთგული „კემპ დევიდის“ პოლიტიკის. პალესტინელთა აჯანყების ორგანიზატორთა მიზანიც, ჩვენი აზრით, ისაა, რომ ისრაელის მთავრობის მერყევი პოლიტიკა გადაწონოს საერთაშორისო კონფერენციის სასარგებლოდ და საბოლოოდ გამოითხოვს „კემპ დევიდის“ პოლიტიკას. საერთაშორისო კონფერენცია სამართლიანად აშინებს ისრაელის ბეჭის გულშემატკივრებს. მომავალი ბუნდოვანია, დღეს კი, პალესტინაში გაჩაღებული ცეცხლიდან შემწვარ წაბლს პალესტინელი იასერ არაფატი, სირიელი ჰაფუზი ასაღი, სპარსი აითოლა ხომეინი და რუსი მიხაილ გორბაჩივი იღებენ.

სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს ავღანეთში. ცხრა წლის განმავლობაში იქ წარმოებული დაუნდობელი ომის შემდეგ, დღეს ცხადია, რომ კრემლმა ვერ შეძლო ამ ქვეყნის „გასაბჭოება“: ავღანელ პატრიოტთა ალაგმა, სტაბილური კომუნისტური რეჟიმის დაფუძნება. პირიქით, „უძლეველი“ წითელი არმია სამარცვინო დამარცხების საშიშროების რეალურ საფრთხის წინაშე დგას. საბჭოთა მხედრობა და საზოგადოებრივი აზრი დემორალიზებულია, მ. გორბაჩივის საერთა-

შორისო მშვიდობის ფიცს დასავლეთი ვერ ირწმუნებს და გვერცხული მის სამეცნიერო განცხადებებს—არაბ-მუსულმანური ქვეყნები შეინარჩუნავს სანამ საბჭოთა უზარმაზარი არმია ავღანეთში იმყოფება და ომობს. ყველაფერი მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ საბჭოთა მთავრობას სურდეს თავი დააღმინის ავღანეთის ხაფანგს, რაც შეიძლება მალე იქიდან ჯარები გაიყვანოს. თითქოს ამ ანალიზს ადასტურებს მ. გორბაჩივის საჯარო განცხადება ამ წლის რვა თებერვლის თარიღით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა, ავღანეთიდან მისი ჯარების ევაკუაცია დაიწყოს **15** მაისიდან და დაამთავროს ათი თვის განმავლობაში იმ პირობით, თუ უენევაში **15** გარტამდე ხელმოწერილი იქნება შეთანხმება პაკისტანისა და ქაბულის კომუნისტურ მთავრობებს შორის. როგორც ცნობილია, უენევაში ეს მოლაპარაკება კარგა ხანია, რაც მიმღინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს შუამაგლობით. მ. გორბაჩივის განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია: „დღეს-დღეობით უენევის მოლაპარაკებაზე თითქმის დამთავრებულია იმ დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც მოწესრიგების ყველა მხარეს მოიცავს“—ო. ჩენოვის ეს დოკუმენტები უცნობია და, მაშასადამე, არც ხელშეკრულების პროექტზე მსჯელობა შეგვიძლია. ამჟამად ცნობილია, რომ ავღანეთის წინააღმდეგობის პარტიათა კოალიცია უარს ამბობს დროებით მთავრობაში ითანამშრომლოს საბჭოთა მთავრობის მიერ დაყენებულ კომუნისტურ რეჟიმთან, ხოლო პაკისტანის მთავრობა კი მოიხოვს, რომ სანამ საბჭოთა ჯარების ევაკუაცია დაიწყებოდეს, მანამდე მოხდეს შეთანხმება დროებითი მთავრობის შესახებო. მ. გორბაჩივი წინააღმდეგია პაკისტანის მთავრობის ამ საფუძვლიანი წინადადების, იმ მოტივით, რომ თითქოს ეს იქნება ავღანელი ხალხის სუვერენულ უფლებებში გარედან ჩარევაო. (ხედავთ როგორი დამცველია ხალხთა უფლებების!!!)

ჯერ საბოლოო სიტყვა არცერთ მხრიდან არაა თქმული. შესაძლებელია: მ. გორბაჩივის მიერ წამოყენებული კალენდარი ზუსტად ვერ იქნას დაცული, მაგრამ ავღანეთიდან წითელი არმიის გაყვანა დღის წესრიგში რომ არის, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თვით საბჭოთა კავშირშიც დაიწყეს ამისთვის საზოგადოებრივი აზრის მომზადება.

რამდენიმე სიტყვა საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობაზეც. როგორც გუშაგის უკანასკნელ ნომერში აღინიშნა, საბჭოთა კავში-

ჩში გასული წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა ოდნავი გაუმჯობესება თავისუფლების სფეროში. ოფიციალურმა პრესამ (თავისუფლადობის კბლავ აკრძალულია!) ელფერი იცვალა, უფრო საინტერესო გახდა. ფილმები და პიესები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მაყურებლის სულიერ მოთხოვნილებას და უფრო კეთილსინდისიერად წარმოადგენენ სიუჟეტებს, ისტორიულ თუ თანამედროვე თემებზე. ცნობილი სამართალდამცველები, პიროვნულად და აღმინისტრაციული წესით, პატიმრობილან გაანთავისუფლეს. მ. გორბაჩივის დაპირება: ისტორიის რეაბილიტაციის, მისი თეთრი გვერდების შევსების შესახებ, პრაქტიკულად გამოხატა სტალინის კრიმინალურ დანაშაულთა ზოგიერთი ეპიზოდის დაგმობაში. კერძოდ, რეაბილიტირებული იქნენ ნიკოლა ბუხარინი, ალექსი რიკოვი და მათთან ერთად 1938 წელს, მოსკოვში, საჯაროდ გასამართლებული და დახვრეტილი ორი ათეული ცნობილი კომუნისტი.

ბევრს ლაპარაკობდენ ეკონომიკის გარდაქმნაზე. გრძელდებოდა ოჯახური და ბრიგადული საიჯარო სისტემების დანერგვა. დაკანონდა კომპერაციული და ინდივიდუალური სამომსახურებლო წამოწყებები. ახალი წლიდან სახელმწიფო მეურნეობათა ერთი-მესამედი საფინანსო ავტონომიაზე გადადის, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ წარმოება წამგებიანია, ის შეძლება დაიხუროს. ყველა ეს გორბაჩივისული „სიახლენი“ ეკონომიკაში ცხადია, რომ აღიარებაა საბჭოთა რეალური სოციალიზმის გაკოტრების, მოასწავებს კაპიტალისტური წესისაკენ მორცევ დაბრუნებას, თუმცა ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდა იხტიბარს არ იტეხს და წინააღმდეგს უმტკიცებს ხალხს. ჯერჯერობით ამ რეფორმების შედეგი ნოლია. არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დონეს არცერთ სფეროში: არც სურსათის, არც ჩატარების, არც ბინის, არც სანიტარული და არც სამედიცინო მომსახურეობისაში. მ. გორბაჩივის გენერალური მდიდრების სამი წლისთავის ანგარიში ისეთი უნუგეშოა, რომ იგი მეტად გავლენიანმა მემარცხენე ფრანგულმა გაზეთმა „ლე მონდ“-მა თავის მოშინავე სტატიაში ასე და-ახასიათა: „ხელისუფლებაში მოსელის სამი წლისთავზე ბ-ნი მ. გორბაჩივი ვერ დაიქადებს, რომ მის იალქნებს ზურგქარი უბერავდეს... შავი ღრუბლები გროვდება განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის შიგნითა პორიზონტებზე. ნაციონალიზმი, რომელმაც კავკასიაში იიფება, რეეიმს აყენებს საშიშ და რთულ კრიზისის წინაშე... სამი წლ-

ის ჭიდილის შემდეგ ეკონომიკის რეკონსტრუქცია, რომელიც ჯერ კიდევ პროექტის მდგომარეობაშია, აწყდება პრაქტიკული განწყობილების და თვით სახელმწიფო პაპარატის წინააღმდეგობებს. საბჭოთა მოქალაქენი მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში, არამც თუ გაუმჯობესებას ვერ ხედავენ, არამედ კიდევ ახალი საზრუნავიც გაუჩნდათ მოსალოდნელი ცხოვრების დონის კიდევ უფრო შემცირების და სამუშაოს დაკარგვის საშიშროები-საგან ("ლე მონდ", 12.03. 1988.)

ინტერნაციონალიზმის აშკარა მარცხი

ინტერნაციონალიზმად წოდებული საბჭოთა იმპერიის ეროვნული პოლიტიკის მწვავე კრიზისის დამალვა, მ. გორბაჩოვის მიერ საერთაშორისო ურთიერთობაში წარმოებულ კარების გაღების პოლიტიკის პირობებში, შეუძლებელი ხდება. მსოფლიო საზოგადოებამ გაიგო ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათას სისხლიანი გამოსვლები და რეპრესიები, რომელსაც მოჰყვა გადასახლებაში მყოფ ყირიმელ თათრების პათეტიური დემონსტრაციები კრემლის შინ, რომლებიც თავიანთ საშობლოში დაბრუნების ნებას თხოულობენ და ბალტიის პირეთის რესპუბლიკების: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი-პატრიოტული მანიფესტაციები, რომლებიც გმობენ 1939 წლის რიბენტორის-მოლოტოვის მუხანათურ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზედაც საბჭოთა წითელმა არმიამ უკუპაცია უქმნა ამ დამოუკიდებელ ქვეყნებს.

თებერვლის ბოლოსა და მარტის პირველ რიცხვებში განსაკუთრებულად უჩვეულო და ტრაგიკულ ამბებს ჰქონდა ადგილი ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში. დასავლეთში ჯერ ცნობილი გახდა სომხების მასიური დემონსტრაციები ერევანში, რომლებიც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შემაგალ მთის ყარაბაღის ოლქის სომხეთის რესპუბლიკასთან შეერთებას მოითხოვდენ. შემდეგ კი თანდათან გამოირვა, რომ 28 თებერვლიდან მოყოლებული, ბაქეთის მახლობლად მდებარე ქალაქ სუმგაითში და აზერბაიჯანის სხვა ადგილებშიც ადგილი ჰქონდა სომხეთის მოსახლეობის პოვრომებს. ბოლოს და ბოლოს საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა უწესრიგობის ფაქტი ელიარებია და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მოიკლა 32 კაცი, მათ შორის, ქალები და ბავშვები, და დაიჭრა 60-70 კაცით. სხვა მხრით მოსული ცნობები კი გაცილებით მეტ მსხვერილს ასახელებენ. პოლიცია უძლური გამოდგა, წესრიგის აღსაღენად

ხელისუფლებამ მიმართა საალყო წესებს, ჯარი შეიყვანა ქართული სტატუსი, ბაქები, მთიან ყარაბაღლა და მლელგარების სხვა უძირიში ში. მ. გორბაჩივი იძულებული გახდა წინა ხაზზე გასულიყო, საჯაროდ პირობა დაედგა, რომ ერთი თვის განმავლობაში მოაგვარებდა სომხებისა და აზერბაიჯანების განხეთქილების საკითხებს, მაგრამ ჯერჯერობით გაფიცვები, მანიფესტაციები და უწესრიგობა არ ცხრება. 9 მარტს ს.კ.პ. ცენტრალური კომიტეტის სპეციალური თათბირი გაიმართა სომებ-აზერთა კრიზისის თაობაზე. ოფიციალურ კომუნიკებში, სხვათა შორის, ნათქვამია: „...ვითარება ამ რესპუბლიკებში ნორმალურ კალაპოტში დგება, თუმცა გვლავ არის სირთულენი...“ მაშასადამე, ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო წესრიგი მთლიანად აღდგენილი.

მ. გორბაჩივი აღბათ მართალია, როცა ის აცხადებს: ერევნის მანიფესტაციები კითხვის ქვეშ არ აყენებდენ არც საბჭოთა წეს-წყობილებას და არც სოციალიზმს. სომხები ისეთი ბრივები არ არიან, რომ ორი საომარი ფრონტი გახსნან ერთდროულად. ისინი დღეს კრემლიდან იმედობენ მხარის დაჭრას, მაგრამ თუ მათ ეს იმედი გაუცრუვდათ, მაშინ მათი ჩატარები სულ სხვა იქნება. თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, მაშ სხვა ვინაა დამნაშავე სომებ-აზერთა დღევანდელი შუღლისა? ვინ დააწესა სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთა საზღვრები? კრემლის ხაზებინებმა. ჰყოთ-ხეს განა რამე ამის შესახებ თვით დაინტერესებულ სომებ და აზერ ხალხებს? განა მათი ისტორიული უფლებები მხედველობაში იქნა მიღებული? რა თქმა უნდა, რომ არა!

მიუხედავათ ამისა, გონიერება მოითხოვდა, რომ სომხებსა და აზერებს ამ უკიდურესობისათვის არ მიემართათ, რომლის შემდეგაც ამ ორი ხალხის თანაარსებობა შეუძლებელი ხდება. ეს სავალალო დარბევები სასტიკად ვნებს კავკასიის კველა ერის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და სუვერენობას. სომებ-თათართა ანტაგონიზმი ჩვენ უშუალოდ და განსაკუთრებით გვეხება. ჩვენს ქვეყანაში მასიურად გვერდიგვერდ ცხოვრობენ სომხები და თათრები. ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოშიც მდგომარეობა უაღრესად დაძაბულია და რომ ყოველ წუთში შესაძლებელია იფეთქოს მტრობისა და შურისძიების ჯოჯონეთურმა ხანდარმა.

ამ სამწუხარო ფაქტიდან ერთია უდავო: მან ერთხელ და სამუდამოდ საჯაროდ ნიღაბი ახადა საბჭოთა სისტემის ინტერნაციონა-



უიზმის მითს, მისი ძლევამოსილების ილუზიებს.

რეაბილიტაცია და ოცდახუთი თებერვალი

ჩვენ ვიმყოფებით ზუსტად ჩვენი ქვეყნის დაპყრობის 67 წლის-თავზე, რის გამოც ამ ხნის განმავლობაში ქართველ მამულიშვილთა გულთ სისხლი უონავს და თვალთ ურემლი სდით. ამ ხნის განმავლობაში ქართველი კაცის კაცობა, მისი თავმოყვარეობა არამარტო იმითაა შელახული და დამცირებული, რომ ის მასზე ძლიერმა მტერმა ბრძოლის ველზე, დაამარცხა და დამორჩილება აიძულა, არამედ კიდევ უფრო მეტად იმიტომ, რომ გამარჯვებული მტერი, ეროვნული მოსპობის მუქარით, მას აიძულებს თეთრს შავი უძახოს და, პირიქით, შავს თეთრი, დაპყრობას – განთავისუფლება, განთავისუფლებას კი – დაპყრობა; მამულს შეწირულნი მამულის მტრებად გამოაცხადოს, ხოლო მართლა მტრები და მოღალატენი – გმირებადა და პატრიოტებად.

თითქოსდა განვეხმა იძია შური. მან საბჭოთა საზოგადოება ისეთ წუმბესა და ჩიხში შეაგდო, რომ იქიდან თავის დასაღწევად საბჭოთა ხელისუფლება იძულებულია სიტყვებსა და ფაქტებს პატივი სცესი; სამართლიან მოთხოვნებს ანგარიში გაუწიოს, ისტორიული სიმართლე აღადგინოს და მონაჩრიანი დაამდაბლ-გააქარწყოლს. თუ ეს მორიგი ინი და თაღლითობა არაა, ასე უნდა გავიგოთ მიხეილ გორგაძეობის დაჟინებული მოწოდება: გარდაქმნაზე, საჯაროობაზე, დემოკრატიაციაზე და... ისტორიის რეაბილიტაციაზე.

ქართველი ერის უყანასკნელ 70 წლის ისტორიას ორი უმნიშვნელოვანესი თარიღი აქვს: პირველია 1918 წლის 26 მაისი, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა და თვითხელმწიფება გამოცხადდა, ხოლო მეორე კი – 1921 წლის 25 თებერვალი, როცა საბჭოთა რუსეთმა ივი დაამხო. ქართველი ხალხისთვის მისი ისტორიის რეაბილიტაცია ნიშნავს, უპირველესად ამ ორი მთავარი თარიღის რეაბილიტაციას, ესე ივი მათ შესახებ სიმართლის აღიარებას.

საბჭოთა რეჟიმის თვითგაშმენდა, მონანიება ქართველი ხალხის წინაშე აქედან უნდა დაიწყოს და არა სტალინ-ბერიას დაგმობითა და მათ მსხვერპლ ბოლშევიკ ლიდერთა რეაბილიტაციით.



ვალენტინა ფაილოძის
განთავისუფლება

გასული წლის უკანასკნელ დღეებში შევიტყვეთ ქ-ნ ვალენტინა ფაილოძის ხანგრძლივი პარიმრობიდან განთავისუფლება, რასაც ჩვენ ვესალმებით და სიხარულით ვაუწყებთ ჩვენს საზოგადოებას.

ქ-ნი ვალენტინა ცნობილია ჩვენი მკითხველებისთვის. მოკლედ აღნიშვნავთ მაინც მისი ბიოგრაფიის მთავარ მომენტებს.

ქ-ნი ვ. ფაილოძე გახლავთ ქართული სამართლდაცვითი მოძრაობის-ერის, ადამიანის და სინდისის უფლებათა დაცვის – მტკიცე და უშიშარი მებრძოლი მანდილისანი, რის გულის-თვისაც მან საბჭოთა დამსჯელი ორგანოების უწყვეტი და მკაცრი დევნა-შევიწროება-პატიმრობა გადაიტანა ამ უკანასკნელი 15 - 16 წლის განმავლობაში. იგი დაბადებული უნდა იყოს 1923 წელში. საშუალო სასწავლებლის შემდეგ სწავლობდა კონსერვატორიაში. გათხოვილია. ჰყავს სამი შვილი. სანამ კაგებე დევნას დაუწყებდა, ის სვეტიცხოვლის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა და თანაც ლიტურგიას ასწავლიდა. აქედან გასაგებია, რომ მან კარგად იცოდა თუ რა უმსგავსობანი და ბოროტმოქმედებანი ხდებოდა საქართველოს ეკლესიის საპატრიიარქოში, განსაკუთრებით კათალიკოს ეფრემ მეორის გარდაცვალების შემდეგ, როცა ბოროტმოქმედებმა გატეხეს საპატრიიარქო, იქიდან გაიტაცეს დიდძალი საეკლესიო საუნჯე, სეიფიდან გამოიტანეს და გადააკეთეს გარდაცვლილი პარიიარქის ანდერძი, რის წყალობითაც ბოროტმოქმედთა ხროვამ ხელში ჩაიგდო საპატრიიარქო. ვ. ფაილოძემ ვაჟკაცურად ამხილა უშუალო ბოროტმოქმედნი და მათი წამქეზებელ-ხელის შემწყობი „კაგებე“. აქედან იწყება მისი გოლგოთა. 1974 წელში ვ. ფაილოძე გაასამართლეს „კაგებეს“ მიერ შეკოწიწებულ ბრალდების მიხედვით და მიუსაჯეს წლინახევრის პატიმრობა. განთავისუფლების შემდეგ ვ. ფაილოძე აგრძელებს მოღვაწეობას ადამიანის უფლებათა და ჰელსინკის ხელშეკრულობათა დაცვის ქართულ ჯგუფში ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და სხვებთან ერთად. არაერთი გაჩერეკებისა და დაკითხვების შემდეგ, 1978 წელში

ვალენტინა ფაილოძეს ისევ პატიმრებენ და, ჩვენს მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით, მას თბილისში ასამართლებდენ იმავე ჭლიში ივლისის პირველ რიცხვებში, როგორც ჰელინიკის შეთანხმების შესრულებისათვის მეთვალყურე ჯგუფის აქტივისტს. სასამართლოს განახენი ჩვენთვის უცნობია. როგორც ჩანს, პოლიციურმა დევნაპატიმრობამ კიდევ უფრო განამტკიცა მასში გადაწყვეტილება, განავრძოს ბრძოლა გაბატონებულ უსამართლობის წინააღმდეგ, ერთსა და აღმიანის უფლებათა დასაცავად. უკანასკნელად, კაგებეს მიერ შეთითხნილ ბრალდებებით, ვ. ფაილოძეს ასამართლებს თბილისის სასამართლო **1983** წლის მარტში და მას უსჯის რვა წლის პატიმრობას და შემდეგ ხუთი წლით გადასაზღებას.

უნდა ვიცოდეთ, რომ, როგორც ვ. ფაილოძის, ისე მის ბედში მყოფ პოლიტპატიმრების განთავისუფლება ხდება საყოველთაო ამნისტიის გარეშე, ინდივიდუალურად აღმინისტრატიული წესით. მათი მდგომარეობა გარეთ ბევრით არ განსხვავდება პატიმრობისაგან. კაგებე საზოგადოებასა და მათ შორის აგებს გადაულახავ ზღუდეს.

ვალენტინა ფაილოძის განთავისუფლების შემდეგ, შორეულ ციტირის გულაგებში იტანჯებიან ცნობილი პატრიოტები: გურამ გოგბაიძე და ბორის კაკუბავა.

გურამ გოგბაიძე

1984 წლის 15 თებერვალს, თბილისში გამართულმა სასამართლომ გურამ გოგბაიძეს მიუსაჯა ოთხი წლის პატიმრობა. ის გაასამართლეს ზაქარია ლაშქარაშვილთან და ტარიელ ღვინიაშვილთან ერთად, როგორც: „საქართველოს ეროვნული განთავისუფლების პარტიის“ ორგანიზატორები. გ. გოგბაიძეს სასამართლოზე თავი ღორსეულად ეკირა. მან თავი დამნაშავედ არ ცნო. გ. გოგბაიძე დაბადებულია **1949** წელში, ცხოვრობდა ქ. რუსთავში, ცოლშვილიანია, განთალებით ეკონომისტი. ძმები: თენგიზ და ელუარდ გუდავები ასე ახასიათებენ მას: „გურამ გოგბაიძე მთელს პერმის ბანაკში ცნობილი იყო, როგორც უაღრესად ძლიერი პიროვნება, რომლის სიმტკიცესთან შეჯახებისას იმსხვრეობდა მეციზოგნეთა ყველა ზრახვები. გ. გოგბაიძე გამუდმებით მონაწილეობდა საპროტესტო გაფიცებებსა და შიმშილობებში, რის გამოც მას თითქმის არ უშვებდნენ ბანაკის ციხიდან და საჯარიმო იზოლატორებიდან. არ გევონოთ, რომ ეს ფუჭი ბრძოლა იყოს, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს.

ეს ბრძოლა თვალნათლივ ანახვებს ციხეთა მსახურთ პოლიტიკური პატიმრის თავგამოდებას და აძლევს მათ ბოროტებასთან წინამდობარებულ ვი გამარჯვების მაგალითებს. ლირსეულად და ამაყად ატარებს გურამ გოგბაიძე პოლიტიკური ტუსალის მძიმე ჯვარს.“

ბორის კაკუბავა

1987 წლის 12 დეკემბრის თარიღით, მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ შემდეგი წერილით მიმართეს იურისტთა საერთაშორისო ასოციაციასას და მსოფლიო საზოგადოებრიობას:

„ცეკვე მეცხრე წელია, აღმოსავლეთ ციმბირში მდებარე კრასნიიარსკის მხარის საკონცენტრაციო ბანაკში იტანჯება საქართველოში ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი, ქალაქ გაგრის მცხოვრები ბორის კაკუბავა. იგი გაბედულად ამხელდა ადამიანის უფლებების დარღვევებსა და სხვა უკანონო მოქმედებებს ე. წ.
„აფხაზეთის აგტონომიურ ს. ს. რესპუბლიკაში“; გამოდიოდა ქართული მოსახლეობის დევნა-შევიწროებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მოსახლეობისა, რომელიც განიცდის ე. წ. „საკადრო აპარტეიდს“ და რომელსაც ართმევენ თავის ეროვნულ უფლებებს.

ბ. კაკუბავამ, ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლ აქტივისტ ა. მარკოზიასთან ერთად, მოაწყო მრავალათასიანი მანიფესტაცია და მიტინგი გაგრის სტადიონზე **1978 წლის 3 სექტემბერს**. იგი გამოვიდა აფხაზეთში ქართველთა დევნის, ხელისუფლების მიერ აფხაზებსა და ქართველებს შორის მტრობის გაღვივების წინააღმდეგ: ამხელდა ქართველების წინააღმდეგ წარმოებულ ტერორისტულ პოლიტიკას, ქართული ენის დევნას. კაკუბავა გამოდიოდა საქართველოს ს. ს. რ. ხელმძღვანელთა პასიური და ოპორტუნისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც, მოსკოვისადმი შიშის გამო, ყოველმხრივ ხელს უშყობდა სუსლოვ-გულიას შოვინისტურ-რუსიფიკატორულ ბრძოს თარეშს. ამ ბრძოს მიზნად ჰქონდა დასახული აფხაზეთიდან ყველა ქართველის გასახლება და აფხაზეთის შეერთება რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან.

ბორის კაკუბავა ხორცის კომბინატში მუშაობდა ვეტერინარიად და ამდენად ის არ იყო მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. იგი **1978 წელს** დააპატიმრეს, თითქოსდა „სოციალისტური ქონების დატაცებისათვის“. არც ჭევიზიის აქტი, არც სასამართლო-ბუღალტერუ-



ლი ექსპერტიზა არ ამტკიცებს მის დანაშაულს. უფრო მეტრციალი დასტურდა, რომ 1977 წლის 4 თებერვლიდან 1978 წლის 1 მარტი მუშაობდა სოხუმის ხორცის კომბინატში. თუმცა მის წინააღმდეგ შეკოშიშებულ „საქმე-ში“ ნათელად მან ამ პერიოდში ხორცის კომბინატში შექმნა „დანაშაულობრივი ჯგუფი და მითვისა 84 ათასი მანეთი“. სინამდვილეში, ეს თანხა ხორცის კომბინატმა გადაურიცხა ტიხორეცის საბჭოთა მეურნეობას და ღლებები მის ანგარიშზე იჩიცხება. მიუხედავად იმისა, რომ კაკუბავა უდანაშაულობა, მას 14 წლით პატიმრობა მიესაჯა მკაცრი რეჟიმის საპატიმრო ბანაკებში მოხდით.

კაკუბავას საქმეში ადგილი ჰქონდა იმდენად უხეშ საპროცესუალო და კანონის სხვა დარღვევებს, რომ საქართველოს ს. ს. რ.-ის უმაღლესი სასამართლო იძულებული გახდა, 1981 წლის 6 აპრილს, გაუქმებია განაჩენი და ალირებია კაკუბავა უდანაშაულობა. საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობათა და აგრეთვე კაგებედან დაინტერესებულ პირთა ჩარევის შედეგად კაკუბავა პატიმრობიდან არ გაანთავისუფლეს. იგი ციხეში ყავდათ მოთავსებული სანქციის გარეშე სამი თვის განმავლობაში. შემდეგ, კაგებესა და უმაღლეს ინსტანციათა დაწოლის შედეგად, უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა: განაჩენის გაუქმებიდან სამი თვის შემდეგ, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ისევ აღადგინა ძალაში ძველი განაჩენი უდანაშაულო აღამიანის წინააღმდეგ, ანუ 14 წლით მკაცრი რეჟიმის ბანაკებში პატიმრობა და ის სასჯელის მოსახლელად შორეულ ციმბირში გადააგზავნეს, მაშინ როცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი განაწესის თანახმად, სახელმწიფო ქონების ყველაზე დიდი დამტკიცებლებიც კი თავიანთ სასჯელს საცხოვრებელი ბინისდა მიხედვით, თავიანთვე რესპუბლიკებში იხდიან.

ასე მოუწყეს ანგარიშსწორება მცარეწლოვან შვილების მამას, რომელთაც საკუთარი თავშესაფარიც კი არ გააჩნიათ. ჩვენ მოვუწოდებთ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციას, კეთილი ნების ყველა აღამიანებს, რომ გამოვიდენ ბორის კაკუბავას დასაცავად და მოითხოვონ საბჭოთა ხელისუფლებისაგან არაკანონიერი განაჩენის გაუქმება და პატიმრობიდან კაკუბავას განთავისუფლება.“

ამ მიმართვა-მოწოდებაში ყველაფერია თქმული ბ. კაკუბავაზე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

[ეს-ეს არის, რაც ბ-ნ თენგიზ გუდავასაგან მივიღეთ, უკავშირი წლის 11 დეკემბერს, თბილისში დაარსებული ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პროგრამისა და წესდების ტექსტი რუსულ ენაზე, რომლის სიტყვა-სიტყვით თარგმანს ქვემოდ გთავაზობთ. ჩ.]

„1987 წ. 11 დეკემბერს, ქ. თბილისში შედგა ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოების (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება) დამფუძნებელი კრება. მასში მონაწილეობა მიიღო საზოგადოების 41 -მა აქტივისტმა. კრება დაიწყო ლოცვით, რომელიც მიჰყავდა იღუმენ მიხეილს. 13 საათსა და 15 წუთზე გიორგი ჭანტურიამ გახსნა კრება, რომელმაც განიხილა საზოგადოების პროგრამისა და წესდების პროექტები, რის შესახებ გაიმართა ცხოველი კამათი. მიღებული იქნა შემდეგი პროგრამა და წესდება.

პროგრამა

პრეამბულა.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ გაერთიანებას, რომლის მიზანია:—დაცვა ქართველი ერის ინტერესებისა და უფლებებისა, ზრუნვა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესანახად და ეროვნული თვითშეგნების განსამტკიცებლად.

ჩვენი საზოგადოების სამი წმინდათა წმინდა პრინციპია: ენა, სამშობლო, სარწმუნოება. ამ პრინციპებს იცავდენ ქართველები, რომლებიც ილია ჭავჭავაძემდე ცხოვრობდნენ, ამ პრინციპების დაცვას მოახმარა მთელი თავისი სიცოცხლე და თვით თავიც შესწირა დიდა ილიამ.; და დღესაც ენა, სამშობლო და სარწმუნოება ჩვენი უპირველესი საზრუნავია.

მუხლი 1. ქართველის ერთადერთი სამშობლო საქართველოა. ამიტომ საქართველო უნდა დარჩეს ქართველთა ქვეყნად.

ჩვენ ცენტრ საქართველოს არაქართველ მოსახლეობის უფლებებს, მაგრამ ეთნიური ჯგუფების რიცხვთა ხელოვნურმა ცვლილებებმა ზიანი არ უნდა მიაყენოს ქართველ ერს.

და .

- მუხლი 2.** ყველა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საქართველოს მომავალთან, უნდა წყდებოდნენ ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებითა და სურვილით.
- მუხლი 3.** ყველა პროექტები, რომლებიც ემუქრებიან საქართველოს ბუნებას, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, ანდა პოტენციურად შეუძლიათ დემოგრაფიული ცვლილებების გაგამოშვევა, უნდა იქნენ გამოტანილი მთელი საქართველოს მასშტაბით საჯაროდ განსახილველად.
- მუხლი 4.** მესხებს, ინგილოებს და მონოფიზიტ ქართველებს უნდა დაუბრუნდეთ ქართული ეროვნულობა, გვარები და ყველა სხვა უფლებები.
- მუხლი 5.** საქართველოს მოსახლეობის შორის საჭიროა გავრცელება ეროვნულ-პატრიოტული ლიტერატურის და ეროვნულ გმირთა პოპულირება.
- მუხლი 6.** უნდა გატარდეს უმაღლესი განათლების რეფორმა.
- მუხლი 7.** უნდა განმტკიცდეს კონსტიტუციურად ქართული ენა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა.
- მუხლი 8.** ქართულ სკოლებში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის სწავლებას. ყველა ამ საგნებს პირველადისა და სამართლებრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ჩვენ სკოლებში.
- მუხლი 9.** ქართული ენის ცოდნა საგალდებულო უნდა იყოს იმათთვის, ვინც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებიან.
- მუხლი 10.** უნდა აღდგენილიქნას საქართველოს ყველა ქალაქებისა და სოფლების ნამდვილი სახელები.
- მუხლი 11.** საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები, რომელთაც ეხებათ ჯარში გაწვევა, სამხედრო სამსახურს უნდა გადიოდენ საქართველოს ტერიტორიაზე.
- მუხლი 12.** ყველა პატიმარები, რომლებიც საქართველოში არიან გასამართლებულნი, სასჯელს საქართველოში უნდა იხდიდნენ.
- მუხლი 13.** საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სიტყვის და კრების თავისუფლება, ადამიანის უფლებათა დაცვა. უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი გაგება პუმანიტარული საკითხებისა და რომ სსრკ -ამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა დეკლარაციას და პელსინგის ხელშეკრულებას, საიდანაც გამომდინარეობს, რომ საბჭო-

- თა კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს საერთაშორისო უფლების ნორმათა თანახმად.
- მუხლი 14.** ხელისუფლება უნდა მიყვებოდეს სსრკ კომიტეტურის სტატიებს სახელში იფოდან ეკლესიის გამოყოფის შესახებ, არ ცდილობდეს გავლენის მოხდენას და ხელის შეშლას ეკლესიის საქმეებში.
- მუხლი 15.** აუცილებლად საჭიროა საეკლესიო სასამართლოს აღდგენა.
- მუხლი 16.** ეკლესიებს უნდა მიეცეთ უფლება თავის ნება-სურვილზე თავისუფლად გახსნან სალოცავები და მონასტრები.
- მუხლი 17.** ეკლესიებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ საკუთარი გამომცემლობა
- მუხლი 18.** ეკლესიებს უნდა მიეცეთ უფლება საკვირაო სკოლების დაარსებისა.
- მუხლი 19.** აუცილებლად საჭიროა აღდგენა ეკლესიის უფლებისა მოწყალების აქციის საწარმოებლად.
- მუხლი 20.** აუცილებლად საჭიროა ეკლესიებს დაუბრუნდეთ სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული ქონება.
- მუხლი 21.** უნდა გაუქმდეს სიკვდილით დასჯა.

წესდება

1. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება წარმოადგენს ქართველი ხალხის პატრიოტულ გაერთიანებას, რომლის მიზანს წარმოადგენს ქართველი ერის უფლებების დაცვა, ზრუნვა კულტურულ მემკვიდრეობაზე, მასებში ეროვნული შეგნების გაღვივება და განმტკიცება.
2. ჩვენი საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს ყველა, ვისთვისაც ძვირდასია ჩვენი ეროვნული ღირებულებანი, დამოუკიდებლად სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, ეროვნებისა, ხნისა, ქონებრივი მდგომარეობისა და სოციალური წარმოშობისა, ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობისა, ოფიციალურ კანონმდებლობასთან დამოკიდებულებისა.
3. საზოგადოების უზენაესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც უნდა ტარდებოდეს ერთხელ წელიწადში, ხოლო კრებათა შო-

რის – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა.

4. საზოგადოებას აქვს თავისი საინფორმაციო უწყება „შოთა რეზონა“ საზოგადოების ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენს აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ეურნალი „მატიანე“.
5. საზოგადოება უნდა მოქმედებდეს პერიფერიებშიც. ამ მიზნით უნდა შეიქმნას საზოგადოების ფილიალები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. სასურველია, რომ საქართველოს საზღვრებსა და შეიქმნას ფილიალები.
6. საზოგადოება იყოფა სექტიებად და თითოეული წევრი საზოგადოებისა ვალდებულია შევიდეს, ამა თუ იმ სექტიაში. სექტის კრებები ტარდება ცალკე ერთხელ ივეში.
7. ყველა სადაო საკითხი წყდება კენჭის ყრით, უმცირესობა ემორჩილება უმრავლესობას.
8. ყოველი წევრი საზოგადოებისა იხდის ყოველთვიურ საწევროს.
9. საზოგადოების ფულად ფონდს შეადგენენ საწევრო გადასახადები და აგრეთვე შემოწირულებები, რომელსაც განაგებს მოლარე, რომელიც საზოგადოების გამგეობის სავალდებულო წევრია.
10. საზოგადოებიდან გამოსვლა ისე თავისუფალია, როგორც შესვლა.
11. ახალი წევრის მიღება საზოგადოებაში წარმოებს მხოლოდ საზოგადოების ნამდვილი წევრის რეკომენდაციით.
12. განსაკუთრებულ შემთხვევებში გამგეობას უფლება აქვს საზოგადოებიდან გარიცხოს ულირი წევრი
13. გამგეობას უფლება აქვს, საერთო კრების გარეშეც, შეცვალოს ან განაახლოს თავისი შემადგენლობა.
14. საერთო კრების ან გამგეობის გადაწყვეტილება სავალდებულოა საზოგადოების ყველა წევრისათვის.
15. წესდების შეცვლის, რომელიმე მუხლის გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ საზოგადოების საერთო კრებას.

საზოგადოებას შემდეგი სექტიები აქვს: 1. საექლესიო საქმეების, 2. ეროვნული უფლებების დაცვის, 3. კულტურულ-ეკოლოგიური, 4. ადამიანის უფლებათა დაცვის, 5. თავისუფალი პროფესიულების.

გამგეობის წევრები: მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ხუსუნა-შვილი, ჯანელიძე, ირაკლი წერეთელი, გიორგი კანტურია.

თბილისში საზოგადოება ითვლის 300 წევრს. ფილიალებია: ქუთა-ისში, ბათუმში, სოხუმში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

მინისტრი

ს.კ.კ.კ. ცენტ. კომიტეტის გენ. მდივანს მ. ს. გორგაშვილს;
ს.ს.ს.რ.კ.პ.ც.კ. პირველ მდივანს ჭ. პატიაშვილს

მსურს გაცნობოთ, რომ გარდაქმნის ეპოქაში კაგებე გარდაიქმნა ჩემს ოჯახზე ფსიქოლოგიური დაწოლისა და ტერორის ახალ მეომ-დებზე, „პედაგოგების“ საფარქვეშ ამოფარებული აგნტების მეშვე-ობით.

მიმღინარე წლის სექტემბერში, გვაიძულეს გამოგვეყვანა ჩეენი შვილები სკოლიდან, სადაც მათ ემუქრებოდა სულიერი და ფიზიკუ-რი გახეიბრება და იქნებ გასწორებაც კი, რაზეც ჩეენ არაორაზრ-ოვნად მიგვითოთა ერთერთმა პედაგოგმა. ეს მოულოდნელობა არ იქნებოდა ასე ვთქვათ,- „სანიმუშო სკოლებში“, სადაც დაჭრა და დანობანა მოსწავლეთა შორის არც ისე იშვიათ მოვლენას წარმო-ადგენს. ეს, ჩეენის აზრით, აღზრდის დახვეწილი მეთოდების ღირ-სეულ შედეგს წარმოადგენს. სახ. უშიშროების კომიტეტი არაერ-თხელ დამმუქრებია უშუალოდ ჩემი შვილებისადმი გასწორებით, ჯერ კიდევ პატიმრობაში ჩემი ყოფნის ღროს. იგი მათ იყენებდა მძევლებად, ჩემი სამართალდაცვითი მოღვაწეობისათვის. ამის შე-სახებ, 1977 წელს, პატიმრობაში ყოფნის ღროს, დაგწერე განცხა-დება. მასში ვამხელი კაგებეს თანამშრომლებს, რომლებიც მემუქ-რებოდნენ. ამ განცხადებაში მე მათ ჯალათ ბერიასა და რუხაძეს ვადარებდი (იხილეთ გამსახურდიასა და კოსტავას საქმე №131, სა-ქართველოს კაგებეს არქივში).

ჩემი განთავისუფლების შემდეგ შანტაჟი გრძელდება, რამაც თა-ვის კულმინაციურ წერტილს 1983 წელს მიაღწია, როცა ქ. თბილი-სის 51-ე საშუალო სკოლის „პედაგოგმა“ უშუუნა ასათიანმა, სკოლ-ის დირექტორის ხელშეწყობით, იწყო ჩემი 1976 წელს დაბადებული უფროსი ვაჟის— ცოტნეს დევნა. მან თანაკლასელებს აუკრძალა მა-სთან ლაპარაკი. იგი ცოტნეს ადანაშაულებდა ანტირუსულ, ანტისტა-ლინურ გამონათქვამებში, აქეზებდა მის წინააღმდეგ თანაკლასელე-ბსა და მათ მშობლებს. ისინი აწარმოებდნენ ჩემი შვილის კოლე-ქტიურ ცემას. ასე, რომ ფიზიკური ტრავმებისა და ნერვულ გაღი-ზიანებათა შედეგად, ჩემი შვილი 1985 წლიდან დაავადდა ნერვუ-ლი სისტემის მძიმე ავადმყოფობით, რომლის დიაგნოზი ფალსიფიცი-რებული იქნა საავადმყოფოში. ახლა ჩეენ იძულებული ვართ მას *

***** სახლში ვასწავლოთ. ვიორგის, მეორე-უმცროს ვაჟს, 1979 წელს დაბადებულს, მსგავსად ექცევიან თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში. იქ ახდენენ მის ყოველმხრივ იზოლირებას, უკრძალავან მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მასთან ლაპარაქს. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ ბავშვის ტრამვირებას. შვიდი წლის ბავშვს უწყობენ დაკითხვებს პოლიტიკურ თემებზე და სხვა ამის მსგავსს, რის შედეგად ბავშვმა შეიძულა სკოლა. ჩვენ ნშირად მიგვიმართავს ამ სკოლების დირექტორების, განათლების სამინისტროს რაიონულ განყოფილების, საქართველოს კ. პ. ცენტრ. კომიტეტისადმი, მაგრამ ისინი არავითარ ზომებს არ ღებულობენ. აშკარაა, რომ დაწესებულება, რომელსაც მეტი ძალა და გავლენა გააჩნია, საიდუმლოდ ხელმძღვანელობდა აღნიშნულ აქციებს და პედაგოგები დაუსჯელი რჩებოდნენ. დღესავით ნათელია, რომ ყველაფერი ეს კეთდება ჩემზე და ჩემს ოჯახზე დაწოლის გაძლიერების მიზნით, რისი მსხვერპლი ხდებიან უდანაშაულო ბავშვები. მათ ელით საშინაო პატიმრობა, სკოლას ჩამოშორება, თავიანთ თანატოლებთან ყველა სახის კავშირის გაწყვეტა. თუმცა აქვე მსურს შევნიშნო, რომ ჩემს შვილებთან ამგვარ მოყრობაში არაფერია ახალი. ასევე ეპყრობოდნენ ცნობილ სამართლდამცველის ანატოლი კორიაგინის შვილებსაც და სხვა პოლიტპარტიმართა შვილებსაც, განსაკუთრებით პროვინციებში.

აღმაშენოთებელია ის, რომ ყველაფერი ეს ჩემი შვილების წინააღმდეგ დღემდე გრძელდება. ნუთუ გარდაქმნა და დემოკრატიზაცია მათვების უნდა ნიშნავდეს სკოლიდან მოწყვეტას, საბინაო პატიმრობას, სულიერ და ფიზიკურ დახეიბრებას?

აი ასეთი სამარცხევინო საშუალებებით ცდილობენ მაიძულონ, რომ ემიგრაციაში წაგიდე საკუთარი სამშობლოდან. ამის შესახებ უშუალოდ გამაფრთხილა მიმინიარე წლის გაზაფხულზე კაგებეს წარმომადგენერელმა. მთელი ჩემი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობს, რომ მხარს ვუჭრ საჯარობასა და საზოგადოების დემოკრატიზაციას. ადგილობრივი ხელისუფალნი არ პასუხობენ ჩემს განტადებებზე და უკან გვიბრუნებენ დოკუმენტებს. ჩვენ ყველას მივმართეთ, მათ შორის საქ. კომპარტიის ც. კომიტეტსაც, მაგრამ უშედეგოდ.

მოვითხოვთ თქვენს ჩარევას, რომ მოგვცენ ოფიციალური განმარტება, პედაგოგების ამგვარ მოქმედებათა თაობაზე. მოვითხოვთ სკოლაში ბავშთა ხელშეუხლებლობის წერილობით გარანტიას,

მათი დოკუმენტების დაბრუნებას. მსურს შევახსენო ყველა უცნობი მომართვები ახლობებზე შურისძიება, მითუმეტეს ბავშვებზე ტანჯტის ასტრიული ბის გზით, წარსულის სამარტვინო გაღმონაშოთა. ამას მიმართავ-დნენ ყველაზე სისხლიანი აღმოსავლეთის დესპოტები. სტალინიზმის ამოსაძირკვად მხოლოდ სიტყვები არაა საკმარისი. უპირველესად ყოვლისა საჭიროა მსგავსი მოვლენების ამოძირკვა.

ყველაფერ ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ყველაზე მოწინავე, ჰუმანურ, დემოკრატიულ, მითუმეტეს, გარდაქმნილ ქვეყანაში.

პასუხს ველი უახლოეს მომავალში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკიდურეს ზომებს მივმართავ.

1987 წლის 10 ნოემბერი

ზეიად გამსახურდია

* * *

„უკიდურესი ზომა“

ზ. გამსახურდიამ, როგორც ჩანს, პასუხი ვერ მიიღო მისი მიმართვის ადრესატებისაგან, თუ პასუხად არ ჩავთვლით მის წინააღმდეგ ლაშქრობას, რომელიც გაზრდობა „კომუნისტმა“ გააჩაღა მის 28 თებერვლის, 5 მარტისა და 6-ს ნომრებში, სათაურით: „შეიცან თავი შენი“. პირველი პუბლიკაცია, რომელსაც ხელს აწერს ვინმე დემურ იოსელიანი, თუ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში არაა მთლიანად შედგენილი, მისგან მაინცაა ნაკარნახები.

„კომუნისტის“ მთელ ამ ლაშქრობასაც უჩინარი დირიქორის ბეჭედი აზის. როგორ გვაგონებს იგი ამ ათი წლის წინააღმდელ იგივე გაზეთის თავდასხმებს, რომელიც სულ ცოტათი წინ უსწრებდა ზეიად გამსახურდისა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებას. ეს პარალელი იწვევს საფუძვლიან შეშფოთებას ამ მრავალნატანჯ მამულიშვილთა ბედზე.

პრესის უხეშმა თავდასხმებმა, რომელზედაც პასუხის გაცემის უფლებაც არ გააჩნია, და პოლიციურმა დევნამ (პროკურატურაში გამოძახებები, მოსკოვში მგზავრობის აკრძალვა) ზეიად გამსახურდია აიძულა მართლაც უკიდურეს ზომისთვის მიემართა. მან 11 მარტს შიმშილით გაფიცვა გამოატადა. მას სხვა გზა არ დაუტოვეს და იძულებული გახადეს, რომ საფრთხეში ჩააგდოს საკუთარი სიცოცხლე. რა თქმა უნდა, რომ ამ მძიმე წუთებში მთელი ჩვენი სიმპატია მის მხარეზეა.

გაზეთ „კომუნისტზე“ და მის რედაქტორზე კი ჩვენ შემდეგი



შენიშვნები გვაქვს: 1. ოქვენი ე. წ. კორესპონდენციები ზე გვაქვთ მარტის 15-ის ხურდიას უკიცინებენ იმ სისუსტეზე, რომელიც მან ამ თავის წლის შემთხვევაში გამოიჩინა და ნაწილობრივი მონაცემის განცხადება გააკეთა. ასეთი მანევრი ახლა შეცდომაში ვეღარავის შეიყვანს. სხვები რომ დაივიწყონ, სულ ახლად რეაბილიტირებული ნიკოლა ბუხარინის და მასთან ერთად დახვრეტილ ოცნებების შემთხვევაში გახსენებაც საკეთო იმის გასაგებად, თუ როგორ ხდება და რა ფასი აქვს საბჭოთა სასამართლოებში გაცემებულ მონაცემების განცხადებებს. 2. ბ-ნი ნუგზარ ფოტხაძე რომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად დაინიშნა, მის შესახებ ჩვენს ემიგრაციაში დადგინდით შეხედულება გამოითქვა. ეს აზრი გაამაგრა თვით გაზეთის შინაარსობრივი გადახალისების, ცხოვრებასთან უფრო მიახლოების ნიშნებმა. ახლა კი, ზვიად გამსახურდიას მიმართ გამოჩენილი უსამართლოების შედეგად, ჩვენს აღძრულ იმედებს ცივი წყალი გადაევლო. დემოკრატიული პრესის ელემენტარული, მაგრამ დიდი მნიშვნელობის, მოთხოვნაა, რომ მან უზრუნველყოს პიროვნება ცილისწამებებისა და დაუმსახურებელი, ბოროტი თავდასხმებისგან. ეს მოთხოვნა რომ განახორციელოს, პრესა ვალდებულია, როცა ის მის ფურცლებზე ადგილს უთმობს ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ, არამც თუ თავდასხმებს, არამედ უწყინარ კრიტიკასაც კი, რომ დაზარალებულს იქვე პასუხის გაცემის საშუალება მისცეს. „კომუნისტის“ კითხვისას გვექმნება შთაბეჭილება: ხელ-ფეხგაყოჭილი ზვიად გამსახურდია მიწაზე დაუგდიათ და უღირსებო ადამიანები მას წილებით სცემენ და სცემენ. ეს კი დღევანდელ საბჭოთა ხელისუფლებას დემოკრატიულობის შარავანდედს ვერ მოჰყენს.

რას ემართებიან მაინც ზ. გამსახურდიას? ის თავად ბომბებს არ აფეთქებს და არც სხვას მოუწოდებს ტერორიზმისა და აჯანყებისაკენ. ძველ, წარსულ ამბებს? მაგრამ ამისთვის ის უკვე გასამართლებული და დასჯილი იქნა. ახლა შვილების გამოყვანას სკოლიდან? ეს მშობლების ხელშეუხები უფლებაა: ასწავლონ ან არ ასწავლონ იქ, სადაც მათ უნდათ. ზ. გამსახურდიას მოთხოვნა სრულიად სამართლიანია: შვილები უნდა იზრდებოდენ მშობლების სიყვარულისა და პატივისცემის ატმოსფეროში და არამც და არამც დაპირისპირებისა და ათვალწუნებისაში.

აჩება ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომელიც ზ. გამსახურდი-

ას, მერაბ კოსტავას და სხვა მათ თანამოაზრებს დაუბრუნებული, რომლის მიზანი და პროგრამა აქვე ზემოღაა დაბეჭდილი. როგორც მკითხველი დაინახავს, მასში არაფერი არაა ისეთი, რაც საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდეს. მათ განუზრახა-ავთ ქართველი ერის უფლებებისა და ინტერესების დაცვა, რაც ბუნებრივად ყველა ქართველის არსებობის მიზანი უნდა იყოს, ხოლო ის, ვინც გადაგვარებულია, მასზე დიდებულმა აკაკიმ ბრძანა:

გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია! -ო.
* * *

თ ე ნ გ ი ზ დ ა ე დ უ ა რ დ გ უ დ ა ვ ე ბ ი ს წ ე რ ი ლ ი

ამ დღეებში ჩვენ დავუკავშირდით ტელეფონით თბილისს, ველაპარა-კეთ ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას, გ. ჭანტურიას და სხვებს. გახარებული არიან, რომ საზოგარებელის ქართული საზოგადოებე-ბი მათ მხარს დაუჭერენ. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ დროს ხელისუფლებამ გააძლიერა, გორბაჩინის დროისათვის უჩვეულო, თავ-დასხმები ქართველ სამართალდამცველებსა და პატრიოტებზე. თქვენ უაჭველად იცით, რომ გაზეთ „კომუნისტში“ ზედიზედ სამჯერ დაი-ბეჭდა სტატიები, რომლებიც „საზოგადოებრივ აზრს“ მობილიზაცი-ისაკენ მოუწოდებენ ქართველ ეროვნულ აქტივისტების გამსახურდი-ასა და კოსტავაზე ანგარიშის გასასწორებლად. ეს მეტად შემაშ-ფოთებელი სიგნალია, რაც მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვე-ბული.

ამ მარტს ზ. გამსახურდია, რომელიც მოსკოვში მიემგზავრებო-და პრეს-კლუბ „გლასნოსტის“ მიერ ორგანიზებულ ეროვნულ საკით-ხების სემინარზე დასასწრებლად, - მატარებლიდან მოხსნეს. მერაბსა და ზვიაძს მოსდით ჩელიანი პროცესის პროცესატურაში გამოცხადების უწყებები... **11** მარტს, ხელისუფალთა დევნის საპროცესოდ, ზვი-ად გამსახურდიამ შიმშილობა გამოატადა. დღეს, **13** მარტს, მერაბ კოსტავამ შემდეგი განცხადებით მიმართა ქართველ ხალხს:

„მიმღინარე წლის **11** მარტს, ქართველმა სამართალდამ-ცველმა და საქართველოში ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებელმა

ზვიად გამსახურდიამ საშიმშილო გაფიცვა გამოაცხადა, როსკენი
ზეზებია შემდეგი: 10 მარტს მილიციისა და კაგებეს თანამდებობის
შპა იგი №14 მატარებელში დაკავეს, იქნდან გორის სადგურში
ჩამოსვეს და სპეციალური ავტომობილით თბილისში დაბრუნეს.
ამით მათ არ მისცეს ზვიადს მოსკოვში ჩასვლისა და სამართალ-
დაცვითი სემინარის ეროვნული სექციის მუშაობაში მონაწილეობის
მიღების საშუალება. ამ სემინარს „პრეს-კლუბი გლოსნოსტი“ აწყო-
ბდა. მილიციისა და კაგებეს თანამშრომელთა თქმით, მოსკოვიდან
მიღებულია ტელეფონოგრამა ზრდანებისა, რომ დაეკავებინათ და
მატარებლიდან ჩამოესვათ გამსახურდია. ვფიქრობ, რომ მის ადგილ-
ზე მეც იგივე მელოდა. მითუმეტეს, რომ მეორე დღეს ორივემ მი-
ვიღეთ უწყება პროცესურატურაში გამოცხადების შესახებ, სადაც
ჩენ, პროცესტის ნიშნად, არ გამოვცხადდით.

ასევე ჩამოსვეს მატარებლიდან სომეხი სამართალდამცველი პარუიკ
აირიკიანი, ხარკოვში – ჰენრიხ ალტუნიანი და ბალტიისპირელი სა-
მართალდამცველები.

მსგავს მოქმედებებს აღრეც ჰქონდა ადგილი ეროვნულ სექციის
მუშაობის დროს. ეს გასაგებიყაა, რადგან ამ სემინარზე გარდუვა-
ლია განხილვა, რუსეთის მხრიდან საბჭოთა კავშირის დანარჩენ-
ებს პუბლიკათა მიმართ უხეში ჩარევისა და იძულებისა, მათი გა-
ერთიანებისა და გასაბჭოების შემდეგ, აგრეთვე რუსიფიკაციისა და
ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციის ფაქტებისა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც გადაადგილებათა უფლების
მსგავსი დარღვევა წარმოადგენს ჰელსინკის შეთანხმების და ადა-
მიანის უფლებათა დარღვის სხვა დეკლარაციებისა და პაქტების აშ-
კარა დარღვევას.

ამასთან დაკავშირებით, მივმართავ ქართველ ხალხს, აგრეთვე
საქართველოში მცხოვრები თანამგრძნობი არაქართული მოსახლეობის
წარმომადგენლებს, მოწოდებით, რომ საშიმშილო გაფიცვის გა-
რკვეულ ეტაპზე შესცვალონ ზვიად გამსახურდია და ამით აწარ-
მონ ხანგრძლივი ჯაჭვური საშიმშილო გაფიცვა, რომელიც არ
შეწყდება მანამდე, სანამ შესრულებული არ იქნება შემდეგი მო-
თხოვნები: 1. სამუდამოდ გაუქმდეს აკრძალვა საბჭოთა კავშირში
თავისუფალ გადაადგილებაზე, როგორც სამართალდაცვითი ეროვ-
ნული სემინარების დროს, ასევე სხვა შემთხვევებშიც.
2. პრესაში ცილისმწამებლური ან სხვა სახის თავდასხმათა შემ-



თხვევაში, მიეცეს ნებისმიერ მოქალაქეს თვითდაცვის უფლებაზე აგე გაზითის ფურცელებზე.

3. დაუყოვნებლივ იქნას გადაწყვეტილი ყველაზე საჭირობორო ეროვნული საკითხები. შეწყდეს ტრანსკავკასიის რეინიგზის შენებლობა.

4. გადატანილი იქნას საზღვრისპირა შლაგბაუმი აწყურიდან ვარძიის მიღმა და, ამით, გაუქმდეს საქართველოში ეს,- ასე ვთქვათ,- „ბერლინის კედელი“, რაც ფაქტიურად აშორებს სამხრეთ ჯავახეთის ქართულ მიწას დანარჩენ საქართველოსაგან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპეციალური საშვის გარეშე ქართველებს აკრძალული აქვთ იქ მგზავრობა, მაშინ, როცა სომხეთიდან, ლენინაკანის გზით, იქ შესვლისათვის არავითარი საშვი არ არის საჭირო.

5. დაუყოვნებლივ გაუქმდეს მინაძე-ჰესის, აგრეთვე ბუდომ-ჰესის პროექტები და სხვა ჰიდროელექტროსადგურებისა და წყალსაცავების მშენებლობა, რომლებიც ეკოლოგიურად მომაკვდინებელია საქართველოსათვის.

6. დაუყოვნებლივ იქნას განთავისუფლებული აფხაზეთში მცხოვრები ქართველთა კონსტიტუციურ უფლებათა დამცველი ბორის კაკუბავა. შეწყდეს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა დევნა.

7. აღდგენილ იქნას 26 მაისის სახალხო დღესასწაული – 1918 წელს რუსეთის იმპერიიდან საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების დღე, მითუმეტეს, რომ ამ დღესასწაულს აღნიშნავდნენ სამი წლის მანძილზე – 1921 - 24 წლებში. “

გამოხმაურება. მერაბ კოსტავას ამ განცხადებას კომენტარი არ ესაჭიროება. უამისოდაც ცხადია, რომ ის ღიღმნი-შვნელოვანი ღოკუმენტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიზნებთან და ამოცანებთან ერთად. დარწმუნებული ვართ, რომ ეროვნული ემიგრაციის ყველა ცოცხალი უჯრედი მხურვალედ გამოეხმაურება მათ, გაამხნევებს, ხელს შეუწყობს.

გუშაგი



დ ე მ თ კ რ ა ტ ი ზ ა ც ი ი ს უ გ უ ე ბ ლ ი შ ა ნ ი რ ა ც ე ბ ლ ი
ს ი ს ტ ა ც ე ბ ლ ი ს ი ს ტ ა ც ე ბ ლ ი

საბჭოთა რეჟიმი ვერა და ვერ ეგუება საზოგადოების დემოკრატიული ცივიას, კერძო ინიციატივასა და თვითმოქმედებას. ამის ორი დამახასიათებელი მაგალითია საქართველოში დამოუკიდებელი გამომცემლობის აკრძალვა და შოთა რუსთაველის ნებაყოფლობითი საზოგადოების ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება.

I. დამოუკიდებელი გამომცემლობა

„ფრანს-პრესის“ სააგენტომ 5 თებერვალს მოსკოვიდან გადმოსცა საქართველოში დამოუკიდებელი გამომცემლობის აკრძალვის ცნობა, რომელიც ფრანგულ გაზეთ „ლე მონდ“-ში უფრო დეტალურად დააზუსტა, მისმა მოსკოველმა კორესპონდენტმა სილვი კაუფმანმა.

(იხ. „ლე მონდ“ 6.II.1988.), რომლის მიხედვითაც ქართვის ინტელექტუალების ერთმა ჯგუფმა განიზრახა კოოპერაციის წესით კერძო გამომცემლობის დაარსება. ამ მიზნით შეაგროვეს და ბანკში შეიტანეს 5000 მანეთი, თბილისის ქალაქის საბჭოსან მიიღეს ნებართვა. მათ უკვე გამოსაცემად ჰქონიათ მომზადებული ორი წიგნი, საქართველოს ისტორიის შესახებ და ნებართვაც მიღებული „გლავლიტის“ (ოფიციალური გამოცემის სანებართვო დაწესებულება)-ს მაგან. მაგრამ მოსკოვიდან ბრძანება მოსულა გამომცემლობის აკრძალვისა.

როცა ამ საკითხზე დასავლეთის უზრნალისტები შეეკითხენ, გენადი გერასიმოვმა (საგარეო საქმეთა სამინისტროს პორტპაროლი) აკრძალვა დაადასტურა და დასძინა: ნებართვა კერძო კოოპერატივების შესახებ, ბეჭვდით გამომცემლობებზე არ ვრცელდება. მან ეს იმით გაამართლა, რომ საბჭოთა კავშირი ქალალდისა და საბეჭდ მარქანა-მოწყობილებების დიდ ნაკლებობას განიცდის.

სერგო გრიგორიანცის (თვითგამოცემა „გლასნისტ“-ის რედაქტორი) განცხადებით, გამოცემის თავისუფლების აკრძალვის დადგენილება მიღებული იქნა, 1987 წლის 23 ოქტომბრის, მინისტრთა საბჭოს კრებაზე, რომელსაც თვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლა რიუკოვი თავმჯდომარეობდა.



II.

რუსთაველის საზოგადოება

საქართველო

შიგნირისა

1987 წლის 20 დეკემბრის გაზ. „კომუნისტიში“ წავიკითხეთ პ-ნ შოთა ძიძიგურის წერილი „ერთად ვითიქროთ და გადავშევიტოთ“, რომელშიც პატივცემული მეცნიერი-აკადემიკოსი წერს:

„მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს გენიოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ნებაყოფლობითი (ხაზგასმა ჩვენია. გ.გ.) საზოგადოებანი, რომლებიც ღიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ ასც შეიძლება ფართოდ გააცნონ მთელ მოსახლეობას ამა თუ იმ შემოქმედის პროგრესული იდეები. ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, გოეთეს საზოგადოება, რომლის განყოფილებაც კარგა ხანია შეიქმნა საქართველოში.

ჩვენ რესპუბლიკაში უთუოდ მოწიფდა აზრი, და საფუძველიც იქმნება იმისათვის, რომ დაარსდეს „რუსთაველის საზოგადოება“. დიახ, უპირველესად რუსთაველის საზოგადოება, რამეთუ ღიდი შოთაა ქართული კულტურის მესია.

რუსთაველის საზოგადოება გააერთიანებს პოეზიისა თუ სიბრძნის ყველა მსახურს და მოყვარულს, მწერალი იქნება, ისტორიკოსი თუ რუსთველოლოგი, მხატვარი თუ მუსიკოსი. ერთი სიტყვით, გააერთიანებდა ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ერის ღიდება, ხალხის ინტერესები და საკაცობრიო იდეალები.“ და სხვა...

პატივცემულ მეცნიერის ამ მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი ჰქონა მთელ ქვეყანაში, მის ყველა წრესა და წევრში და ზოგიერთი მათგანი იმავე „კომუნისტში“ ქვეყნდებოდა.

გამოხდა ცოტა ხანი და გაგვაკვირვა იმავე გაზეთში ამოკითხულმა ცნობამ, რომ საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტმა შექმნა რუსთაველის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი, მინისტრთა საბჭოს თ-რის პირ. მოად-ის ზ.ა. ჩხეიძის თავმჯდომარეობითო. ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილ საორგანიზაციო კომიტეტის წევრებში საზოგადოების წამომწყების სახელი და გვარიც კი ვერ აღმოვაჩინეთ.

ჩვენი გაკვირვება გაოცებად იქცა, როცა მ. წ. 14 იანვრის გაზ. „კომუნისტში“ დაბეჭდილი რუსთაველის საზოგადოების წესდების პროექტი და დამფუძნებელ ორგანიზაციათა სია წავიკითხეთ. დამფუძნებელთა შორის მოხსენიებულ მრავალ ორგანიზაციას, როგორც მაგალითად: პროფესიონალებს, კომკავშირის ცენტ. კომიტეტს,



ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს და ქართული სხვებსაც რაში ენაღვებათ შოთა რუსთაველი და ქართული კულტურა, ანდა განა მათ მოქმედოვებათ რუსთაველის და საერთოდ ქართული პოეზიის სიყვარული და მსახურება?! ასეთი საზოგადოება ნამდვილი ბაბილონის გოდოლი იქნება, რომლის მმართველ ორგანოში თავს მოიყრიან: ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი და საქართველოში მცხოვრები სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები; აკი საზოგადოების წესდებაში ნათქვამია: „დამფუძნებელი ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლები, როგორც წესი, შედიან საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა-ში“-ო და, მაში, რუსთაველის საზოგადოების სამუშაო ენა იქნება არა დიდი შოთას ენა, არამედ პუშკინისა და ტოლსტოისა. განა ასე მუშაობს დიდი გოეთს საზოგადობა გერმანიაში, რომელსაც მისაბად მაგალითად ასახელებდა ბ-ნი შ. ძიძიგური?!

ამ საქმეში ადგილი ჰქონდა ორში ერთ შემთხვევას: ან ხელისუფლებას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა რუსთაველის საზოგადოების დაარსება და აკ. შ. ძიძიგურის ინიციატივა მხოლოდ მისი (პარტია-ხელისუფლების) ჩვეულებრივი ფანდი იყო. ამას მიგვანიშევს ის ფაქტი, რომ შ. ძიძიგურის ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილის შემდეგ ერთ კვირეში საზოგადოების ორგანიზაცია უკვე მზად იყო. (თვით განსაჯეთ: აკ. შ. ძიძიგურის წერილი გამოქვეყნდა 20 დეკემბერს, რუსთაველის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის კომუნიკეში კი ნათქვამია: „შედარებით მოკლე დროში საქ. კომპარტიის ც. კომიტ-ის გადაწყვეტილებით საზოგადოების სურვილისამებრ ახალი წლის წინ შექმნილმა საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია“-ო) ეს კი წარმოუდგენელი სიცემიტეა საბჭოთა ბიუროკრატიული მმართველობის მხრივ!,-ანდა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ მიითვისა ქართული საზოგადოების ინიციატივა და ივი თავის სამსახურში ჩააყენა. ორივე შემთხვევაში ხელისუფლება იჩენს უგუებლობას ქართული ეროვნული ხასიათის წამოწყებისადმი.

ქართული გამომცემლობის შემთხვევაში, ხელისუფლება მას კრძალავს, რადგან მისი დაჭვემდებარება არ შეუძლია. რუსთაველის საზოგადოებას კი თავად ეპატრონება, რომ ის კრემლის კონტროლის ქვეშ მოაქციოს და რუსული ენის გავრცელებას ამსახუროს.

ლექსები ციკლიდან: „უჯრის პატიმრები“

* * *



ეუბნებოდა მოყვასი მოყვასის:
„იყავ მორჩილი, მომთმენი,

მშვიდი...“

და ხუთი თითის კვალი ლოყაზე
და მორჩილებით მიშვერილ ლოყასენთო ვარსკვლავის ხუთი ქიმივით.
ბეჭედს ასვამდა ხუთივე თითით.

* * *

აღარ მთავრდება კრება და სხდომა.
გრიალი გააქვთ მარშებს და ჰიმნებს.
და ისევ ებრძეის წარსულის ხსოვნა
ახლადფეხადგმულ მომავლის იმედს.
როდემდე, ღმერთო? (მართლაც, როდემდე?)
ნუთუ არ დადგა ჩვენი საშველი?!
კვლავ ყვავილებით რთავენ პორტრეტებს
და გაჰყვირიან ლექსებს ბაგშვები;
ისევ ხელმძღვანელს არქევეკ „ბელადს“
და მის გარშემო ფერხულს უვლიან...
და თუმცა დაგვმეთ, რაც იყო ძველად,
ჯერ კიდევ ბევრი-ძველებურია!

* * *

ეს ქვეყანა ბაბილონის
დაემსავსა სასტუმროს,
ყველა ცდილობს ერთ ვილაცას
რაღაც „დაუდასტუროს“:
„მზადყოფნა“ თუ „ერთგულება“,
(ჯანდაბა და დოზანა...)
ერთი წუთით არა წყდება
საზეიმო ოსსანა!

* * *

„წლიური გეგმა-ვადამდე!“
ანუ თერთმეტი-ათამდე,
ატმის კამპოტი-ატმამდე
და ქათმის სუპი-ქათმამდე!

ყველა ენად გაკრეფილა,
ჰყენის და იხარჯება,
თუმცა უკვე აღარავის
აღარაფრის არ სჯერა;
ტაში მაინც არა ცხრება,
ხალხი ერთ ამბავშია,—
თითქოს ჩვენი მოწოდება
მარტვა ტაშის კვრაშია!

როდემდე ანდა სადამდე?
(ღმერთო მოგვეცი შეძლება!)
ამ სახიფათო, ვადამდებ
სიცრუეს რა ეშველება!

მიხეილ ქვლივიძე („კომუნისტი“ 13.II.1988)

ვ

გ უ შ ა გ ი №15

1988 წლის მარტი

კ ა რ ი II



ნოტიციან გალაშვილი

მოგილოცავთ ახალ წელს!

ახალი წლის სუფრას გაშლილს არავინ არ მიმაკარა,
პირველ საათს რა მოუცდის, მოთმინება აღარ მქმარა;
ტიკიდან რომ კახურ ღვინომ ბოთლში ჩამოიწანურა,
მიმეულა თვალები და ტკბილი ძირი წამეპარა;
ღმერთმა სიტყბო არ მოგაყლოთ, თქვენი ჭირი შემეყარა!

ახალ წელს ვხედავ სიზმარში: მზადა ვარ ასამღერადა,
ძველს გავაყოლე დარდები, გაგხედე აღმაცერადა,
ახალს ვუმღერი ალალად, თავს არ ვგრძნობ ქვეყნის გერადა,
ადამიანი მოვსულვარ სიცოცხლის „მყინვარწვერადა“,
მთელი სამყარო მგონია საკუთარ სახლად, კერადა!

საახალწლო მიღოცები, სადღეგრძელო წამიერი,
ტკბილეული, კოცნა-პროშტნა, ზედაც მრავალუამიერი;
ღმერთო, ყველა დაგვილოცე იმიერი - ამიერი,
ჩვენი ქვეყნის სიგრძე-განი, ჩვენი ერი მშვენიერი,
სხვა ხალხებიც გვიღებელე იყონ ბედის მაღლიერი!

არ მეჯერება, შეცვურებ, ვით შემკრთალ-ნამძინარევი,
ცეცხლს აღარ კვესავს თვალები, ნამტირალ-ნამძვინვარევი;
აღარ გვრანჯავენ, გამჭრალან ფიქრები ნაღველნარევი,
სიხარულს განუკურნია გულები ნაიარევი,
ჭალა სიმწვანეს მოუცავს დამშრალი, ნამდინარევი!

საქართველოს ვადლეგრძელებ, ლამაზს, მრავალერიანსა,
ცას-კამეამას, ზღვას-ლურჯთვალას, მთაბარს-ათასფერიანსა,
ახალ თბილის-ახალ ჩოხით, ძველს-ახალუხეძელიანსა,
საღამო ხანს მთაწმინდიდან ნიავმონაბერიანსა,
ნარიყალას მისადგომებს, სავალდანაცერიანსა!

მშვიდობის სადლეგრძელოს ვსვიმ, გული მზად არის ძგერადა,

რაღად აქვს სპარსეთს დროშაზე ხმალი, სხვად მონაღერადა?!
თურქნი, არაბნი სხვა ხალხებს რად გვიყურებენ ცერემონია?!
მათი ჭარსული სისხლს მიღვრებს, აწმყო არა ღირს ცქერადა,
ძველი ცოდვები აწვალებთ, ახლად ატანილთ წერადა!“

ბალკონში რომ თოფი ბუთქეს, შამპანურმა მისცა ბანი,
ჭამოვგარდი, გამეღვიძა, გასკდა ყურის ბარაბანი,
შამპანური მოღვინღვარდა, ღვინოში ვარ განაბანი,
ასეთ ყოფას თუ უშველის მხოლოდ ნოეს კიდობანი;
ყაზბეგური გავაფიცხეთ, მივაყოლეთ განდაგანი.

„მოლას რაც ელანდებოდა, იგივე ესიზმრებოდა“,
ეს რომ მართალი არ იყოს, ხომ არ გაანდაზდებოდა?!
მეც, რაც ძილის ჭინ ვიფიქრე, იგივე დამსიზმრებოდა,
გამომაღვიძეს, გავგვიჩდი, სიზმარი ამცხადებოდა,
საათზეც დიდი ისარი პატარას ჩახუტებოდა!

დაძინების ჭინ ინატრეთ მშვიდობა, გულით თბილითა,
დაგესიზმრებათ მშვიდობა, იძინებათ ძილით ტკბილითა,
ანგელზების ალერსით, თბილი თითებით თლილითა;
ვინც რომ მშვიდობას ნატრულობთ, განცდებით გადაღლილითა,
სიზმარიმც აგცხადებიათ, თვალს რომ გაახელთ ღილითა!

მრავალ ახალ ჭელს დასჭრებოდეთ ბედნიერად!

* * *

„ს ჭავლის ათვის მოშაირეთა“

რატომ დავგმეთ ლექსების თხზვა—ორცვლად ტონად, შაირათა?
თექვსმეტ მარცვლად, ოთხ ტაეპად წერა სჯობს და აი რათა:
შოთამ სიბრძნე აამღერა ამ სტილით, ამნაირათა,
გრძელი აზრი მოკლედ შეჰქრა, სიტყვა გაიყაირათა.

მეთორმეტე საუკუნე, თამარის და შოთას ხანა,
საქართველოს პოეზიამ მეშვიდე ცას მიატანა;
მსოფლიოს არ ღირსებია ღიდი შოთას კალმისთანა;
შოთას ქვეყნის პოეტებო, ამოხსენიც ამოცანა!

* *



մետօնութ օհեղմծվան շաղագութ, Շանրջ դասապրոցնութ, մյուտքելու անարդ կրտութ անհրաժ դեմութ, Վահանու ամուսնութիւնը և սուսութ, Շոյիս մուշնութ հայեն յարութ ենութ, յարութելու դասամշանութա!

Յոնց սամմոնձու աթմուն յմնունքն, Յոնց հռմ յայսպնու ցուլագ
սցերդնեն,

Մասածարլու ծարծարուսեծ կծոլեցիւն հայեն ծելս Ֆալաջնեն,
յայսպնու մոմացալս հռմ սկզբնեն, Ցամունցիւն գրու լայնուսաւ
սցերդնեն,

Ֆոյնուս լայնուս սկզբնեն, Տոմուրեցաւ լայսպնու սկզբնեն!

Ծրո դագցա եմալո հայացետ, ցավմալու տետրո ալամո.
Արածունեցիւն լայսու տեշցաս ցագացահայուն կալամո,
Ֆոյնուս ուրցեց դացպարու, Հոգուրու Վալամո!
Ոյնեծ Շանրիւ մովացիւնու, յայունամո ցագանալամո.

* * *

Կ Ա Ր Ա Բ Ի Ռ Ո Շ Ա Լ Ո Գ Ր Ա Մ Ա Ր Ո Ւ Ր Ա

Մեցոնձարո Սյուլս ցիօնցեցս
կորմու Վամլագ մոսաեմարսա,
ցակուրցեցիւն դացիսենու
սայմես օչամս ցասաեարսա.
Մե յս մւրեցա ասյ մեսմու,
ասյ ամուցուսեցու,
մուսո Վոլու ցուլու սութո
արհաց ցամուսեցուսեցու.
Մեցոնձարմա լճաց ցասպու
եմա մերիս, Մենսկյ մոմացալսա.
Հուրա ցնակ ացս ցեր ցարուցու
սայմես տացու, մոսացարսա,
Մենս ոչաեմո ցամոնչուացս
տացուս Վոլու մոսացալսա!
Ըստ մեցեց մատուցուացս
լուսու ցամունցիւն ցագամլացը,
լուսու ցամունցիւն ցագամլացը,

ու դացցուրդա մումուտ Մյամացս
մալլա մտաս լա դածլա ծահսա!
“Մեցոնձարու մոլալարէս
դամմահեացու արա Ֆալաջնես”,
մուս սայլացիւ դատեսուլո
պացուլեց ար պացացըս!
Մեցոնձարու ամալլացիւ,
ամունուս ոցրմենու մալլսա,
վորթունմու տացս ար գաֆոցացս,
ցոմմոնթ Մյեն լա Տարահմալսա,
մինունցելուն ար մոցակլացիւ,
դացումշանեցիւ ցայրդու մեահսա!
ցուսաց յս ցրմենու այլուա,
հա պութելուն ոմ սամպալսա?
Յոն ենդոնձ, յոն լալուցացս,
յոն հաց հատվուս լուսուցամթպալսա?



ფუთ მარილს რომ ერთად შეჭამთ
„კახურ წესზე“ დანაყულსა,
იმის მტერი სადაც შეგხვდეს
გაუყარე დანა გულსა!
მეგობარად აღიარე
არ დაგტოვებს გულნაკლულსა.
მეგობარო! გვერდით მყავდე,
შევაფიცხოთ მტერია,
წინ გავიგდოთ, ავადინოთ
ზურგზე ცხარე მტერია.
ჭირშიც იგივე ვიმღეროთ,
ლხინში რომ გვიმღერია,
სიამაყით მოვილეროთ
ყელი მოსალერია,
სხვას მელავი გადავუმტვრიოთ,
ჩვენზე მონალერია;

მოკვდეს გული,-გულისათვის
თუ კი არ უძგერია! უკავებული
სალ-სალამათ გულით გლოცაზ
ასე ომახიანათა;
ლალი ცხოვრება გქონოდეს
შენი ჯალაბიანათა,
სამყოფელი აგიყვავდეს
გაღმა-გამოღმიანათა;
მე და ლექსი შენზე ვმღერით
ჩვენი ბოხი ხმიანათა,
ღუშმანი გადაგიშენდეს,
თავის ბალღამიანათა.
ალაღმართალ მეგობრობას
მზემაც სხივი მიანათა,
ჩემი თავი გენაცვალოს,
ჩემი კალამიანათა!

ნოშრევან გალაშვილი

ა. შ. შ. 1987.

„მესამე სვეტის“ უცნობი ავტორის ვინაობა

ამ სათაურით დაბეჭდილი ლექსი, რომელიც „ თავისუფლების ტრიბუნას“ ნუმერ 26 -ში დაიბეჭდა „უცნობი ავტორის“ ხელმოწერით, ახლახან გამოქვეყნდა 1988 წლის იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“, რომელიც თურმე ეკუთვნის ჩინებულ პოეტს და სანაქებო მამულიშვილს-მურმან ლებანიძეს. ლექსს თარიღად უზის 1972 წელი.

ვინ - ვინ და, თუ არა მურმან ლებანიძე, დაწერდა ამგვარ ნაწარმოებს?! ხომ ყველას გვახსოვს მისი საქვეყნოდ ცნობილი:

„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი,
არა დაღვრილის—დასაღვრელის, აღბათ, მაცნეა,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩინია!

მე დავინახე; სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,

თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაუგარდს გასჩრია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩინია!



მშვენიერია ორ ზღვას შუა კავკასიის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის?“ ბებერ გულში ლახვრად მაჩინია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა სინა
არ გამაჩინია!“

კარგი იქნება, თუ რედაქტია კვლავ დაბეჭდავს „მესამე სვეტს“,
ოლონდ, ამჯერად ამ ლექსის ნამდვილი ავტორის ხელმოწერით.

ა ხ ლ ო ბ ე ლ ი

აი ისიც:


მ ე ს ა მ ე ს ვ ე ტ ი

მყითხე და გეტყვი: რის თამარი,
ქართვლის ცხოვრების რა ვიცი მეტი!
რისი ერეკლე, საქართველოსთვის
დავითი არის პირველი სვეტი.

მყითხე და გეტყვი: რომელი ვაჟა,
ან თუნდაც შოთა.- ამაზე მეტი?
რისი აკაკი, საქართველოსთვის
ილია არის მეორე სვეტი.

გაღუნულია მწვანე ალვის ხე,
აწეწილია სამშობლოს ხედი;
ღმერთო, გვაღირსე, ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე მესამე სვეტი!

მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ე



15.01.1868 – 11.01.1953

წლევანდელი წელი განსაკუთრებულ იუბილეთა წელია: ეროვნული – 15 იანვარს 120 წელი შესრულდა ნოე უორდანიას დაჭრული შესრულდა – 8 თებერვალს – დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს – 70 წელი შესრულდა ქართული უნივერსიტეტის გახსნიდან, რომელსაც იმავე წლის ორ სექტემბერს ეწოდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

– 26 მაისს 70 წელი შესრულდება საქართველოს დემოკრატიული დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან, რომლის მთავარი მოქმედი პირი ნოე უორდანია იყო. მაშ, ვილაპარაკოთ ნ. უორდანიაზე.

ნოე უორდანია პოლიტიკურ არენაზე გამოღის სრულიად ახალგაზრდა გასული საუკუნის ოთხმოცდათიან წლებში და მან მაშინვე მიიქცია ქართული საზოგადოების ყურადღება: ერთნი მას ტაშს უქრავენ, მის ირგვლივ ირაზმებიან, მეორენი მას უკითხინებენ, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებენ, მაგრამ ვერ ამარცხებენ, ბრძოლის ველიდან ვერ აძვებენ. ეს, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი პერიოდი გრძელდება თითქმის მეოთხედი საუკუნე. იწყება მეორე პერიოდი, 1917 წლის რესუეთის თებერვალის რევოლუციიდან მოყოლებული, როცა საქართველოში ნ. უორდანიას მეთაურობას აღიარებს ყველა პოლიტიკური მიმღინარება, გარდა ბოლშევიკურისა. ნ. უორდანიას მეთაურობით ხორცი ესხმება ქართველი ხალხის სანუკვარ საუკუნოვან მისწაროვებას – საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას. როგორც უმაღლესი ხელისუფალი, ნ. უორდანია წარმართავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პოლიტიკას და მით იგი პასუხისმგებელია ისტორიის წინაშე, როგორც ამ ხანში მიღწეული წარმატებების ისე დეფექტებისა და დამარცხებისა. ღიას, დამარცხებისა, რადგანაც საქართველო ისევ ნ. უორდანიას მეთაურობით დამარცხდა 1921 წელში და დაკარგა თავისუფლება.

ნოე უორდანიას პიროვნება ჯერ კიდევ იწვევს ვნებათა ღელვებს, რაც სიმართლეს, ობიექტიურობას ვნებს. ერთნი მის სახელს უპირობოთ აღიდებენ, მეორენი კი, პირიქით, ლაფში სვრიან. მე არც ერთო და არც მეორეთ არ ვთანაუგრძნობდი და არ ვთანაუგრძნობ. ჩემთვის უცხოა, როგორც რეალობის გამითოსება, ისე დაუმსახურებელი განქიქება მტრული პოზიციებიდან. მე ერთოთავად იმ აზრის ვარ, რომ: იმ ჩვენი მამების ხსოვნას, რომელთაც წილად ხვდათ პატივი ჯერ მონაწილეობა მიეღოთ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა-განმტკიცებაში, ხოლ მერე წინ აღდგომოდენ მის დასამხობად შემოსეულ ბოლშევიკურ ურდო-

ებს და ღირსეულად დაიღუპებ: ზოგი ბრძოლის ველზე, ზოგი ციხე-გადასახლებებში, ზოგიც უცხოეთის გადმოხვეწილობაში, ყველას მოკრძალებით და პატივისცემით ვიგონებდეთ, განურჩევლათ შათი პარტიულობისა. ნოე უორდანიას მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია, რადგანაც მან თავის თავში **35** წლის განმავლობაში შეუბლალიგად ატარა ჩვენი ერის სუვერენობა

ნოე უორდანია დაიბადა **1868** წლის **15** იანვარს სოფელ ლანჩხუთში (1961 წლიდან ქალაქი) აზნაურის ოჯახში. მამამისი ნიკოლოზი, თვით ნ. უორდანიას მიხედვით, იყო მწიგნობარი, ზეპირად იცოდა ვეფხისტყაოსანი და სხვა ქართული პოეზიის შედევრები, რომელთაც ის პატარა ნოესაც აზეპირებიებდა, ეწეოდა სოფლის მეურნეობას, ამასთანავე გლეხებს არზებს უწერდა და თითქმის მუდამ იყო სამედიატორო სასამართლოს ხან წევრი და ხან თავმჯდომარე, დედამისი ქრისტინე ყოფილა საჭყონდილოს აზნაურ ჩიქვანის ასული, ენერგიული, მტკიცე ხასიათის და გონებამახვილი, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარი.

პატარა ნოე ლანჩხუთის სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, მამას შეჰყავს ოზურგეთის სასულიერო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ დროს თბილისის სემინარია უკმაყოფილების კერა იყო, სადაც აუტანელი აღზრდის პირობების გამო ხშირად ადგილი ჰქონდა მღელვარებებსა და გაფიცვებს. ბევრი იქიდან გამორიცხული ან კურსდამთავრებული ცნობილი რევოლუციონერი გახდა შემდეგ. მათ შორის ყველაზე სახელგანთქმული ნოე უორდანია გახდავთ.

თბილისის სასულიერო სემინარიან. უორდანიამ **1890** წელს დაამთავრა, ხოლ შემდეგ წელში ის შევიდა ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში. ვარშავაში ახალგაზრდა კაცი უფრო მეტად პოლიტიკური ლიტერატურის კითხვა-შესწავლას დაწაფებია, ვიღრე ვეტერინარიის მეცნიერებისას. **1892** წელში ის პირველად ეცნობა მარქსისტულ ლიტერატურას—კარლ კაუცის წიგნს მარქსის ისტორიულ მატერიალიზმზე, რამაც გადამყირავებელ ბერკეტის როლი შეასრულა მის პოლიტიკურ აზროვნებაში. „აი ამ დღიდან დაიწყო ჩემში სწრაფი ევოლუცია, ერთი ნარიდნიკული სკამიდან მეორეზე, მარქსისტულ სკამზე, გადაჯდომა“, ბრძანებს ნ. უორდანია მის „ჩემი წარსული“-ში (გვ. 25). ამ მის ახლად შეთვისებულ პოლიტიკურ აზრებს

ნ. უორდანია წერილობით აცნობს საქართველოში მის უახლოეს მე-
გობრებს: სილიბისტრო(სილვა) ჯიბლაძეს და ეგნატე ნინოშვილს მარტი,
სასწავლო არდადეგების დროს, ნ. უორდანია სამშობლოში
ბრუნდება და იქ ააჩსებს პირველ ქართველ მარქსისტთა ჯგუფს:
ს. ჯიბლაძის, ეგ. ნინოშვილის, კ. ჩხეიძის, დ. კალანდარაშვილის,
ის. რამიშვილის, არ. წითლიძის შემადგენლობით. იმავე წლის
დეკემბერში, ყვირილაში, შეიკრიბა მარქსისტების პირველი კონფე-
რენცია, სადაც, ნ. უორდანიას თქმით, ნაროვნიკულ მსოფლმხედვე-
ლობას გაუმარჯვნია. ამით უკმაყოფილ ნ. უორდანიას და მის თა-
ნამოაზრებს **1893** წლის თებერვალში, თბილისში, მოუწვევიათ ახ-
ლად კონფერენცია, რომელმაც პროგრესმად მიიღო ნ. უორდანიას
მიერ დაწერილი მოხსენება: „ეკონომიური განვითარება და ეროვნე-
ბა“, რომელიც დაიბეჭდა უურნალ „მოამბე“-ში, **1894**-ში. თვით
ნ. უორდანიას განცხადებით, ეს კონფერენცია სათავეა ქართული
მარქსისტული სოციალიზმის. აქედან მოყოლებული ქართული მარქსი-
სტული სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა მჭიდროდ გადაჯაჭვუ-
ლია ნოე უორდანიას სახელთან.

1893 წელში, ვარშავაში აპატიმრებენ ნ. უორდანიას ყველა პო-
ლიტიკურ მეგობარს. მეგობართა რჩევით ისიც დასავლეთ ევროპაში
აფარებს თავს, რითაც მას ცუდად არ უსარგებლია. აქ ის საფუძვლი-
ანად ეცნობა ევროპის ქვეყნების ცხოვრებას და დედამში სწავლობს
მარქსის მოძღვრებასა და მარქსისტულ ლიტერატურას. ამრიგად,
ნ. უორდანიას საშუალებით ქართული სოციალიზმი უშუალოდ უცავ-
შირდება დასავლეთ ევროპის სოციალიზმს. ნ. უორდანიას ბაგშვილი-
დანვე ახასიათებდა ერთი თვისება: როცა ის რაიმე ახალს ამოიკი-
თხავდა წიგნებში, მაშინვე მის მეგობრებისთვის უნდა გაეზიარე-
ბია. ასე იყო ის ამჟამადაც. ყოველ მის ახალ აღმოჩენას ის წე-
რილობით უზიარებდა მის პოლიტიკურ მეგობრებს და ვრცელ სტა-
ტიებს უგზავნიდა სამშობლოში გამომავალ ლეგალურ თუ არალეგა-
ლურ უურნალ-გაზეთებს, ხოლო **1897** წლის ბოლოს, როცა ის ექიმ-
პიდან სამშობლოში ბრუნდება, დროს დაუკარგავად ებმება აქტიურ
უურნალიზმი, როგორც გაზეთ „კვალის“ პასუხისმგებელი რედაქტო-
რი. ამ დროისათვის ნ. უორდანიას სახელი შორსაა გაცილებული
მარქსისტულ წესს, მას იცნობს და ანგარიშს უწევს ქართული
ინტელიგენცია. რა თქმა უნდა, ზოგი მის აზრებს იზიარებს, ზო-
გიც მისი წინააღმდეგია. ნ. უორდანიას მაშინდელ ავტორიტეტულო-

ბას ამოწმებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დიდმა ილიამ მას შეთავაზა მისი „ივერია“ -ს რედაქტორობა.

ნ. უორდანიამ ორ ფრონტზე გააჩაღა ენერგიულად მოწყვეტილი უეგალურად პრესის საშუალებით და არალეგალურად ფარული რეკლოიული წრეების საქმიანობით. პირველი მას ეხმარებოდა მისი იდეების ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად, მეორე კი ზურგს უმაგრებდა მის ბრძოლას, მის ქადაგებას ხალხური მოძრაობის გამოძახილად ხდიდა.

ნ. უორდანიას ფხიზელ კონებასა და შრომისმოყვარებასთან ერთად ხასიათის დიდი სიმტკიცეც ჰქონდა. იგი ფრთხილი, წინდახედული იყო გზის არჩევაში, მაგრამ რაკი აირჩევდა, მისგან ვერავინ და ვერაფერი ვეღარ გადაახრევინებდა. ეს თვისება მეტად საჭიროა სახელმწიფო მოღვაწისათვის, მაგრამ იგი ახალბედას ბევრ უსიამოვნებასაც უქმნის საზოგადოებაში. სწორედ ეს შეემოხვად ნ. უორდანიას. მან რევოლუციონერ მარქსისტის გზა აირჩია და კვლავფერ გაბატონებულს ებრძევის: ავსაც და კარგსაც, ბატონყმობის გაღმონაშობებასაც, სოციალურ უსამართლობასაც, შრომელი კაცის სიღუბჭირესაც, მაგრამ აგრეთვე ეროვნულად მეტად სასარგებლო სათავადაზნაურო ბანკსაც და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც, რასაც არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ეროვნული ინტელიგენციის და მისი მენტორის ილია ჭავჭავაძის რისხვა. ამ მტკიგნეულ ეპიზოდს ასე იგონებს თვით ნ. უორდანია:

„...მთელი ინტელიგენცია გადაგვიდგა და მოიკალათა „ივერიის“ ბანაკში. ამან გამოიწვია შიში ჩევენს რიგებში: უინტელიგენციოდ ვერას მივაღწევთო. ამის პასუხად გამოვაქვეყნე წერილები „ინტელიგენცია“. ამან ცოტა დააწყნარა ამხანაგები, ხოლო მუშებში გამოიწვია ენტუზიაზმი. სამაგიეროდ დიდათ გააბრაზა „ივერიის“ ბანაკი. თუ წინათ კანტი-კუნტად მაინც ვეცდებოდი ცნობილ ინტელიგენციის წარმომადგენლებს: ცხვედაძეს, გოგებაშვილს, ჭრელაშვილს, ეჭ. გაბაშვილს და სხ. შემდეგ სრულიად მოვწყდი მათ, გავირიყე მათგან და მათ მხოლოდ გოლოვინის პროსპექტზე ვხვდებოდი“. (იხ. „ჩემი წარსული“ გვ. 49)

ამ სიტყვებში არ ჩანს შეცდომის აღიარება, მითუმეტეს-მონანიება, მაგრამ მათგან იგრძნობა ის გულისტკივილი, რაც მას ბოლომდე გაპყოლია ამ ამბების შედეგად.

ი. ჭავჭავაძისა და ნ. უორდანიას შორის ატეხილ პოლემიკიდან

ზოგიერთი იმ დასკვნას აკეთებს, რომ თითქოს ნ. უორდანიაშვილი აღმდეგი ყოფილიყოს საქართველოს დამოუკიდებლობის, რესპუბლიკური სახელმწიფო თვე არაა. ი. ჭავჭავაძესა და ნ. უორდანიას შორის უთანხმოება ტაქტიკაში იყო და არა საბოლოო მიზანში. საბოლოო მიზანი ორივესი იყო ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით. ი. ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ, ნ. უორდანია ფიქრობდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე უკათესი საშუალება იყო კლასთა ბრძოლა და სოციალისტური რევოლუცია, რომელსაც თავისთავად ბუნებრივად მოჰყვებოდა ერთა ემანსიპაცია, თვითგამორჩვევა და, თუ საჭირო იქნა, დამოუკიდებლობა. ნ. უორდანიას პატრიოტიზმში შეუძლებელია ეჭვის შეტანა, როცა კითხულობთ პროფესიონალი მიხეილ წერეთლის სიტყვებს:

„ნოე უორდანიამ და მისმა თანამოაზრებმა პირველად დარაზმეს განსაზღვრული სოციალურ-პოლიტიკური იდეალის მქონე ქართველობა: მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, თვით თავად-აზნაურობის მოზრდილი ნაწილიც შედიოდა მათგან შექმნილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ეს იყო დიდი საქმე მათგან ქმნილი მაშინდელ მძიმე პირობებში ცარისტული რუსეთის ბატონობისა საქართველოში, და ჩევნც, არამარქსისტებმა და ნაციონალისტებმა დიდი საქმე მოწინააღმდეგისაც დიდად უნდა ვცნოთ.

ქართული ნაციონალიზმი მაშინ იდეურად ძლიერი იყო, მაგრამ ხალხის დარაზმვა ეროვნული თავისუფლების იდეალის განსახორციელებლად მან ვერ შესძლო. ქართულ მარქსიზმს კი რუსეთის რევოლუციურ ძალებთან ერთად მოქმედებით მიაჩნდა შესაძლებლად თვითმპყრობელობის დამხობა, სოციალური რეფორმები მშრომელ ქლასთავის და დამყარება დემოკრატიული თავისუფლებისა. ამ მიზანთა მიღწევის შემდეგ, მისი რწმენით, ერიც კვლავ მოიპოვებდა დაკარგულ უფლებებს ... პირველი დიდი ომის დროს, როდესაც ქართველ ნაციონალისტთა ჯგუფი გერმანიაში მოქმედებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების აღსაღენად, გამამხნევებელი ხმა საქართველოთვან, გარდა ამ ჯგუფის თანამოაზრეთა, ნოე უორდანიასაგან გვესმოდა, ინტერნაციონალისტ-სოციალ-დემოკრატისაგან, არა ნაციონალისტურ პარტიათვან. ნოე უორდანიამ იცოდა, რომ დადგა უამი რუსეთის იმპერიის მიერ დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა და მარჯვე დროს უცდიდა, რომ მისი ქვეყნისათვისაც აღდგინა დიდი ხნითვან დათრგუნვილი სახელმწიფოებრივობა. მან იცოდა, რომ მას უნდა ეკისრა ეს დიადი საქმე, რათვანაც იგი_

იყო წინამდლოლი ქართველი ერის დიდი უმეტესობისა.“

როგორც სამართლიანად ბრძანებს მიხეილ შერეთელი, ნაკონდანიას დიდი დამსახურება რევოლუციის წინ ისაა, რომ ჩან პირველმა შექმნა მძღვრი პარტია, რომელშიც გაერთიანებული იყო მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, სტუდენტები, წვრილი ბურჟუაზია, სასულიერო და წარჩინებულ წოდებათა წარმომადგენლები. მაშასადამე, ეს პარტია ხალხური იყო და არა კლასობრივი.

მეორე მისი დიდი დამსახურებაა ის, რომ მან ეს პარტია გაწმინდა უცხო და მაგნე იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფ ბოლშევიკურ ელემენტებისაგან და მით ტროულად ნიადაგი მოამზადა იმისათვის, რომ საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიას დი დი ეროვნული მისია შეესრულებია.

ეს უამიტ აღარ დააგვიანებს და ნ. უორდანიაც მას მომზადებული ეგებება, მასაა და ნაციონალისტებს შორის ძირითადში განსხვავება აღარ არის. რევოლუციის წინ საქართველოში ფარულად ჩადიან ბერლინის „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები გიორგი მაჩაბელი და მიხაკო შერეთელი, რომელიც შეხვდებიან ნ. უორდანიას. მათთან მოლაპარაკების შესახებ შემდეგს ამბობს თვით ნ. უორდანია:

„ამავე საკითხზე მქონდა ბაასი იმავე კომიტეტის მეორე წარმომადგენელ გ. მაჩაბელთან თფილისში დ. ვაჩნაძის ბინაზე. აქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით: ჩვენ ჩვენს ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი მათებურად უცხოეთში, ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე. ძირითად საკითხში—საქართველოს დამოუკიდებლობის მოპვებაში — არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილი. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ ასებობას არ ემუქრებოდა.“ ნ. უორდანიას ამ სიტყვებს ადასტურებენ მასთან ზემოდ აღნიშნული მოთათბირენი: გ. მაჩაბელი და მ. შერეთელი. ჩანს, რომ ნ. უორდანიას დიდი გზა გაუვლია, მისთვისაც უკვე დღის წესრიგში დგას ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი. ეროვნულმა ინტელიგენციამაც ამიტომ მისკენ პირი იბრუნა, მას ნდობას უცხადებს.

ისმება კითხვა: როგორ დამთავრდებოდა პაექრობა ი. ჭავჭავაძესა და ნ. უორდანიას შორის? გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისევე, როგორც დამთავრდა გრიგოლ ორბელიანსა და ილია

ჭავჭავაძის შორის, ე. ი.-დაზავებითა და ბოლოს თანამშენებლურები ბით, რაც არაჩვეულებრივად გაამტკიცებდა, შიგნით დაშვერებულის არენაზე, საქართველოს დამოუკიდებლობას, — მაგრამ დიდი ილიას მუხანათურმა მკვლელობამ ეს შესაძლებლობა მოსპო.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას მკვლელობის გამოსაძიებლად და სიმართლის დასაღენად სამშობლოში შექმნილია კომპეტენტური კომისია, ბ-ნ გიორგი ციციშვილის თავმჯდომარეობით, ეჭვი გვეპარება, რომ სიმართლე ოდესმე გავიგოთ. უფრო ალო, ვიდრე გონით განსჯა, გვეპარნახობს: ისინი, ვინც ილიას მკვლელები წააქვთეს, სწორედ ზემოთქმული მოტივით ხელმძღვანელობდენ.

გოდება დიდ ილიაზე დავამთავროთ მისივე სიტყვებით:

„**მას ნუდარ ვსტირით, რაც დამარხულა,**

რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა...“

რუსეთის თებერვლის რევოლუციის წინ, 1917 წლის იანვარში, გურიის სოფ. ჯონჯუეთში, სოც. დემოკრატიულ პარტიის მარტო ქართული ორგნიზაციების კონფერენციამ ერთხმად მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იმ შემთხვევაში, თუ რუსის ჯარი დასტოებდა საქართველოს, მაგრამ ნ. უორდანიას დაუინდული მოთხოვნით, რეზოლუცია არ გასულა ორგანიზაციებში, არ გამოცხადებულა საჯაროდ. თავის პოზიციას ნ. უორდანია ასაბუთებდა იმით, რომ ომის პირობებში თუ რუსებს შეექმნებოდათ ღალატის შთაბეჭილება, შეეძლოთ შური ეძიათ ქართველებზე ისე, როგორც ოსმალეთმა სომხებზე. ამავე მოსაზრებით იყო, რომ ნ. უორდანია, მისი პარტიის უმრავლესობის საწინააღმდეგოდ, მისთვის ჩვეული ენერგიულობით და გადაწყვეტილებით იცავდა „ობორონულ“, ესე იგი მშენი რუსეთის გამარჯვების პოზიციას. რა თქმა უნდა, რომ ნ. უორდანიას მოწინააღმდეგებმ, სიფრთხილის მაგივრად, რუსთვილობა შეუძლია დაინახოს აქ, მაგრამ ნ. უორდანიას ამის შემდეგ მოქმედებამ გააქარწყოდა ასეთი შეხედულება.

თბილისშიც მოვიდა ცნობა „ფოსტით“: „**მთავრობაძე გარდაიცვალო”,** რასაც დაუყოვნებლივ მოვცება გაცხოველებული პოლიტიკური ამოძრავება. ამ მომენტიდანვე ცხადად იკვეთება ნ. უორდანიას პოლიტიკური სახე. ის, ზოგიერთ მის პარტიულ მოღვაწის მსგავსად, რუსეთის იმპერიის გულს კი არ მიაშურებს, არამედ-თბილისს, საქართველოს და ამიერკავკასიის გულს, სადაც ის სათავეში ექცევა, თითქმის სტიქიურად ახლად ფორმირებულ დიდ პოლი-

ტკიურ ძალას—მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, რომლის ხელში სწრაფად გადაღის ამიერკავკასიის ფაქტიური ხელისუფლებაზე, პეტროგრადში ბოლშევიკურ გადატრიალებამდე ნ. უორდანიასა და მისი პარტიის პოლიტიკაა რუსეთის დროებითი მთავრობისადმი ლიიალური განწყობილება, არჩევა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი საკრებულოსი, რომელსაც უნდა გადაეჭრა რუსეთის ყოფილ იმპერიაში მოქმედულ კველა ხალხების ეროვნული საკითხები. ამავე დროს, ის რეს მენშევიკებისაგან განსხვავებით, გულზე ხელდაკრეფილი არ ელოდება დამფუძნებელ კრებას, არამედ რევოლუციურად ანხორციელებს საშუალო სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებს, რითაც ძირშივე სპობს მუშებისა და ღარიბი გლეხობის სამართლიანი უკმაყოფილების მიზეზებს და მით ნიადაგს აცლის ბოლშევიკურ დემაგოგიას ხალხში. ამ ზომიერი პოლიტიკის წყალობით, როცა რუსეთში სამოქალაქო ომი იფეოქტებს, საქართველო მშვიდობისა და თავისუფლების თავშესაფარია.

1917 წლის 19 ნოემბერს შესდგება საქართველოს ეროვნული საბჭოს ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობს ყველა ქართული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყრილობა 22 ნოემბერს ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს და ნ. უორდანიას მის თავმჯდომარედ. ეს იყო პირველი ეროვნული მთავრობის განსახიერება. იმავე წლის თორმეტ დეკემბერს მუშათა რაზმით თბილისის არსენალი იღო. რაზმი თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს, და, მაშინადამე, ნ. უორდანიას, ემორჩილებოდა. არსენალის იარაღით კი შესაძლებელი გახდა ახალი შეიარაღებული ძალის შექმნა გვარდიის სახით. ამრიგად, ნ. უორდანიას ხელში ბუნებრივად თავი მოიყარა ხელისუფლების ყველა სადაცვებამ.

ამის შემდეგ მთავარი საზრუნავი იყო კავკასიის ფრონტზე მყოფ ნახევარმილიონიან გაბოლშევიკებული რუსი ჯარის მშვიდობიანი ევაკუაცია, რაც წარმატებით შეასრულეს მუშათა რევოლუციურმა ორგანიზაციებმა და გვარდიამ შეთანხმებული და გადამწყვეტი ღონისძიებებით, და ოსმალო ჯარების შეკავება, რომელიც თავის მხრით დაპყრობით ემუქრებოდა საქართველოსა და მთელს კავკასიას. ამ რთულ და წინააღმდეგობებით საგსე პირობებში,

1918 წლის 26 მაისს, ნ. უორდანიას ინიციატივით და ავტორიტეტით შესაძლებელი გახდა, მთელი ქართველი ხალხის მუდამ სანუკეა-

რო და სანატრელი საქართველოს სუვერენული სახელმწიფო უნიტერალური რესპუბლიკის მინისტრის მიერ და მოულოდნელობებით საცხოვრის მინისტრის მიერ და მისმა პარტიამ დიდი დისტინცია და გადაწყვეტილება გამოიჩინეს. ნ. უორდანია დროის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ამისთვის ქართველი ერის ისტორია მუდამ მისი მაღლიერი იქნება, ყოველ შემთხვევაში, ასე გვგონია ჩვენ.

მართალია, რომ ნ. უორდანიას ხელმძღვანელობით აღმდგარმა საქართველოს სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსება, ქართული ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ უზარმაზარ რუსეთისგან დამარცხება სამარცხვინოდ არ ჩაითვლება და ეს მოუმეტეს, რომ თვით ქართველთა შორის ბევრი აღმოჩნდა იდეოლოგით დაბრმავებული ან სულმოკლე და მოღალატე. აქაც ნ. უორდანიას ლირსება ისაა, რომ მან ქედი არ მოხხარა გამარჯვებულის წინაშე, ამანი არ ითხოვა, შეურიგებელი ბრძოლა გააგრძელა ბოლომდე, სიკვდილამდე და მით, იურიდიულად, უფლებრივად შეუბლალავად დასტოვა საქართველოს სუვერენობა. ამიტომ ებრძგის მას კრემლი სიკვდილის შემდეგაც; და ამიტომაც ზედმატად უნდა ვაღიდოთ ჩვენ მისი სახელი.

გიორგი წერეთელი

*** *** *** ***

მოგონებანი ნ. უორდანიას ირგვლივ

[გრიგოლ წერეთლის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა განსვენებულ გიორგი კონას ძე წერეთლის მოგონებები, სამ მცირე ზომის რევულად. სამივე ამბავში ცენტრალური ფიგურა ნ. უორდანიაა. პირველ რევულში, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ, აღწერილ ამბებს აღილი ჰქონდა საქართველოში თებერვლის რევოლუციის შემდეგ. გუშაგი]

1917 წლის რევოლუციის წინა თვეებში საქართველოს ყველა ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში მრავლად იყვნენ მოხეტიალე ჯარისკაცები; ერთი იმიტომ, რომ თბილისში იყო დაავადმყოფებულ და დაჭრილ ჯარისკაცთა განმანაწილებელი „პუნქტი“ და მეორე, იქვე იყო სამხედრო ნაწილების შესავალი „პუნქტი“ და აგრეთვე, -მრავალი დეზერტირი. თუ ვინმეს ქაღალდს მოკითხავდნენ უპასუხებდა: „დავკარგე ჩემი ნაწილი და ვეძებო“. ამით თავსაც ირჩენდნენ, ყაზარმებში ბინასაც ლებულობდნენ, ხოლო ნაწილი

ლის შევსების დროს კი იპარებოდნენ და დახეტიალობდნენ ქალაჭ-ში. მათ თავხელობას და თავგასულობას საზღვარი არ მონდორფა გოლუბიამ ისე იმოქმედა, თითქოს ქვაბში მდუღარ წყალს ცივი წყალი დაისხეს და დაშოშმინდა. გალეშილი ჯარისკაცების ხეტია-ლმა ძალიან იყლო და ზრდილობიანადაც იქცეოდნენ, მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა. თბილისი მთლად გაიჭედა უიარაღო ჯარისკა-ცებით და შეუძლებელია იმ ანარქიის გაღმოცემა, რომელიც დამკვი-ღრდა. ყველაფერი იღონეს მშეიღობიანობის დაცვისათვის, მაგრამ ვის ესმოდა. ყოველ ფეხის გადადგმაზე თხოულობენ იარაღს. მათი დიდი ნაწილი პოლიტიკურ ფერსაც იღებს. არა მარტო ჯარისკაცები, ინტელიგენციაც, ექიმები, ოფიცირები და სხვა ჩინოვნიკები ამ „პოლიტიჩესკია აკრასკას“ ქვეშ მოქმედებდნენ.

ასეთ მდგომარეობაში ესერების მოთხოვნით იქნა მოწვეული ამი-ერკავკასიის მეორე საგლეხო ყრილობა. ამ ყრილობაზე ბევრი იყო დაწერილი და არსებობს კრებების სტენოგრაფიული ანგარიშებიც, ამიტომ ბევრს აღარ ვამზობ. ესერები დარწმუნებული იყვნენ, ეს აფორიაქებული მდგომარეობა ხელს შეუწყობდათ და თავიანთ იდ-ებს, განსაკუთრებით მიწის სოციალიზაციას, თავს მოგვახვევ-დნენ. შეიკრიბა ყრილობა და პირველ დელეგატების გამოსვლისთანავე

გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატების მომხრეა ძალიან დი-დი უმრავლესობა. ესერები აშფოთდნენ. დელეგატები მოითხოვენ თავმჯდომარეთ ნოე უორდანიას. ნოე არ თანხმდება. დელეგატები, განსაკუთრებით აზერბაიჯანელები ნ. უორდანიას იყვანენ ხელში, მიყავთ და აჯენენ თავმჯდომარის სავარძელში. ის აცხადებს: ეს ყრილობა არის მოწვეული ესერების მოთხოვნით და ინიციატივით და მათი ხელმძღვანელობით უნდა ჩატარდეს. ჩვენ ყველა მათ მო-ხსენებაზე გამოვალთ თანამოხსენებით და მიყიდეთ მონაწილეობას ჩეზოლუბიერში და დადგენილებებში. ასეთია ჩვენი მათოან შეთა-ნხმება, და ჩამოდის ტრიბუნიდან. ისევ აზერბაიჯანის და მთიელ-თა დელეგატები იყვანენ ხელში ნ. უორდანიას, მიყავთ და აჯენენ თავმჯდომარის სავარძელზე. ძალზე აღშფოთებული ესერები და ზოგი სხვა დელეგატებიც, უფრო სომხეთიდან, ყვირიან, იწევიან. გადის მთელი დღე. მეორე დღეს უორდანია არ ჩანს. დელეგატები არ შედიან კრებაზე. გვიან გამოჩნდა ნ. უორდანია. ერთბაშად სიჩუმემ მოიცვა იქაურობა. შევიდა თუ არა უორდანია კრებაზე, მას უკან შეყვა მთელი ხალხი. საკმარისი იყო ტრიბუნიდან ერთი



დელეგატის ხმა: „უორდანია თავმჯდომარეთ!“, რომ უორდანია დე-
ლეგატებმა ხელში აიტაცეს, მიიყვანეს და დასვეს თავმჯდომარებულის
სავარძელში. ისმის ესერების აღშფოთების ხმები. გარეთ მრავალი
ჯარისკაცია თავშეურილი, ზალაში არ უშვებენ, ვისაც მანდატი
არ აქვს. მთელი დღე მღელგარებაა; ტრიბუნაზე ვინც არ უნდა
გამოჩნდეს იძახიან: „ჯერ თავმჯდომარე უორდანიამ თქვას სიტყ-
ვა!“. მეორე დღემაც ასეთ შფოთში გაიარა. ღამის ცხრა საათზე
შეიკრიბა ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებუ-
ლი კრება, კრებას თავმჯდომარეობს ნოე რამიშვილი, რომელიც
აკეთებს მოკლე განცხადებას: ეს კავკასიის მეორე ყრილობა ხდება
ესერების მოთხოვნით. ისინი დარწმუნებული იყვნენ, ისარგებლებდ-
ნენ შექმნილი მდგომარეობით და მიგვალებინებდნენ მათ ტაქტიკას,
განსაკუთრებით მიწის სოციალიზაციას. ჩვენც ვუშევდით ანგარიშს
შექმნილ მდგომარეობას და ამიტომ გადავწყვიტოთ, რომ არ მიგ-
ველო მონაწილეობა კრების პრეზიდიუმში, დაცვა ყოფილებულიყავით
თანამოხესნებებით და რეზოლუციების წარდგენით. დღემდე ჩვენ
ამ გადაწყვეტილებაზე ვდგავართ. მდგომარეობა შეიცვალა, მივედით
გამოუვალ მდგომარეობამდის. თუ გავაგრძელოთ ჩვენი გადაწყვეტი-
ლება, შეიძლება ყრილობის დაშლა და არავინ უწყის რა შედეგი
მოყვება. ამიტომ, ვაყენებთ კითხვას: გადიშინჯოს ჩვენი დადგენი-
ლება, თუ გავაგრძელოთ იგი? – ს. ჯიბლაძე: ბევრ მსჯელობას დრო
აღარ ითმენს. ჩვენ ვდგავართ ახალი ვულგანის თავზე. თუ ჩვენ
ვერ შევძლით მისი ჩაქრობა, ის ჩვენ ჩაგვნთქავს. შექმნილი მდ-
გომარეობა ვვიკარნახებს: ვნახოთ გამოსავალი; რაღაც დელეგატე-
ბი თხოულობენ ჩვენი პასუხისმგებლობის აუცილებლობას, ჩვენს
ძველ დადგენილებაში შევიტანოთ რამდენიმე ცვლილება. თავმჯდო-
მარე იყოს ჩვენი, თავმჯდომარის ამხანავი–მათი, წევრები
თანასწორად, არბიტრის მოვალეობა ქონდეს თავმჯდომარეს. კველა
მათ მოხსენებას უნდა მოყვეს ჩვენი თანამოხსენება. ეს შესწორე-
ბა გადავცეთ მათ საინციდენტო ჯგუფს. ხვალ კრებაზე გამოვუშ-
ვათ ხარლამოვი, რომ აირჩიონ ნოე. ეს შეიტანს დელეგატებში სიმ-
შვიდეს და თუ ჩვენ ეს შევძლით, ამით ავიცენთ კატასტროფას.
– ხომერიკი: თუ არ დათანხმდა ესერები ამას, მაშინ როგორ მო-
ვიქცეთ? ჩვენ ვიტყვით: პასუხისმგება თქვენი იყოს და მათ სწორ-
ეთ ეგ უნდათ, მოახდენენ დელეგატებში არეულობას, ჩაირვენ ამ
აწყვეტილ და პოგრძისთვის მომზადებულ ხალხს, შეგვიქმნიან

სამოქალაქო ომს, ვართ ამისთვის მზად? ყველა ხედავს, მფლობელობის სირთულეს და უორდანიას უმზერს, ის კი გაჩიტობულია და – ნ. რამიშვილი: ჩვენ მხოლოდ მორალურად ვართ ძლიერება, მაგრამ ხშირად მორალს ფიზიკური ძალის წაშველებაც სჭირდება, ჩვენი ძალა კი მუშათა ორგანიზაციებშია. მათ ეცოდინებათ მომენტის სირთულე და იქნებიან თავისუფლების სადარაჯოზე. სხვა არავითარი ძალა ჩვენ არ გვაქვს. იმედია ახლაც ავიცდენთ სამოქალაქო ომს. გნებავთ ვინმეს? ბრძანეთ.

– ს. ჯიბლაძე: ვღებულობ თავმჯდომარის სიტყვებს მხედველობაში და მოვითხოვ ყველა ამხანაგისგან: იყოს თავის სადარაჯოზე. რადგან ჩვენ გვაქვს მოვალეობა წავიდეთ დათმობებზე, რასაც გონიერება გვიკარნახებს, მე ვიმეორებ ჩემს წინადადებას და თავმჯდომარეს ვთხოვ, რომ კენჭი უყაროს მას. იქნებ სხვასაც აქვს წინადადება? არავის. თავმჯდომარე აყენებს ს. ჯიბლაძის წინადადებას, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული.

მეორე დღეს ყრილობაზე კიდევ დიდი მღელვარებაა, ესერები უარს ამბობენ ჩვენს წინადადებაზე, ბოლოს ითხოვენ, რომ არბიტრის მოვალეობა იყოს მოხსნილი, მაგრამ ფაქტიურად იგივეა.

ნაშუადღევს უორდანია ტრიბუნაზე. მღელვარება არ წყდება. ნოემ ხელი ასწია, ხმაურობა შეწყდა ისე, რომ ბუზის ფრენაც ისმის, მერე ხარლამოვისკენ გაიშვირა და თქვა: „ვთხოვთ მოუსმინოთ!“ არცერთი საწინააღმდეგო ხმა არ ყოფილა. ხარლამოვი ამბობს: „დიდი ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, წილათ მხვდა გამოვაცხადო, რომ მოხდა შეთანხმება და თავმჯდომარეობაზე დათანხმდა ბატონი უორდანია“. დელეგატები მიცვინდნენ ნ. უორდანიას, ხელში აიყვანეს ციმციმ და დასვეს თავმჯდომარის სავარძელში. ესერები უკმაყოფილო და ამრეზილი არიან. ნ. უორდანია ხსნის კრებას და თხოულობს პრეზიდიუმის სიას. ესერები არ ადგენენ. ნ. ხომერიკი ადგენს თავმჯდომარის ამხანაგის და პრეზიდიუმის სხვა წევრების სიას. ესერებში ეს იწვევს დიდ უკმაყოფილებას, ისინი უარს ამბობენ ამ სიით არჩევნებზე. თავმჯდომარე იძლევა წინადადებას: ესერების საინციატივო ჯგუფისგან და სოც.-დემოკრატებისაგან შედგენილმა კომისიამ წარმოადგინოს შეთანხმებული სიაო. ს. დემოკრატებისგან დასახელებული იქნა ნ. ხომერიკი. კომისიაში რა მოხდა არ ვიცი, მაგრამ ხომერიკი კმაყოფილი იყო, რადგანაც იქ საბოლოოდ მოხდა შეთანხმება. იმ საღამოს

გამოირკვა, რომ ესერებს უნდოდათ კრების დატოვება, მუზეუმი მრავალი მოლაპარაკების შემდეგ დარჩნენ; მოხსენებები მხატვრული გაეცემოდიათ.

უხერხული მდგომარეობა შეიქნა. მგონი ლეო ნათაძემ შეიტანა წინადადება: რადგან ასეთი მდგომარეობაა კრება დავანაწილოთ ნაციონალურ ერთეულებად, იქ გაცემდეს მოხსენებები და იქ იქნას დამუშავებული რეზოლუციები, შემდეგ მოვახდინოთ საერთო კრება და იქ მივიღოთ საერთო დადგენილებაო. პრეზიდიუმმა მიიღო ეს წინადადება და მეორე დღეს კრება გაიყო ეროვნულ ერთეულებად. აქაც ესერებმა მოითხოვეს რუსული ეროვნული სექცია. საკითხი გაირჩა აგრეთვე პრეზიდიუმში. ესერებმა საბოლოოდ მოხსნეს ეს კითხვაც და დაიწყო მუშაობა ეროვნებათა სექციებში, რომელთა ანგარიშები გამოქვეყნდა.

დამყარდება რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა?

თითქმის დამთავრებული იყო კრება, კოლია ახნაზაროვი მოვიდა და გამოუძახა ნოე ხომერიკს. ის დალლილი და გაოფლიანებული იყო. რომელიდაც უბანში მომხდარიყო სკანდალი და იმ უბნის ორგანიზაციის კრებაზე წაიყვანა. იქ კიდევ უფრო გაოფლიანებულიყო, კრებაზევე ეგრძნო თავი ცუდად, საღამოს კი სიცხე მისცა. ეჭიმებმა ჯერ თქვეს: ანთების ნიშნებიაო, მესამე დღეს კი დასასვენებელის: ანთება არ არის, დალლილიაო და დასასვენებლად გაგზავნეს ბორჯომში. მეც თან გავიდვი.

ერთი კვირე გავიდა. ნოე უორდანია ჩამოვიდა დაქანული, გაბუძული, გაუკრევავი; მესამე დღეს უთხარი: ბ-ნო ნოე, აბა ჩაიხედე სარკეში, წავიდეთ სადალაქოში-თქვა. – „მართალი ხარ, წავიდეთ“ და წავედით. იქ აურაცხელი ხალხი იყო, თორმეტ საათამდე ვუცადეთ, თორმეტზე კი სადალაქო დაიხურა და ჩვენც იძულებული ვიყავით წავსულიყავით. სიცხე იყო. სასახლის ეზოში ერთი რაღაც დაკორებული მორჩილი ნიგზის ხეა, რომლის ძირში პატარა ფიცრის გრძელი ხის სკამი დგას. იმ სკამზე ჩამოჯდა ნოე, ქუდი მოიხადა, ცხვირსახოცით ოფლი მოიხოცა. ამ დროს ვიღაც აფიცერი მოგვიახლოვდა, ძალიან მოწიწებით თავი დაუკრა, მეც საღამი მომცა. ვატყობ, რომ ნოემ ვერ იცნო. მე ცოტა გავშორდი მათ. გავიგონე ნოეს ხმა: ყველგან ძალიან სიტროხილეა საჭირო. მოიქეცით როგორც სინდისმა და რევოლუციის პატივისပე-მამ გიკარნახოთ. ვეცდები, უპასუხა აფიცერმა და წავიდა.



ნოეს ძირს აქვს თავი დახრილი, მივუახლოვდი და ხუმრობის კულტურა
ლოთი უთხარი: რას ფიქრობთ, ბ-ნო ნოე, დამყარდება რუსულში თუ კულტურა
დემოკრატიული რესპუბლიკა? თითქოს ასეთ კითხვას არ ელოდა,
უციათ თავი აწია, შემომხედა და მიძასუხა: „გასულელდი ბიჭი!
რუსეთი და დემოკრატიული რესპუბლიკა ერთად ვის შეუძლია წა-
რმოიდგინოს“. მე გამამხნევა და გამახალისა მისმა ასე მომართვ-
ამ. –აბა, ბატონო, რას ვფოჩიხობთ, კინაღამ ამ კრებებს გადაყე-
ვით, აბა რა იქნება? –რა იქნება? რა იქნება და რუსეთში შეი-
ქნება შეხლა-შემოხლა, ანარქია, ძნელია იმის თქმა, თუ რომელი
ავანტიურისტი მოაჯდება რუსეთს და გაბატონდება. –აბა, ჩვენ
რაღას ვხლაფორთობთ? –ის: ჩვენ მართლაც მრავალი ფოჩიხი და
ბრძოლა მოგვიწევს; უნდა გავწიოთ ის უღელი, რაც რევოლუციამ
დაგვადგა. –მე: კი ბატონო, მაგრამ რისთვის? –ის: ეხ, ჩემო გი-
ორგი, გულზე რომ ხელები დავიწყოთ და როგორც სხვებმა ვიძა-
ხოთ: გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკასო!, ამითი რას გავიმა-
რჯვებთ?! –მე: კი ბატონო, მაგრამ თქვენ ბრძანეთ: რუსეთში დე-
მოკრატიულ რესპუბლიკას ვინ წარმოიდგენსო. –ის: როგორ გაქვს
წარმოდგენილი დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, ის ერთი
დაკვრით კი არ კეთდება. მის შეგნებას და მომზადებას დიდი
დრო უნდა და დიდი მუშაობა. –მე: კიდევ მოგახსენებ: მაშ ჩვენ
რას ვფოჩიხობთ და ვფაფხურობთ. –ის: მე ვფიქრობ, რომ ამ ან-
არქიის დროს იქნებ დაგძერეთ რუსეთს. ჩვენ გვყავს დემოკრატია,
ჩვენი ფოჩიხი, ფაფხური და გმირობაც იქნეთ უნდა იყოს მიმარ-
თული, რომ რუსეთის ანარქიამ არ ჩაგვნთქას; უსათუოდ დიდი
დაბრკოლების წინაშე ვდგავართ, ხომ ნახე, როგორი არასაკადრისი
მეთოდებით იბრძვიან, დემოკრატიის გზაზე შედგომის საშუალებაც
არ უნდათ მოგვცენ! უნდა ვიმოქმედოთ, მწიფე მსხალი მისით პი-
რში არ ჩაგვივარდება ერთბაშად. ჩვენი გზა სწორია, მაგრამ ძა-
ლიან ეკლიანია; ხელები უნდა დაგვიხველოს ეკლებმა; იმედია,
რომ გავალთ სამშვიდობოზე. არ შეშინდე. –მე: თვითმპყრობელო-
ბა, რომელიც ყოველგვარი თავისუფლების სულთამხუთავი იყო, აღ-
არ არის, რიღას უნდა მეშინოდეს! –ის: ეხ ჩემო გიორგი, „ნე-
ტარ არიან მორწმუნენი“. თვითმპყრობელობამ იმდენი კროკოდილი
დასტოვა, რომ მათ კბილებს ბევრი ვერ გადაურჩება. ეს რევოლუ-
ცია გამოწვეულია არა დემოკრატიის შეგნებული მოქმედებით, არ-
ამედ სხვადასხვა ინტერესთა შეერთებით ომთან დაკავშირებით და



ომისგანვე არის გამოწვეული, ვინ დაანებებს დემოკრატიას ტახტაზე ვჩებას და რომც დაანებონ, სადაა მერე რუსეთში ეს სანატორიულ დემოკრატია?! თუ შენ ფიქრობ კარლოს ავტორიტეტის გარშემო შემოკრებილთ, ის ჯერ სჭირდებათ, არავინ არ არის ჯერ გონზე მოსული და შეჯუფებული; სულ მაღლე მოვლიან გონს, შეჯუფებიან იმ შენი ორიოდე სწორი გზის მაჩვენებელთა, კარლოს ჩათვლით, წინააღმდეგ. არ გართ უზრუნველყოფილი მათი ფიზიკურად გადარჩენის. ხომ ხედავდი, ყოველ მხრივ ძლიერი ვიყავით და როგორ თაღლითობდნენ და არაეთილსინდისიერად იქცევდნენ?! როგორ ფიქრობ, რა იქნება იქ? ამიტომ ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვინდაროთ, რომ დავძვრეთ რუსეთის ქაოსს. ამასთანავე ყოველ მხრით ხელი უნდა შევუწყოთ, რომ იქ შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენთვის მისაღები და ოდნავ მისადგომი მაინც იყოს ის.

—მე: რა უნდა შეიქნეს ჩვენთვის მისაღები? —ნოე: მართალია, რუსეთს დაპყრობითი წინა ეშვი მოძვრა, მაგრამ სრულიად მოულოდნელი არ იქნება, მას ახალი დაპყრობითი ღოჯები რომ ამოუვიდეს. ჩვენი ცდა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ხელი შეუმაღლოთ დამპყრობითი ღოჯების ამოსვლას, რაც ძალიან გაგვიძნელდება იქ დემოკრატიის სრულ უძლურების გამო. ჩვენი გზა ერთადერთია, სანამ იქ რაიმე ფორმის ახალი დამპყრობითი ღოჯებიანი ძალის სტაბილიზაცია მოხდებოდეს, ვისარგებლოთ შექმნილი ქაოსით და დავძვრეთ იქიდან, თორემ თუ იქ ჩავრჩით ახალი ფორმის იმპერიალისტების კლანჭებში, ჩვენს ხალხს კიდევ დილხანს მოუწეს ბრძოლა სხვადასხვა ფორმებით და ვინ იცის როდის დაუდგება დრო თავის გადარჩენის. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას და მოქმედებას ალოს აუღებს ჩვენი დემოკრატია და ვიმოქმედებთ მედგრად იმედია, რომ ამ ხანად შექმნილ მდგომარეობაში დადგა დრო ჩვენი ხალხის ფიზიკური და ეროვნული გადარჩენისა და, თუ ჩვენ მოქნილ ტაქტიკას დავადგებით, დავძვრებით რუსეთს. — მე: მაშ, პეტერბურგის მუშათა საბჭოს ჩანთქავს რუსეთის ანარქია და ქაოსი? —ნოე: როგორც გითხარი, კარლოს მოქმედება შეიქნა იქ ჩვენთვის მისაღები, ჩვენს მდგომარეობას ის არ ეწინააღმდეგება, ის შედის ჩვენს აუცილებელ ანგარიშში. ამ დროს მოვიდა კიდევ ერთი სამხედრო პირი, რომელიც ნოემ იცნო. მისაღმების შემდეგ ნოეს ამცნო: მგზავრიან ფრონტზე. მე გავშორდი მათ. ილაპარაკეს დაახლოებით ხუთი წუთი. აფიცერი

რომ წავიდა, სადილისთვისაც დარეკეს, ნოემ გააგრძელა შეუწყებელი საუბარი: წავიდეთ გიორგი, იქნებ გვაჭამონ არაჟ; შეუწყებელი ქრობ, რომ არა ექნებათ რა. დილას კარაჯი არ ჰქონდათ, ჩემი კუჭი ქონს ვერ იტანს. ნუ დალონდები ჩემო გიორგი, კარლო პეტრიანია, იმას უკვე აქვს აღლო აღებული და საჭიროა ბოლომდე მისვლა. ის თავის დრომდე გააგრძელებს მის მოვალეობას, ლაჩრად არ მოიქცევა და ჩვენც ხელი უნდა შეუწყოთ. მივდივართ. მე: რა ძალები იხედება, რომ რევოლუციას უხელმძღვანელოს? —ნოე: ერთადერთი კარლოს ხაზია, რომელიც გარშემოსეულია ყოველგვარ შევი ძალებით. —მე: ვის შეუძლია აიღოს ხელში ძალაუფლება? —ნოე: ამჟამად გამოსულია სამხედრო ძალები, რომლებსაც ხალხში არავთარი ნდობა არ აქვთ, სამოქალაქო ომში კი ყოველთვის დემაგოგები იმარჯვებენ და ავანტიურისტები, ისე მკითხაობა იქნება ამჟამად რამის თქმა. შევედით სასადილოში.

(პიერველი რვეულის დასასრული)

გიორგი კონას ძე წერეთელი

*** *** ***

გიორგი ტოგონიძე

ვი ქ ტ ო რ ჰიუგოს პორტრეტის წინ

მინდა მოგმართო და სიტყვა ჩემი
იქნებ სევდიან გულის თქმა იყვეს,
მსურს გადავლახო მთების მიჯნები,
დავსახლდე, სადაც უსვენარ ჯიხვებს
კლდოვან ხევებში გაუდგამო ბინა,
ეგებებიან ღამით ვარსკვლავებს.

დღეს არავინ არს სხვა ხელოვანი,
შენსავით წმინდა, სათუთ გრძნობებით,
შენსავით სწორი და გულოვანი,
ამბობდეს სიტყვას თავგამოდებით,
და ბრძოლის ველზე თავისუფლების
ხალხთან ალამით იღეს სწორებით.



შენ უგალობდი გმირ კარბონარებს
და ესპანეთიც გეკიდათ გულზე,
ბევრჯერ ცრემლებში სისხლი გარიეთ,
ლტოლვილობაში ჯერსის კუნძულზე.

თუმცა ცხოვრება ერთი ლანდია,
ყაყაჩოსავით ქრება ველადა,
არ დაგვიწყნია შენ ირლანდია
და ხმალს უქებდი მებრძოლ ელადას.

სხვა ვინდა არის მართლაც, რომელსაც
შენებრ დაჰჭონდეს ხალხთა ხსენება?!
დღეს საუკუნე ხნიერ ჰომერსაც
საშინელებად მოეჩვენება.

ასე მგონია, გახსნია ეშმას
გზა ქვესკნელიდან, ვით ქვეყნის კაენს,
დღეს საუკუნის გვტანჯაგს ჩვენ რისხვა
და ესუნთქავთ შხამით მოწამლულ ჰაერს.

როგორც პარტახი მოჰჭონდათ ჰუნებს,
და რხევათ გულზე რგული ისრები,
ლეწავენ არისხვით დღეს საუკუნეს
სკვითის წითელი საჭურისები.

არავინ არის დღეს, რომ შევაქოთ
შენებრ მგოსანი სწორუპოვარი,
იბრძოდეს ხალხთან და წითელ დრაკონს
მთლად ჩაუქციოს თავშესაფარი.

რომ გაიღიძოთ და ნახოთ თვალით
დღეს ქართლზე მტრის წვა და სისხლის წვიმა,
ისევ შევიპყრობთ ვერხვის შრიალი
და ბრძოლის უინი მტარვალთა მიმართ.

დღეს ვერვის ვხედავ, რომ ქართლის ბედი



იხმობდეს ვინძვეს ასე ტანჯული,
მიტომაც არის შენთან მოვედი,
რომ მეთქვა ჩემი გულის წუხილი.

ვლოცულობ შენს წინ, ცაზე როდესაც
ამოდის მზე, და სანთლად ანთია,
მქლაგი კი მახვილს ღლე და ღამ ლესავს,
თავისუფლების ველი განთიადს.

პარიზი 15/V/ 1963

გიორგი ტოგონიძე

*** *** *** ***

თბილისის უნივერსიტეტის 70 წლისთავისათვის

„საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

ილია ჭავჭავაძის თაობა ოცნებობდა აღედგინა საქართველოში უმაღლესი სწავლების ტრადიცია, რაც მოიშალა მტრების შემოსევებისა და შემდეგ რუსეთის ხელისუფალთა გამარუსებელი პოლიტიკის შედეგად. ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმის პრაქტიკულად განხორციელებას სათავეში ჩაუდგა სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც მის ირგვლივ შემოიკრიბა მასავით გულმრტვალე პატრიოტ-მეცნიერთა ბირთვი, რომელიც მზად იყო ყოველგვარ მსხვერპლისათვის, ოლონდ ქართველ ხალხს ჰქონებოდა მისი უნივერსიტეტი.

დიდი დრო და ენერგია მოანდომა ივანე ჯავახიშვილმა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებისაგან რომ ნებართვა მიეღო, მაგრამ აგრეთვე, რომ დაეკლია სკეპტიკიზმი თვით ქართველთა შორის. ივ. ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის გახსნის უფლება რუსეთის ფრონტით მთავრობისაგანაც კი ვერ მიიღო და მხოლოდ მას შემდეგ განახორციელა, როცა რუსეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა და საქართველო პრაქტიკულად რუსეთიდან დამოუკიდებელი გახდა, ესე იგი 1918 წლის 26 იანვარს (ძეგლი სტილით), ქართული გიმნაზიის იმ შენობაში, რომელიც ნიკო ცხვედაძემ სწორედ ამ განზრახვით ააგო „მელიებისა და ტურების ვაკეზე“, როგორც მას დაიინვით ეძახდნენ ნ. ცხვედაძის გამჭიჭველნი.

თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებლები იყვნენ: ივანე ჯავა-



ხიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ფლიჭებული
გიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, იოსებ ბუღუბიძე, აკაკი ჭავჭავაძე და
ეს მეცნიერები იყვნენ, რომლებიც პირველად 1918 წლის 13 იან-
ვარს შეიქრიბნენ ცხვედაძისეულ შენობაში და ივ. ჯავახიშვილის
წინადადებით რექტორად აირჩიეს პროფესორი პეტრე მელიქიშვილი.
მიმავალი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს რიგით მეორე სხ-
დომა გაიმართა პროფ. მელიქიშვილის ბინაზე, რომელსაც ზემოდ
დასახელებულ პროფესორთა გარდა ესწრებოდნენ: ანდრია ბენაშვი-
ლი და კორნელი კვამიძე. მეცნიერ -პიონერთა ამ კრებამ გადა-
წყვიტა: უნივერსიტეტის გახსნის დღე დაეკავშირებია ჩვენი ეროვ-
ნული სიამაყის დედაბობის დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღისა-
თვის, 26 იანვრისათვის. ამრიგად, თბილისის უნივერსიტეტი იშვა
მსოფლიო და რუსეთის სამოქალაქო ომების ნგრევა-ქაოსში. თავი-
დან ის იყო კერძო ხასიათის, მაგრამ მალე, როგორც კი საქართ-
ველი იპოვებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, მას ენიჭება
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი. ეს ფაქტი, რომ ქართული
უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლებამდე დაარსდა, ვერაფრით ვარ
მოუნელებიათ საბჭოთა ხელისუფლალთ, ისინი დღესაც ჯიუტად და
ურცხვად აცხადებენ: „მხოლოდ დიდია ოქტომბრის რევოლუციამ
გახადა შესაძლებელი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაო“.

ღარიბულად, უბრალოდ, მაგრამ დიდი ეროვნული აღტინებით შე-
უდგა მოღვაწეობას ეს ჩვენი პირველი მეცნიერების კერა. მას და-
უყოვნებლივ მიაშურეს რუსეთში და ევროპაში უკვე სახელგანთქ-
მულმა ქართველმა მეცნიერებმა: გრიგოლ წერეთელმა, ალექსანდრე
ჯავახიშვილმა, ივანე ბერიტაშვილმა, ანდრია რაზმაძემ, ნიკო
მუსხელიშვილმა, ალექსანდრე ნათიშვალმა, დიმიტრი უზნაძემ,
მიხეილ წერეთელმა, გიორგი ახვლედიანმა, გიორგი ჩუბინაშვილმა
და სხვებმა, რომელთა სწავლა-განათლებას ტოლს არ უდებდა ლრმა
მამულიშვილობა. ამიტომაც იყო, რომ, სულ მცირე ღროის განმა-
ვლობაში, თბილისის უნივერსიტეტი მსოფლიოში აღიარებულ მეცნი-
ერების ინსტიტუტად და პატრიოტიზმის სანერგედ იქცა. ეს უკა-
ნასკნელი „ცოდვა“ არ აპარიეს საბჭოთა ხელისუფლებმა ჩვენი

უნივერსიტეტის ფუძემდებელ პროფესორებს. უნივერსიტეტს კონტრ-
რევოლუციის ბუდედ აცხადებონენ, მას კარჩაგეტილობასა და სქოლა-
სტიკას სწამებდნენ. ახალგაზრდა უნივერსიტეტი განსაკუთრებით
დაუზოგავად დაარბიეს 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების

შემდეგ. ოქტომბიდან გადაყენეს უნივერსიტეტის დამსახურებული და სტუდენტთა სათაყვანებელი პროფესორი ივანე ჭავჭავაძე უნივერსიტეტიდან გააძევეს: გრიგოლ წერეთელი, ალექსანდრე ბენა-შვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გომრგი გეხტმანი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მიხეილ პოლიევჭტოვი და მრავალი სხვა. ერთხანად შეიქმნა კიდევეც საშიშროება, რომ ამდენი რულუნებით დაარსებული უნივერსიტეტის კარებები შეიძლებოდა სრულებითაც დახურულიყო. საბოლოოდ უნივერსიტეტის ეროვნულმა სულმა გაიმარჯვა. ძველმა პროფესორ-აღმზრდელებმა მოასწრეს ისეთი მომავალი მეცნიერების გამოზრდა, როგორებიც იყვნენ: სიმონ ჯანაშია, გომრგი წერეთელი, ნიკო ბერძენიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, კოტე ბაქრაძე, სიმონ ყაუხებიშვილი, ვარლამ თოფურია და სხ.

ბოლშევიკთა მსახურელ ხელს გადაურჩა უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ახლახან გარდაცვლილი ბატონი აკაკი შანიძე, რომელმაც პირველმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი თბილისის უნივერსიტეტში და რომელიც მშობლიური უნივერსიტეტის თითქმის სამოცდა-ათი წლის ცხოვრების მონაწილე და ცოცხალი მოწმე იყო. ოცდა-ათიანი წლების ბარბაროსობას სასწაულებრივ გადაურჩნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორც მაგალითად: ნიკო მუსხელიშვილი, ელ-ეფთერ ანდრონიკაშვილი, ილია ვეკუა, სიმონ ყაუხებიშვილი და ზოგიერთი სხვები. ამ კეშმარიტ მეცნიერთა წყალობით გადარჩა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა ჩვენმა ეროვნულმა უნივერსიტეტმა, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდნენ სახელოვანი სამეცნიერო სკოლები: მათემატიკის, ფიზიკის, ფილოსოფიის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის. ჩვენს ამ მცირე წერილში ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ მეცნიერს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი უნივერსიტეტისა და საერთოდ ქართული აზროვნების განვითარებაში, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვახსენოთ პროფ. შალვა ნუცუბიძე და დომიტრი უზნაძე, რომლებიც ასევე სასწაულებრივ გადაურჩნენტი ბერიას რისხვას – შ. ნუცუბიძემ გადასახლებაში შესანიშნავიდ თარგმნა რუსულად ვეფხისტყაოსანი, ხოლო დ. უზნაძემ ჩამოაყალიბა ახალი

ფისიქოლოგიური სკოლა, რომელსაც საფუძვლად უდევს მისივე „განწყობის“ თეორია და „უზნაძის ეფექტი“ – და ბოლოს, – ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი ივანე ბერიტაშვილი.

თუ მხოლოდ მშრალ სტატისტიკას მივიღებთ მხედველობაში ფარილისის უნივერსიტეტის მდგომარეობა, მისი არსებობის 70 წელითაც ვზე, ურიგოდ არ გამოიყურება. განსისას იქ მხოლოდ ერთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი მოქმედებდა, 460 სტუდენტით, 7 პროფესორით, 5 პროფესორის მოადგილით, 2 მეცნიერი ხელმძღვანელით და 3 ლექტორით. სულ მაღლე გაიხსნა სამათემატიკო—საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები. 1920 წლის შემოდგომაზე უკვე 2800 სტუდენტი ითვლებოდა. დღეს უნივერსიტეტში 16 ფაკულტეტზე სწავლობს თოთხმეტ ათასამდე სტუდენტი, რომელთაც მომსახურებას უწევს 1500 -ზე მეტი სპეციალისტი, მათ შორის 203 მეცნიერებათა დოქტორი და 904 მეცნიერებათა კანდიდატი.

მაგრამ, თუ ახლოს მივაღთ და მდგომარეობას ყოველ მხრით ავწინ-დაგვწონით ბევრ ნაკლა და უკმარისობას აღმოვაჩინთ. თვით რექტორმა, ბ-ნმა ნოდარ ამაღლობელმა საიუბილეოდ სხვათა შორის განაცხადა:

„პრინციპული და მაღალი კრიტერიუმების პოზიციით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს საუნივერსიტეტო მეცნიერებას მრავალი ნაკლი აქვს. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თანამედროვეობის სამეცნიერო პროგრესის მაღალ მოთხოვნებს უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელთა სამათასიან კოლექტივში მხოლოდ ათეულები უსწორებენ თვალს. თავისი სპეციალობის სრულყოფილი ცოდნა, შერწყმული მაღალ ერუდიციასთან, დიდ შრომისუნარიანობასა და წმინდა მეცნიერულ მიზანსწრაფვასთან იშვიათად თუ ამკობს ჩვენი მეცნიერების ახალგაზრდა წარმომადგენლებს. ამის მიზეზი საქმაოდ ბევრია. ზოგი მათგანი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, კერძოდ: დამწყები მეცნიერის მომზადების საქმაოდ დაბალი დონე როგორც სპეციალურ დისციპლინებში, ისე უცხოურ და რუსულ ენებში; ახალგაზრდა მეცნიერის არასახარბიერო საყოფაცხოვრებო პირობები, რომელთა გაუმჯობესებასაც ფაქტიურად ახალგაზრდობის საუკეთესო წლების დიდი ძალისხმევა სჭირდება. ... და ბოლოს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი უნივერსიტეტის თანამედროვე მეცნიერული დონისათვის აშკარად შეუფერებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ... უნივერსიტეტს ძალზე აკლია არა მარტო თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა, არამედ ქსეროკომიუნიკაციის მანქანები, საბეჭდი მანქანები, საპროექტო დანადგარები და შესაბამისი ტექნიკური პერსონალი... უნივერსიტეტი განიცდის როგორც სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლთა საცხოვრებელი, ასევე, განსაკუთრებით,



სასწავლო-სამუშაო ფართობის დიდ დეფიციტს“.

პატივული რექტორი გასაგები მიზეზით ყველაფერს დაუკიდებით „სჯარო-ობისა,“ მათ შორის უმთავრესი მაინც ქართული უნივერსიტეტის გარუსების საფრთხეა, რომელიც დამკლეს ხმალივით ჰქილა მის თავზე. თუნდაც შარშანდელი ამბავი მოწმობს ამას, როცა ეგორ ლიგაჩოვა უბოლიშოთ მოითხოვა რუსული სექციისათვის ადგილების მომატება ქართულის ხარჯზე და რაც ბატონმა ამაღლობელმა დაუყოვნებლივ შეასრულა. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ თბილისის უნივერსიტეტს არ გააჩნია ის მინიმუმი ავტონომიაც კი, რაც აუცილებელია და რითაც სარგებლობს ყველა მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების უნივერსიტეტები. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ უნივერსიტეტიც გადიგდებს კრემლიდან მართულ კომპარტიის მძიმე უღელს და ამ არმენით ჩვენც, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ვზეიმობთ ბატონი ივანე ჯავახიშვილის თაობის უანგარო სიყვარულით დაარსებული ქართული ეროვნული მეცნიერების კერის სამოადაათ წლისთავს. დაე, მარადეამს ჰყვაოდეს ჩვენი ეროვნული მეცნიერების „ალმა მარერი“.

ილია კუჭუხიძე
მიუნხენი 1988.

გივი შაორელი

ა რ დ ა ვ ი ვ ი წ ყ თ

დიდებული სახელი: ედგარ ალან პო,
მან ხომ „ყორნის“ ტრაგიზმი მძაფრად მოგვითხრო.
და ლენორას ტრაგიზმი მძაფრად მოგვითხრო.
უკვდავია პო-ე-ტი: ედგარ ალან პო,
პო-ე-ზის მზეობით სული გაგვითბო,
სამოთხის იდუმალი კარი გაგვილო,
ოცნების ცათამბჯენი კოშკი აგვიგო,
უცნაური რითმები ფერხთით დაგვიგო,
ტრიგილები სულისა ბრძნულად გაგვიგო,
სადაც არ გვეკუთნდა, იქაც დაგვინდო,
ლბილი სიტყვის მოქნევით ცეცხლი დაგვინდო;
მარად მოსაგონარი: ედგარ ალან პო,



მეფე პო-ე-ტებისა: ედგარ ალან პო!
ჩვენ შენთან ვართ მარადის, შენთან ედგარზე
პოეზის მშვენებავ, ლექსის მეღდარო...

ვაშინგტონი 27.I.1984.

დილამშვიდობისა, ღმერთო!

შენ ყოველ დილით მოდიხარ მზესთან
და ხდები სუფთა, განახლებული,
აი, ამიტომ მოვედი შენთან
თხოვნით, რომ მეც მყო ახლადშვებული,
რომ მომიტევო ის შეცდომანი,
რაიცა წელან ვყავ მე მრავალი,
რომ დამიტყნარო სულის ცოომანი
და შენს მხარდამხარ ვიყო მავალი.
ჰოი, მამაო, ვუწყი მე კარგად:
არ ძალმიძს თავად გზას წარვემართო,
ამიტომ ხელი ჩამკიდე მაგრად,
თორემ სიარულს ვერ შევძლებ მარტო.

20.XI.1987.

გასაუბრება
ხალხურ ზეპირსიტყვაობასთან

„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება...“
რა ცოტა ხნით ვსტუმრებივართ!
ჩვენგან მაინც რა დარჩება?!

რაკი სიკვდილს ვწყურვებივართ,
ნატამალიც არ დარჩება.
მაგრამ თუ ღმერთს ვსურვებივართ,
ჩვენზე ხსოვნა გადარჩება.
„ერთმანეთს თუ არ ვუშველით,
ამის მეტი რა შევრჩება“.

„წუთისოფლი ასეა:
ღამე დღეს უთენებია“.
გული რომ ტრფობით სავსეა,
ეს ვინმეს უხსენებია?
“რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია“.
კაცს თუ გზა აუნგრევია?
მაცხოვარს უმშვენებია.
ხიდი თუ ჩაუნგრევია?
ღმერთს სხვა გზა უჩვენებია.



„სანამ ცოცხალ ვარ ასე ვიქმ:
ვახარებ ჩემსა იასა“.
არ აღვიგვები სავსებით,
დავტოვებ პოეზიასა.
„მოვკვდები, გაუხარდება

სამარის კარსა ჭიათა“
კაცს გული აუჩქარდება
ლექსი დათრობს მზიასა,
გულს ნექტრად გაუტარდება
საწყალ კაცს, მავალს გვიანსა.

22.I.1988.

ა მ ა თ ე ბ ი ს კ ლ ა ნ ჭ ე ბ შ ი

იყო, და არა იყო რა...
არის, და არა არის რა...
იქნება, და არა იქნება რა...
ღვთის უკეთესი მაინც
არა იქნება რა...

ა ვ ტ ო რ ი

ეჰ, თაო ჩემო, რაც იყო, იყო,
ეგების სულაც არარა იყო,
ანდა თუ იყო, ის ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტივით რომ ჩამქვდარიყო.
რა გაეწყობა, რაც იყო, იყო...
ეჰ, ძმაო ჩემო, რაც არი, არი,
ხან თუ შეშაა, ხანაც ნაცარი,

სიცოცხლე მოქლე, ნაწამწამარი,
აქვე, სულ ახლოს საფლავ-სამარი,
ჯანი გავირდეს! რაც არი, არი...
ეჰ, დაო ჩემო, რაიც იქნება,
ისიც სულ მაღე გაიციცქნება,
ხან ჩაიბუუტებს, ხან აღინოება,
წამს აღმაღლდება, წამს შთაინ-
თქება.

ჰო, რაც იქნება, დაო, იქნება...

15.III.1988.

„ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი ეს არის“ – შექსპირი

„იყვნენ და აღარ არიან“-
ჰოი, რა გულსატკენია!
სიცოცხლეს ვერ შეხარიან,
მათ სულს წყვდიადი ჰფენია.

ჩვენც „ვართ და აღარ ვიქნებით“
ჰოი, რა გულსაკლავია!
წარვალთ და განვიქიქებით,
ჩამქრალი, ვით ვარსკვლავია.

„იქნებიან და“ ისინიც
ხომ „აღარ იქნებიან“-ო,
ვიღაც ჩაგდახის სისინთ,
თავო შავფიქრებიანო !

გიგი შაორელი

მაგრამ, სიცოცხლის ხორბალი
უკვდავი, უქრობიაო, უისული
იბრუნებს ყოფნის ბორბალი,
ღმერთს ასე უთხრობიაო ...

XII. 21. 1987.

გაშინგტონი, ტაკომაპარკი.

*** ***

ირაკლი ოთხმეზური

ქართულ რჩეულ ლექსებს

ლექსების წიგნს ხელში ვიღებ,
მჭევრმეტყველებს მასში ყველა,
სინაზით და რჩეულ სიტყვით,
ზოგჯერ სევდით ბედისწერა.

დიდი მგოსნის ლექსებს ვფიცავ,
და რუსთველის მოგონებას,
საქართველოს ქალწულ ზეცას,
მათ მიუძღვნი ჩემსა ვნებას.

დანდობილი, განზომილი,
აწონილი სწორი კაცის,
შეუპოვარ სიმართლისთვის
ჩაკირული გულმამაცის.

გზნებით უთქვამთ სიტყვა რთული,
არ ჩანს მისი დასასრული,
ყვავილების კონა ლორთქო,
სურნელებით იგი სრული

სხვისი ლექსიც ჩემი არი,
როს გულს მოხვდეს როგორც ლარი,
ერთი ენის ნაყოფია
მოხდენილი, აზრით მძლავრი.

რომელ ერთი მოვიგონო,
რომელ ერთის ვთქვა დიდება,
მათი სიტყვა ჩემში ხარობს,
ჩემი სული მით ივსება.


ლექსი წმინდა, ზეცის ნამი,
დროის გარეთ, ვერ ჰყლავს უამი,
აგვიმაღლოს ვნება თბილი,
აღამიანთ გრძნობა მყარი.

ხოტბას ამბობს, გვეფერება,
და ლექსია ბევრის მთქმელი,
ტაბიძის და იაშვილის
იქ დამალული ცრემლები.

ირაკლი ოთხმეზური

გიორგი პაპაშვილი: მწერალი, მოქანდაკე

გარდაცვალებიდან ათი წლისთავი



რამდენი ქართველია, ვისაც გაუგონია ან იცხობდა გიორგი პაპაშვილს? დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მცირე რიცხვი, განსაკუთრებით ახალი თაობის შორის. როგორც ეს არაერთხელ მომხდარა წარსულში ბევრი ახლა ცნობილი ქართველის შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ გიორგი პაპაშვილიც უფრო მეტად ცნობილი გახდება ქართველთა შორის.

არ იფიქროთ, რომ ის საერთოდ არ იყო ცნობილი. ოუმცა შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი მცირეა, მაინც არიან დაფასების ღირსი ქართველები: ექიმები, ინჟინერები, უნივერსიტეტის პროფესორები, მოქანდაკენი, გენერლები და სხვანი, მაგრამ ეროვნული მასშტაბით ორი თუ სამია ცნობილი და მათ შორის ერთ-ერთია გიორგი პაპაშვილი, რომლის გარდაცვალებიდან ათი წელი სრულდება წელს მარტში.



გიორგი პაპაშვილი დაიბადა 1898 წელს 23 აგვისტოს, მარტის უკანასკნელი კობიანთკარში, ლარიბი გლეხის ვანო პაპაშვილის ოჯახში. კაცი ანთკარი იყო ლარიბი სოფელი, რომელსაც არ გააჩნდა: ფოსტა, მაღაზია, წისქვილი და არც ეკლესია; მაგრამ იშვიათად თუ ისურებდა ვინმე სოფლის დატოვებას და მის გარშემო მთების, ფურისულათი გამწვანებულ ველების, მაყვლისა და შვინდის ბუჩქებით დაფარული ფერდობებისა.

გიორგის დედა მშობიარობას გადაყვა, ვიდრე მოასწრებდა ოთხი წლის გიორგისათვის წერა-კითხვის სწავლებას. გიორგი წერა-კითხვის უცოდინარი დარჩა. ჯერ კედები მცირეშლოვანი, იგი შევიწყდად მოაწყვეს ხმლის მჭედელთან. ამ საქმეში დახელოვნებულმა, ორი წლის შემდეგ მუშაობა დაიწყო მეუნაგირესთან, სადაც დახელოვნდა ტყავის მოხატვაში და დარჩა თხუთმეტი წლის ასაკამდე. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გიორგი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც ის სამი წელი დარჩა საავიაციო განაყოფში მექანიკოსად და დროდადრო, ამერიკაში დამზადებულ „პაკარდის“ ავტომანქანაზე, ნაწილის უფროსის მძლოლად.

ომის დამთავრებისა და რუსეთში რევოლუციის შემდეგ ის აღმოჩნდა თურქეთში, სადაც ტაქის მძლოლი იყო. სამი წლის განმავლობაში ის ოცნებობდა ამერიკაში „პაკარდის“ ავტოქარხანაში მუშაობაზე და ამ ხნის განმავლობაში დამარილებული ზეთის ხილითა და ხმელი პურით იკვებებოდა, რათა ფული შემოენახა ამერიკაში გასამგზავრებლად. 1921 წელს მისი ოცნება აისრულა-ნიუ-იორკში ჩამოვიდა.

რაღაცანაც ამერიკაში ვერსად მიაგნო ხმლის მჭედელს ან ტყავზე ორნამეტების ამომკრელს, ერთადერთ საშუალებას წარმოადგნდა მიებაძა მრავალ სხვა ემიგრანტისთვის და მუშაობა დაეწყო სამუშაოზე, რომელსაც იშოვნიდა. სხვა მრავალ სამუშაოთა შორის, რომლებსაც ის აღწერს მის თავგადასავლის წიგნში, საბოლოოდ მოეწყო ქალაქ დეტროიტში, ადრე ნაცნობ „პაკარდის“ ავტოქარხანაში და იქ დარჩა 1928 წლამდე. როგორც ის ამბობდა ხოლმე, „თუ ის ზამთარი არა, როდესაც დეპრესიამ მოაკვდინა ეს ადრე ბრწყინვალე და სიცოცხლით სავსე ქალაქი, დღესაც იქ ვინებოდიო“.

მის მიერვე შეკეთებული ავტომანქანით ის გზას გაუდგა დასავლეთისაკენ და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, რომლის დრო-



საც მრავალი ძველი და ახალი ემიგრანტი გაიცნო სხვადასტუდიული ქვეყნებიდან, ჩავიდა ქალაქ ლოს ანჟელესში. იქ ნაცნობდნენ სტატისტად. ლოს ანჟელესიდან გადავიდა სან ფრანცისკოში, გაეცნო რამდენიმე ქართველს, მათ შორის სამს, რომლებიც სწავლობდნენ ბერკლის უნივერსიტეტში, რომლებმაც ერთ დღეს ის წაიყვანეს უნივერსიტეტის დასათვალიერებლად, სადაც გაიცნო ბიბლიოთეკარი ქალი ჰელენ უეიტი. ერთი წლის შემდეგ გიორგი და ჰელენი დაქორწინდნენ. მრავალჯერ სამუშაოსა და საცხოვრებელი აღილის გამოცვლის შემდეგ, ისინი საბოლოოდ დასახლდნენ ჰენსილვანიის შტატში ფერმაზე, იმ არეში, რომელიც ცნობილია იქ მცხოვრები ხელოვნების მოღვაწეებით. ახლო მდებარე ქალაქ ალანტაუნში ჰელენმა გახსნა წიგნების საკუთარი მაღაზია, გიორგი კი უშედეგოდ ცალილობდა ფერმერობას, ბოსტნეულის გაშენებით. ამ ფერმაზე დაიწერა გიორგის და ჰელენის თანამშრომლობით წიგნი „ანიტინგ კან ჰაპენ“, რომელიც გამოქვეყნებული იქნა 1945 წელს და გახდა ე.წ. „ბესტ სელერი“. ამ წიგნის ორი მილიონი ცალი გაიყიდა და ის ითარგმნა 21 ენაზე. მის საფუძველზე ჰოლივუდში გადაიღეს ფილმი იგივე სახელწოდებით, რომელშიც მთავარ როლს (გიორგი პაპაშვილი) ასრულებდა კინო-ფილმების, ღრამატიული თეატრისა და სატელევიზიო ფილმების ცნობილი მსახიობი ხოზე ფარერი.

გარდა ამ წიგნისა პაპაშვილებმა გამოაქვეყნეს ხუთი სხვა წიგნი. ერთ-ერთი მათგანი ეხება 1962 და 68 წელს საბჭოთა კავშირში მოგზაურობებს. გიორგი დიდად კმაყოფილი დარჩა საქართველოში და მის სამშობლო სოფელში სტუმრობით.

გიორგი პაპაშვილი შეერთებულ შტატებში უფრო მეტად აღიარებულია, არა როგორც მწერალი, არამედ როგორც მოქანდაკე. 1939 წლის ერთ მშვენიერ დღეს, საუზმეზე მოპატიუებული მეგობრები და ჰელენი საუბრობდნენ ხელოვნებაზე. საუბარში ჩაურევლად უსმენდა გიორგი გამოთქმულ აზრებს. გამოითქვა აზრი, რომ ხელოვანს უნდა გააჩნდეს აკადემიური განათლება. გიორგის აზრით კი, ვისაც შეუძლია ზუსტად დაუკვირდეს ცხოველს: ძალს, ცხვარს „ვისაც შეუძლია მისი გამოძერწვა“. რა თქმა უნდა, მას არან ცხენს, შეუძლია მისი გამოძერწვა“. საუზმის შემდეგ გიორგი გავიდა და მთელი დღე გაატარა ფერმის საწყობის შენობაში, რომელიც შემდეგში გარდაიქმნა მის სახელოსნოთ, და ვახშამზე გამოცხადდა მისი პირვე-

ლი, მუხისაგან გამოძერწილი, მსუქანდუმიანი ცხვრის ქანდაკებულები
იმ დღიდან გარდაცვალებამდე გიორგიმ შექმნა ნისგან 50 ათასშეუერ
სგან 600 -ზე მეტი ქანდაკება. დღეს ამ მის ნამუშევართა დღიდ
უმრავლესობა შემონახულია მუზეუმებსა, დიდ დაწესებულებათა და
კერძო კოლექციებში. გიორგი ცნობილი გახდა ხელოვანთა წრეებ-
ში, ხელოვნების მცოდნეთა შორის და მოსახლეობაში. მისი ნამუ-
შევრები მრავალჯერ იქნა ნაჩენები ვაშინგტონის, ფილადელფიის
ნიუ-იორკის და სხვა ქალაქების მნიშვნელოვან მუზეუმებში. მისი
ნამუშევრების გამოფენით გაიხსნა ვირჯინის პირველი დედაქალა-
ქის ვილიამსბურგის ახალი საკონფერენციო გალერიის ცენტრი და
პენსილვანიის დედაქალაქ პარისბურგში, უილიამ პენის სახელმის
მუზეუმმა გამოაფინა გ. პაპაშვილის მიერ შექმნილი სამოცი ქან-
დაკება. გ. პაპაშვილზე გრძელი სტატია იქნა გამოქვეყნებული შე-
ერთებულ შტატების ხელოვნების ერთ-ერთ უურნალში. ხელოვნებ-
ათმცოდნე რიჩარდ რიდმა განაცხადა: „პაპაშვილი თვით ქვას ალ-
აპარაკებს, რამდენადაც შესაძლოა ნაკლები სილრმის ჭრილებით“.
ხელოვანთა წრეებში პაპაშვილს უწოდებდნენ „ბუნებრივ და იშვი-
ათ ტალანტს, რომლის აკადემიურ გაუწვრთნელობას ხელი არ შე-
უშლია მისი ძლიერი გრძნობის გამოთქმისათვის“. აგრეთვე, უენის
უნივერსიტეტის სახვითი განათლების ფაკულტეტმა კინო-ფილმი გა-
დაიღო პაპაშვილის შემოქმედებაზე, რომელსაც უჩვენებენ სკოლებ-
სა და სხვადასხვა შემოქმედებით ორგანიზაციებში, როგორც სახე-
ლმძღვანელოს.

მე პირადად გიორგის ვიცნობდი თითქმის ოცდახუთი წლის განმა-
ვლობაში, მაგრამ ნახული არ მქონდა მისი არცერთი ნამუშევარი,
მის სახელოსნოსა და ჩემს საცხოვრებელ აღგილს შორის დიდი მან-
ძილის გამო. მაგრამ 1979 წელს მომეცა შესაძლებლობა, რომ დავ-
სწრებოდი ქალაქ ბეტლეჰემში გ. პაპაშვილის ნამუშევართა საგან-
გებო გამოფენას. გამოფენის შემდეგ, გზად სახლისაკენ მიმავალი
შევჩერდი ერთ რესტორანში სავახშმოდ, სადაც გავიცანი შ. შტა-
ტების ხელოვნებათა აკადემიის ყოფილი თავმჯდომარე, უნესკოსთ-
ან არსებული მხატვართა საერთაშორისო ორგანიზაციის ყოფილი
თავმჯდომარე და ცნობილი ამერიკელი მხატვარი ვილიაშ შმიტი.
ბ-ნი შმიტი კარგად იცნობდა გიორგის და მისი კარგი მეგობარიც
იყო. მან შეაქო გ. პაპაშვილი არა მხოლოდ როგორც საუკეთესო
ხალოვანი, არამედ როგორც საუკეთესო ადამიანიც და გამიმეორა

მეგობარი მხატვრის, არტურ მელცერის სიტყვები: „გიორგი! უფრო დღეს შვილი იყო არაჩვეულებრივი ადამიანი, მამაკაცი მამაკაცია რის. თუ კი ვინმეს ბედი სწვევია და გიორგი გაიცო, იგი მისი გაცნობით უფრო მეტად გამდიდრებული დარჩაო“.

გიორგი პაპაშვილის ას აკრიან ფერმაზე, რომელიც ამჟამად გამოცხადებულია, რომ ანდერძით შტატის საკუთრებად იქცევა, როგორც გარეული ფრინველებისა და ცხოველების თავშესაფარი, არცერთი გარეული ცხოველი და ფრინველი არ შემიმჩნევია. ფერმის ყოველ კუთხეში შევამჩნიე მხოლოდ ჭვიდან გამოქანდაკებული ჯიხვი, დათვი, ერთმანეთთან მოთამაშე ციყვები და სხვა. ჩემზე უსაშველო შთაბეჭდილება დასტოვა „მაღაროელის სიკვდილმა, რომელიც უჩვენებს ჩამონგრეულ მაღაროში კისერგადატეხილ მემაღაროელს, და „რაჭველი მესტოირე“ -ს ქანდაკებებმაც, რომლებმაც პირველად დამანახეს, თუ რამდენი საერთოა ფიროსმანის ნახატებსა და პაპაშვილის ქანდაკებებს შორის. ამ ქანდაკებებიდან თითქმის არცერთი არ დარჩა, შეისყიდეს კერძო პირებმა ან კორპორაცებმა. „მაღაროელის სიკვდილი“ ამჟამად ეკუთვნის მაღაროელთა პროფესიონალის გაერთიანებას.

როგორც ქალბატონმა ჰელენმა მითხრა, გიორგის და მისი საქართველოში პირველი სტუმრობის დროს, გიორგიმ თბილისის რომელიღაც მუზეუმს საჩუქრად გადასცა ერთი მისი ნახელავი, მაგრამ მეორედ სტუმრობისას ის იქ ვერ იპოვნეს და არც არავინ იცოდა თუ სად გაპქრა ეს ქანდაკება. იქნებ იმ მუზეუმის მმართველობამ ულირსად ჩათვალა ამ ქანდაკების ჩვენება ან მომავალი თაობისათვის მისი შენახვა ისე, როგორც ეს მოხდა მეფის რუსეთის დროს ფიროსმანის შემთხვევაში.

ქ. ბეტლეჰემიდან ვაშინგტონამდე ავტომანქანით ოთხი საათის სავალი გზაა. ორივე მიმართულებით ოთხხაზიან გზატკეცილზე მიღიხართ, ერთ საათში იოხმონუდათი კილომეტრის სისწრაფით; თანამგზავრი არ გყავთ; შესტოპავთ ფიქრებში ბავშვობის წლებზე, რომელსაც მოგაგონებთ პენსილვანიის მთიანი ადგილები; ფიქრობ მომავალზე, გუშინდელ საღამოზე და ღმერთმა იცის კიდევ რამდენი რამ გაგონდებათ, რომელიც დიდი ხნის წინ დაივიწყეთ. ამ ფიქრებში გამახსენდა გაზეთ „სამშობლოში“ გამოქეყნებული ერთი ქართველის სტატია დასავლეთში მოგზაურობაზე, რომელიც განსაკუთრებით საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს ეხებოდა, რომ თი-

თქოს მშენებარება გამოიწვია მასში იმ ქართულმა, რომელიც კულტურული ემიგრანტები მეტყველებენ, მაგრამ, ამავე დროს არ ჰქონდა ენერგეტიკული რესურსების საუცხოო რუსულ ენაზე. მაშიასადამე, მისი შეხვედრები უფრო რუსებთან იყო და არა ქართველებთან. ვითქმირე: ნუთუ ამ კაცმა ვერავინ ან ვერაფერი ნახა ქართველებში მოსაწონი? შეხვდა ის გორგი პაპაშვილს?

თუ ისინი არ არიან ამ კულაბზიკა რუსოფილისათვის სტატიაში გამოსაყენებელნი?! ნუთუ საქართველოსთვის სასიამოებო არ იქნებოდა, რომ მისთვის მოეხსენებია: შენი შეილები, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მიზეზით ჩამოგცილდნენ და უცხოეთს შეაფარეს თავი, იქაც არ გივიწყებენ და გასახელებენო.

ლალო ბაბიშვილი

კიდევ ერთხელ „მონანიების“ შესახებ

მე და ჩემმა ძმამ ედუარდმა აბულაძის ფილმი „მონანიება“ ვნახეთ განთავისუფლებიდან სულ რაღაც სამი თუ თოხი დღის შემდეგ. მანამდე ერთი თვით ადრე ჩვენ საშიმშილო გაფიცვაში ვიყავით: ედუარდი წულუკიძის ზონაში, მე კი თბილისში, კაგებეს იზოლატორში. ერთი თვის განმავლობაში „ხელოვნურად“, ე. ი. ძალით მკვებავდნენ. მე პრაქტიკულად მჭიმავდნენ სპეციალურ სავარძელში, მეტალის მაშიით მიხსნიდნენ პირს და ჩემს კუჭში მსხვილ ჩეზინის ზონდს უშვებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ ტკივილებს იწვევდა. ეს იყო ნამდვილი ფიზიკური წამება.

და აი, კინოს ეკრანზე ვიხილე თოკზე გაჭიმული სანდრო ბარათელი...

ჩემი უკანასკნელი პატიმრობა დაახლოებით ორ წელს გაგრძელდა: ერთი წელი ძიებაში, საქართველოს სსრ კაგებეს იზოლატორში და ერთი წელი – პერმის პოლიტპატიმართა ბანაკში. დედაჩემმა პირველად გამოძიების ბოლოს მინახულა, ხოლო მანამდე თითქმის ერთი წლის განმავლობაში, არც დედამ, არც ჩემმა მეუღლემ და ძმამ არაფერი იცოდნენ ჩემს შესახებ და მეც არაფერი ვიცოდი მათ შესახებ. როგორც გამოირკვა, ამ დროს მანძილზე დაპატიმრეს და გაასამართლეს ჩემი ძმა, ხოლო დედა და მეუღლე საშიმშილო გაფიცვებს აწყობდნენ, მათაც აპატიმრებდნენ და ცემდნენ. მე

ამის შესახებ არაფრთ ვიცლო. ზონაში არცურო წერილი არც მოვალეობები არც მიღებან. ყველა წერილის კონფისკაცია ხდებოდა იმ უგუნური საბაზით, რომ თითქოს წერილები პირობით ნიშნებს შეიცავდნენ. ამ დროს მცემდნენ როსტოკის სატრანზიტო ციხეში, მყინვავდნენ პერმის ზონის კარცერებში, ვავადმყოფობდი და სულ აღად ერთი ნაბიჯი მაშორებდა სიკვდილს...ჩემმა ნათესავებმა არაფერი იცოდნენ! ისინი სასოწარკვეთილნი დეპეშებით ბომბავდნენ საბჭოთა ხელისუფალთ, რომლებშიც თხოვდნენ, რომ მათვის შეეტყობინებიათ მკვდარი ვიყავი თუ ცოცხალი. ხელისუფალნი პასუხობდნენ, რომ „ცოცხალი ვარ და შექმნილი მაქვს ყველა პირობა სასჯელის მოსახლელად“. მაგრამ შეეძლოთ კია ჩემს მშობლებს ხელისუფალთა განცხადებებზე დაყრდნობა? მათ ხომ იცოდნენ, რომ სწორედ ამგვარად პასუხობდნენ იშხან მკრტიჩიანის მშობლებს, პერმის 36-ე პოლიტპარტიმართა ბანაკში, მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის მანძილზე.

და აი, ეკრანზე ვიხილე სურათი ციმბირიდან მოსული ხე-ტყის შესახებ...

მე და ჩემი ძმა განთავისუფლების შემდეგ ასე მალე არ უნდა წაგსულიყავით ამ ფილმის სანახავად. ეს იყო დარტყმა ჯერ კიდევ ახალ, მოუშუშებელ ჭრილობებზე. ჩვენ ვვითინებდით... ქვითინებდა ასევე ბევრი მაყურებელიც. ისინი ქვითინებდნენ იმის შესახებ, რაც ოდესალაც საღლაც ვიღაცას გადახდა თავზე, ჩვენ კი იმის შესახებ, რა დღეშიც ვიყავით ორიოდე ღლის წინად, აქედან სულ ახლოს. ყველასათვის ეს იყო რაღაც აბსტრაქტული, აღსნიშნავი ბოროტება, ჩვენთვის კი— ეს იყო კონკრეტული, რეალური ბოროტება. ჩვენთვის ამ ბოროტების გმირები: არავიდე, სტალინი, ბერია კი არ იყვნენ, არამედ „ამხანაგი“ გორბაჩივი, „ამხანაგი“ ჩებრიკოვი და „ამხანაგი“ შევარდნაძე და მათი ხელქვეითები, მთელი ჩვენი, ასე ვთქვათ, „მომსახურე“ სახელმწიფო უშიშროების პერსონალი და ზედამხედვლები.

ეს ფილმი უკიდურესად ალეგორიული ხასიათისაა, მაგრამ ლაპარაკობს იმაზე, რაც რეალური, კონკრეტული და უკიდურესად აქტუალურია. რა საჭირო იყო ეს ალეგორიულობა? რა საჭირო იყო ეს მორცხვი, ზედროული, ზეეროვნული ალეგორიულობა? რა საჭირო იყო ნათელ, ნათელზე ნათელ დღეზე ჩრდილის მიყენება? განა

ფილმებში ომის შესახებ ფაშისტებს სხვანაირად ეძახიან „დაწერთ კოდენის ვენ წარმოუდგენელ სამოსში? განა ჰიტლერს ბატონ „იქსი უშიშრებელ დებენ, ხოლო გერმანიას—სარკისმილმებს? რატომ არ ახდენენ ნაცი-სტა ბოროტმოქმედების აბსტრაქტირებას რამე მისტიურ ბოროტე-ბასთან, თარიღისა და დასახელების გარეშე? წარმოადგენს თუ არა ამ შემთხვევაში აღეგორია ბოროტების ნილაბს, ანუ საკუთრივ ბო-როტებას?

მაშასადამე, ფილმს „მონანიება“ ეწოდება. სახელწოდება მყვირა-ლა, ღრმა და პასუხისმგებელია. ეს, რასაკვირველია, წარმოადგენს ცოდვისაგან განწმედის, სიმართლის მიმართულებით გადადგმულ აუ-ცილებელ ნაბიჯს. ვინ რისგან იწმინდება? დავუტოვოთ კინოკრი-ტიკოსებს ფილმის მხატვრულ ორაზროვნებაში ქექვის საშუალება. ავილოთ ის, რაც ზედაპირზე ძევს და რასაც ცველაზე მეტად იყ-ენებენ პოლიტიკურად, სწორედ ის, რამაც მაიძულა ხმა ამემალე-ბია. ამის არსი შემდეგია: „კომუნიზმი იწმინდება სტალინიზმის სიბინძურისაგან, ან მას სურს ამის გაკეთება, მზადაა ამისათვის და ინანიებს სტალინის ცოდვებს.. მაგრამ თუ თქვენ ცოტათი მა-ინც მორწმუნე ადამიანი ხართ და ერთხელ მაინც იყავთ ალსარე-ბაზე, მაშინ ალბათ იცით, რომ მღვდელს არ დაკმაყოფილებს ალ-სარების მხოლოდ გამოხატვა. იგი მოისურვებს, იცოდეს თუ რომელ კონკრეტულ ცოდვას ინანიებთ, როგორ და რატომ, რამდენად ღრმ-ად ჩაეფლეთ ამ ცოდვაში, რაშია მისი არსი და მიმზიდველობა და როგორია მისადმი თქვენი დამოკიდებულება. მღვდელმა შეიძ-ლება არ შეგინდოთ ცოდვა, თუ დაინახავს, რომ თქვენი მონანი-ება ზედაპირულია, არასრულია და არ ეხება ცოდვის არსა და საფუძველს,—ანუ სინამდვილეში არ წარმოადგენს მონანიებას ნამდ-ვილს. ასე მაგალითად, იგი არ შეინდობს მკვლელის დანაშაულს, რომელიც, ვთქვათ, ინანიებს იმას, რომ მკვლელობა დაინით ჩაიდი-ნა და არა ცულით. ცოდვის შენდობა არ მოხდება იმ შემთხვევა-შიც, თუ თქვენ არ უკუაგდეთ ცოდვისაკენ წამბიძგებელ ყველა გარემოებას.

გორბაჩივმა, ოქტომბრის გადატრიალების 70 წლისთავთან დაკა-ვშირებით გაკეთებულ მოხსენებაში თქვა: სტალინმა ჩაიდინა „სა-შინელი და დაუშვებელი დანაშაულებანი“. ამის თქმა იგივეა, რაც იმის კონსტანტირება, რომ: ორჯერ ორი ოთხია! ეს აშკარა ფაქტის აღიარებაა და არა მონანიება. ეს იგივეა, რომ მიხვიდეთ სა-

აღსარებოდ და განაცხადოთ: „მე ვარ მკვლელი“ და წახულებული სულ რაღაც წლინახევრის წინ იმავე გორბაჩივმა საერთოდ „ტრანსფერის უ სტალინიზმის არსებობა და ამტკიცებდა, რომ ეს მოიგონეს „იმპერიალისტურმა ანტისაბჭოთა ცენტრებმა“ (იხილეთ გაზეთ „მონაცისთვინ“ მიცემული ინტერვიუ). იგი უარყოფდა სტალინის დანაშაულობას და მთელ სტალინურ ბოროტებას მხოლოდ „პიროვნების კულტით“ ხსნიდა, თითქოსდა რომელიმე კომუნისტ ბელადს ეს კულტი არ ახასიათებდეს! მაში სადაა გორბაჩივისა და გორბაჩიველთა მონანიება? რაში გამოიხატება იგი? სადაა დღევანდელი კომპარტიის განწმენდა სტალინური მემკვიდრეობისაგან?

თავის უკანასკნელ მოხსენებაში გორბაჩივმა სტალინური დანაშაულებათა კბილებიდან გამოცრილი აღიარება გააწონასწორა ქვეყნის წინაშე მის დამსახურებათა „აღიარებასთან“. სახელლობრ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და გაძლიერებასთან. ჰიტლერი და მუსოლინიც ხომ მეტისმეტად აძლიერებდნენ თავიათ სახელმწიფოებს, მაგრამ განა ეს რამეს ნიშანავს? განა ეს ცოტათი მაინც ხსნის პასუხისმგებლობას დანაშავისას და ამცირებს დანაშაულის სიმძიმეს? განა ამას რამდენადმე ითვალისწინებდნენ ნიურენმბერგში ან მაშინ, როცა ბოროტმოქმედს თავით ქვემოთ ჰქიდებდნენ?

არა, ამხანაგო კომუნისტები! არა და არა ამხანაგო დამნაშავენო! თქვენ ისევე შორს ხართ სტალინური ცოდვების მონანიებისაგან, როგორც თვით სტალინი, რომელსაც „ხალხთა მამას“ უწოდებდნენ. თქვენ ისევე არ განიწმინდებით არასოდეს სტალინიზმისგან, როგორც არ გამოიცვლით საკუთარ კანს, და აი რატომ: სტალინი კომუნისტური განვითარების საერთო პროცესიდან ამოგლეჯილ ფენომენს როდი წარმოადგენს. იგი სისხლით და ხორცით ამ განვითარების პირშოა. მისი ფესვები მარქსი და ლენინია, მისი შტოები კი საბჭოთა სისტემის გებიზმია, და ყველაფერი ეს ერთიანია, როგორც სამყარო. ამ მხრივ სწორი იყო გორბაჩივი, როცა ამბობდა, რომ არ არსებობს არავითარი სტალინიზმი, არა ამედ არსებობს კომუნიზმი. ყველაფერი, რასაც სტალინი აკეთებდა, გამომდინარეობდა და ეყრდნობოდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან და კეთდებოდა ამ მოძღვრების ცხოვრებაში გატარების მიზნით. ის, რასაც გორბაჩივმა „საშინელი დანაშაულებანი“ უწოდა, წარმოადგენს კომუნისტური დოქტრინის განუყოფელ ნაწილს და „კლასობრივი ბრძოლა“ ეწოდება. სტალინს არაფერი ახა-

ლი, თავისი საკუთარი არ მოუგონია. მარქსმა, ენგელსმა, და ფრენისმა და დეტალურად დაამუშავეს პროლეტარიატის ღიქტატურის თეორია რით, რომლითაც პარტია ხელმძღვანელობს. ეს არის, ასე ვთქვათ, „რეაქციული“ კლასებისა და ელემენტების ჩახშობისა და ფიზიკური მოსპობის თეორია. ისინი მღერონდნენ ძალადობის ჰიმნებს, მიაჩნდათ რა ძალადობა პარტიული მოღვაწეობის არა მარტო შესაძლებელ, არამედ აუცილებელ ელემენტად; და სტალინი, პარტიის ერთგული შვილი,- განუხრელად ასრულებდა თავისი მასწავლებლების ნაანდერძევს: დარტყმებს აყენებდა, ასე ვთქვათ,- „ხალხის მტრებს“, რევოლუციურ ძალადობებზე დაყრდნობით, რის გარეშეც აღგილი არ ექნებოდა გორბაჩივის მიერ ხსნებულ სტალინურ წარმატებებს ინდუსტრიალიზაციასა და საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებაში.

„საშინელ და დაუშვებელ“ დანაშაულებათა პარასტი ჩეკას სახით, სტალინამდე იყო შექმნილი ღენინისა და ძერუინსკის მიერ. უდანაშაულო მსხვერპლთა სიის ფურცელი იოსებ ბერიაონის-ძის დროს კი არ გადაშლილა პირველად, არამედ მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ამოელიტა მეფის ოჯახი, არ დაინდო რა ამ ოჯახის არც ექიმები და არც გადიები.

სტალინურ დანაშაულობებს არა მარტო საყვარელი წინაპრები, არამედ კანონიერი შვილები და შვილიშვილები ყავს. კაგებე— აი სტალინის შთამომავალი, მისი პოლიტიკური წარმომადგენელი დღეს. სტალინისა და კაგებეს მოღვაწეობა თავისი არსით ერთი და იგივეს წარმოადგენს. თანამედროვე საბჭოთის ტანზე სტალინურ ხალს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე და 190-ე მუხლი. სხვაგვარად აზროვნებისადმი შეურიგებლობა, მისადმი ავადმყოფური შიში,—თი სტალინური გენები და რეფლექსები. მე და ჩემი ძმა, საბჭ. კავშირის მრავალი ასეული პოლიტპატიმარი დაღუპული თუ გადარჩენილი, იმავე სტალინურ მსხვერპლს წარმოვადგენთ. ჩვენს მიმართ წაყენებული „საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრის“ ბრალდება იგივეა, რასაც უყენებლნენ სტალინური ტერორის მსხვერპლთ.

არა! არ არსებობს სტალინიზმი! არსებობს მხოლოდ კომუნიზმი. არ არსებობს სტალინის დანაშაულებანი! არსებობს მხოლოდ პარტიის დანაშაულებანი! არ არსებობს მხოლოდ ოცდაათიანი წლების დანაშაულებანი, არამედ არსებობს საბჭოთა ხელისუფლების სამოცდათწლოვანი დანაშაულებანი! „საშინელი და დაუშვებელი“ იყო

და იქნება კომუნიზმის დანაშაულებრივი გვალი, რომელიც წარმოადგინება ყველან, სადაც ხდება პიროვნების გაუფასურება და თეოდესია ღმერთისადმი, ადამიანის სულიერი არსისადმი, სიმართლი-სადმი და პიროვნების თავისუფლებისადმი რწმენა.

სტალინიზმი ძეგს მიწის ჭვეშ, მასონურად უღმერთო, აბსტრაქტული ლიბერალიზმის თოჯინის, ყველა სახის მემარცხენების სახით; ხოხავს საზიზლარი მუხლუხივით მესამე მსოფლიოს ჭვეყნებში, იმოსება მათ ეროვნულ ფერებში. იგი იზრდება ტოტალიტარულ დრაკონად, რომელიც ლაპარაკობს და იქცევა ისე, რომ „მოკვლადი ხდება ყველა, ვინც არ ემორჩილება მას“.

მაშასადამე, შესაძლებელია თუ არა კომუნიზმის მონანიება? ჯერ-ჯერობით მონანიების არაგითარი ნიშნები არ არსებობს. ამ მიმართულებით ბევრ რამეს ხვევენ ბურუსში. ადგილი აქვს რაღაც ნახევრად მინიშნებებს, ლულლულს, ალეგორიულ „მონანიებას“, რომლის ნამდვილ მონანიებად გასაღებას ცდილობენ. მაგრამ, რახან ჩე-ენ დავიწყებ ლაპარაკი ამ კატეგორიის თავდაპირველი, საეკლესიო არსით, მსურს შეგახსენოთ, რომ არაგულწრფელი მონანიება საშინელებას წარმოადგენს. ეს უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ცოდვის გზით სელა. შესაძლოა, ეს მონანიება მიმართულია თავისავე საზიანოდ და დასაგმობად. ხალხი-მოძღვარი არ მიიღებს ამგვარ მონანიებას და არ შეუნდობს ცოდვის: არ დავიწყებს და არ აპატიებს კომუნისტური ტირანიის „საშინელ და დაუშვებელ“ დანაშაულობებს, თუ გინდ ეს ტირანიები 70, 50, 10 წლის წინანდელი ან დღევანდელი იყვნენ.

მართაცდა რა ფილმია? დიახ, ფილმი კარგია და სამართლიანად აღინიშნა იგი კანის ფესტივალზე, მაგრამ არა ღირს მისი მხატვრული ეფექტის შედარება და არევა სოლუენიცინის მიერ დაწერილ „ივან დენისის ძის ერთი დღე“-სთან. რაღაც საერთო არის ორივე ამ ნაწარმოებ-მოვლენაში: აქაც და იქაც ჩენ ვხედავთ ანტიტირანულ, ანტისტალინურ გამოვლენას მხატვრობის საოცარ ძალაში. მაგრამ ისევე როგორც ყველაფერი ისტორიაში: პირველ შემთხვევაში ეს დრამაა, მეორეში კი ფარსი. „მონანიებაში“ არა აქვს ადგილი კომუნისტის მონანიებას, კეშმარიტ აღსარებას და, მაშასადამე, არც არის არაფერი საპატიებელი და ახალი. დიახ, ეს არის ფილმი ტირანიის მსხვერთა ტანჯვის შესახებ, მაგრამ წაიკითხეთ შალამოვი, სოლუენიცინი, ევგენი გინზბურვი. იქ ადა-

მიანური ტანჯვის მარტო ამგვარი შემთხვევები როდია მოქადაციანი
და არც მხატვრული მონაგონები, არამედ სიმართლე.

რუსულიდან თარგმნა

თენგიზ გუდავა

ზურაბ ნარსიაშ

ფიქრები „მონანე ებაზე“



თენგიზ აბულაძის საქვეყნოდ გახმაურებულმა ფილმმა პარიზელ
მოკვდავებამდეც მოაღწია. ვოქვათ ახლავე, რომ ამდენი ქების მო-
სმენის თუ წაკითხვის შემდეგ ცოტა გულნაკლული დავრჩით, მაგრამ
ამაზე შემდეგ. აქ პირველ რიგში კი ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ,
რომ სიამაყით გვევსება გული, როცა ქართველ ხელოვანს ტაშს უკ-
რავს მსოფლიო. კიდევ უფრო საამაყო კინოხელოვნების დარგში
ის გახლავთ, რომ ბ-ნი თ. აბულაძე იშვიათ გამონაკლისს არ წა-
რმოადგენს. ამ უკანასკნელ წლებში ქართულმა კინომ საერთოდ
ორიგინალურობის არყოფნაცია დაიმსახურა დასავლეთის კინო-კრიტი-
კოსთაგან და კინო ხელოვანთაგან. ქება და აღიარება დაიმსახურეს:
ჩვენაშ ჩევიძემ, ვიორგი და ელდარ შენგელაიებმა, ოთარ იოსელი-
ანმა სერგო ფარაჯანოვმა, ნანა ჯორჯაძემ და სხვებმა.

ჩვენი გული მაღლიერებით ივსება იმის გამო, რომ ფილმი პარი-
ზის კინო-ეკრანზე ქართულად მეტყველებს და რომ ლამაზი ქართუ-
ლი ასოებით იხსნება და იხურება. ეს მთლად მოულოდნელი არ ყო-
ფილა იმის შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ მისივე „ნატვრის ხე“.

არა მარტი „მონანებიდან“, არამედ იქნებ კიდევ უფრო მეტად-
აც მის სხვა ფილმებიდან და ინტერესიულებიდან მუღავნდება, რომ
თენგიზ აბულაძე ნიჭიერ და მოაზროვნე რეჟისორთან ერთად ღი-
რსეული მოქალაქე და მხურვალე მამულიშვილია.

ფილმი „მონანება“ იძლევა კი სტალინ დიქტატორ-ტირანის სრულ-
ყოფილ წარმოდგენას? ჩვენ, ვინც საკუთარი გამოცდილებით ვიც-
ნობთ მისი მბრძანებლობის ხანას და ბევრი ლიტერატურაც წაგვი-
კითხავს მის შესახებ, ამ კითხვას უარყოფითად ვუპასუხებთ.
ჩვენი ფიქრით, სატირა-ფარისი დიდებულია პოლიტიკურ შოღვაშეთა
წერილ-წვრილ ნაკლოვანებათა სამხილებლად, მაგრამ მას არ შეუ-
ძლია მაყურებელს სრულად გადასცეს მასშტაბი სტალინური კრიმი-
ნალობისა. ამიტომ იყო, რომ დიდმა შექსპირმა „რიჩარდ მესამე“

ტუგელად წარმოადგინა და არა ფარსად, როგორც მაგალითისთვის ჩატარდა რლი ჩაპლინმა პიტლერი „დიქტატორში“. უელსის პრინციმ მომომდებარება ტებათა მასშტაბი ღდნავადაც ვერ შეედრება იოსებ ჯუღაშვილისას, და სწორედ ეს უსაშეველ მასშტაბი ბოროტმოქმედებისა ვერ ვი-გრძენით, ვერ დავინახეთ „მონანიებაში“.

რაც „რიჩარდ მესამე“ ვახსენეთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შექსპირის ეს საყოველთაოდ ცნობილი ტრაგედია, პირველად მსოფლიო ოეატრების ისტორიაში კომედიად წარმოადგინა ჩვენი რუსთაველის თეატრის მთავარმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ. ესეც მსოფლიო კრიტიკამ და მაყურებელმა სტალინის კრიმინალობათა მხილებადა და გმობად მიიღეს. საკვირველი დამთხვევაა: თ. აბულაძემ და რ. სტურუამ თითქმის ერთდროულად (1981 - 82) დიწების ერთმა ფლმის და მეორემ სპექტაკლის დადგმა, თითქოს და ხმაშეწყობილად ერთსა და იმავე უანრში ორივე აშიშვლებს ტირანიას. თუმცა ორივე რეჟისორი უარყოფს, მაგრამ მაყურებელმა ორივე წარმოდგენაში სტალინი იცნო და მთავარიც სწორედ მაყურებლის აღქმა და განცდაა.

რ. სტურუას და თ. აბულაძეს, რომ მათი სპექტაკლები ტირან-სტალინის სიცოცხლეში წარმოედგინათ, ეს იქნებოდა მათი უკიდურესი გამბედობა და უდიდესი დამსახურება, მაგრამ სამწუხაროდ ეს შესაძლებელი გახდა ტირანის გარდაცვალებისა და განგვირგვინების მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ, რაც ჩვენს აღფრთვანებასა და მაღლიერებას ანელებს.

როგორია „მონანიების“ მორალი? უიმედობა. უიმედობა დაგვეუფლა, როცა ფილმი დამთავრდა. მასში ვერ დავინახეთ ვერცერთი გმირი, რომელიც მისაბაძ მაგალითად გამოადგებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალ თაობას. ქეთევან ბარათელის გააზრება ასეთად ვერ გამოდგება და მის როლში, გვაპატიოს კადნიერება, ქნი ზეინაბ ბოცვაძე დამაჯერებელი არ არის. რაც შეეხება თორნიკეს, მისი თვითმკვლელობა უმწეობის ნიშანია. მდგომარეობა თითქოს უნუგეშოა: ვინ წაუძლება წინ ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლთ, ვინ მოჰკვეთს თავს და დაიყრის მარილს ცხრა თავიან დევს, ვინ გაანთავისუფლებს ხალხს არავიძეთა საშინელებისაგან? ეს და მრავალი სხვა კითხვები ირევიან თავში და იქნებ სწორედ ეს იყოს რეჟისორ თენგიზ აბულაძის გამარჯვება.



ბარათი ილია ჭავჭავაძეს თურქეთელ ქართველისაკვრცი ცელი
სისტემისას

ი ე თ ი მ გ უ რ ჯ ი ა მ ბ ო ბ დ ა:

„გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი...“

დიახ, გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო და ქართველი ერის დიდებულნო: მეფე ფარნავაზ, ვახტანგ გორგასალო, დავით აღმაშენებელო, თამარ მეფევ, ერეკლე მეორევ და კიდევ მრავალნო... გამარჯობათ: შოთა რუსთაველო, ჩახრუხაძევ, ილია ჭავჭავაძევ, აკაკი წერეთელო, ვაჟა ფშაველავ, იაკობ გოგებაშვილო, ალექსანდრე ყაზბეგო და კიდევ მრავალნო ენით ჩამოუთვლელნო მამულიშვილნო!..

გამარჯობათ, ოთხასი წლის დაკარგული და გატანჯული თქვენი შვილი გეახელით. თქვენი ღვიძლი შვილი, მარა სამწუხაროდ სულით და ზენერგეულებებით გადაგვარებული, სამშობლოდან გაცლილ-ჩამოშორებული... იმიტომ, პირველად მოგახსენებთ ბოდიშს, რომ, სამწუხაროდ, არ შემიძლია ჩემი ისტორიული, ზღაპრული დედაენით სუფთად, ფაქიზად, მოხდენილი სიტყვებით მოგმართოთ. მაპატიეთ ჩემი დამახინჯებული და იქნებ რომ მცდარი სიტყვები.

პატივცემულო ილიაგ! გული მტკივა იმიტომ, რომ საქართველოსი და შენი არსებობა ამ ქვეყანაზე ძალიან გვიან გავიგე, მარა კიდეც ბედნიერი უნდა ვიყო, რომ მაინც შემთხვევით, კეთილი ბედით გაგიცანით... აპა, ოთხასი წლის შემდეგ გულის ფანცქალით მოვედი და აი, რა ენახე: თვალში მელანდება ოთხმოცი წლის სილრმიდან ამოღებული შენი მკვლელობის მძიმე ტრალედია... თვალში მელანდება საგურამოს გზაზე მიმავალი კოხტა ფაიტონი და შიგ ამაყად მოწყობილი დიდი ილია და მისი საყვარელი ოლდა... შემდეგ, აი, ოთხი ლული, წიწამურში ოთხი ჩახმახი, ოთხი წყალული თითი და უგუნური ოთხი მხეცის თავი, ბრმა რეა თვალით... შემდეგ საზარელი და ოჯახდამაქცეველი გრიალი ეშმაკის ლულებისა... აი, მესმის სიზმარსავით შენი უკანასკნელი სიტყვები ილიავ:

„რას შერებით უბედურნო, არ მესროლოთ, მე ილია ვარ“-ო.
მესმის შენი ოლღას თრთოლით და ძრწოლით კიგილ-ტირილი, აუტა-



ნელი ვაება.

გასაგებია, თუ რა უნდოდა შენთან ცარიზმის მონა-მონიკილების! გასაგებია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჩემი უფლება არ იქნება და ჩემი საგნის გარეშეა... მაგრამ ამას მაინც ვიტყვი: შენ ადამიანური სიყვარულით აღსავსე გულს ატარებდი და გიყვარდა სტუმართ მას-პინძლობა, ლხინი, გამართული გქონდა გულუხვად ქართული სუფრა, ტებილი, აღალი და თბილი სუფრა, შინაურ და შორეულ სტუმრები-სათვის, რომელთაც ეგებებოდი ხალისიანად, ღია გულით, მომღიმარე პირით და კეთილი გრძნობებით.

საქართველოს უკანასკნელო უგვირგვინო მეფე! ქართული ეროვნული აზრის წარმომადგენელო, უბადლო პოეტო, ძლიერო ავტორო, სამარ-თლიანო უურნალისტო და თავდადებულო საზოგადო მოღვაწეო, ცო-ტაოდენ დალონებული ყოფილხარ თურმე შენი ცხოვრების უკანასკ-ნელ დღეებში. ამის მანიშნებელია შენი საყვარელი ქართული ხალ-ხური სიმღერის ეს სიტყვები: „სული მიწუხს, გული მასთან ღონდე-ბა, თვალს ავახელ ცრემლები არ მშორდება“.

ჩემო ილიავ, ჩვენ უდიდეს პოეტს აკაკის უთქვამს სიტყვა ჩვენ ძმა ებრაელ ქართველის სიკვდილზე. ეს გულის სიღრმიდან ამოღებული სიტყვები განა მარტო ებრაელი ქართველის სიმწარეს აგვისახავს, არამედ შენ დალოცვილ განსვენებულ სხეულსაც დაგვისახავს თვალის წინ. აი ეს სიტყვები:

„დაგიკრეფია ხელები,
თვალები დაგხუჭვიათ,
აქ დაგრჩენია, რაც გქონდა,
თან ვეღარ წაგილიათ;
ნაცლად დაგხვდება იმქვეყნად
სამოთხის კარი ღიათ

და ათასკეცად ის კარგი,
რაც აქ ვერ მიგილიაო.
ჩვენ კი მაგ შემა დაკარგვამ
გულები დაგვისიაო!
მშვიდობით, ახა, ნარინჯო,
შე ბროწეულო, იაო!

გულზე მაცვიდა და მწვავს ქართველი ერის და შენი საყვარე-ლი ოლას ნადენი მღულარე ცრემლები... მტკიდა გული, მიწუხს სული, როგორც შენი სხეულის ერთ-ერთი ასო და შენი ნაღვარავი სისხლის ერთი ნაწვეთი... შენი ღვიძლი ძმა და შვილი, საქართველოს ერთგუ-ლი, მიჯნური, თურქეთელი ჰეშმარიტი ქართველი.

დასასრულს ამას გეტყვი: აღარ სუფევდეს მსოფლიოში შიში, აღარ იყოს ხალხთა და ერთა შორის სიძულვილი, მტრობა, მუქარა, შულ-ლი. იყოს ხალხთა და ერთა შორის კეთილი მეზობლობა, მეგობრო-ბა, სოლიდარობა, მიშველება და შეწევნა...

მშვიდობით ჩემო იღიავ. მშვიდობით სამშობლოვ. მშვიდობით ჩემო თანამემამულენო. გაუმარჯოს მომავალ უფრო და უფრო ბორცყალე საერთაშორისო მეგობრობას.

ხაირი ხაირიოლლუ, ე. ი. ვახტანგ მალაუმაძე
თურქეთი

*) ამ ბარათის ავტორი, ბ-ნი ვახტანგ მალაუმაძე, პასპორტით ხაირი ხაირიოლლუ, ეკუთვნის თურქეთში მცხოვრებ ქართველ მოღვაწე-თა იმ ჯგუფს, რომელსაც, თურქ ნაციონალისტთა მიერ მხეცურად მოკლული, ახმედ ოზეკან-მელაშვილი თავგაცობდა და რომელიც თავდა-დებულად იღვწოდა ქართული კულტურისა და ეროვნული მეობის მის თანამემამულეთა შორის დასანერგავიალ. ახმედ მელაშვილის მკვლე-ლობის შემდეგ ეს საქმიანობა შეფერხდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. ხ. ხაირიოლლუ ა. მელაშვილის მარჯვენა ხელი იყო მის სიცოცხლე-ში და მერეც ორმაგი მონდომებით აგრძელებს ნაყოფიერ კულტურულ საქმიანობას: თურქულად თარგმნის ქართულ მწერლობის საინტერესო ნიმუშებს, მონაწილეობს პერიოდულ გამოცემა „ჩვენებურში“, ხელს უწყობს დედაენისა და წერა-კითხვის გავრცელებას და ჩვენი ხალ-ხური სიმღერებისა და ცეკვების დანერგვას და ა. შ. და ბოლოს, მჟღიდრო საქმიანი ურთიეროობა აქვს სამშობლოსთან და მის გარეთ მცხოვრებ ქართველებთან.

ვახტანგ მალაუმაძე შარშან მიწვეული იყო საქართველოში იღია ჭავჭავაძის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად და ეს ბარათიც მას განზრაბული ჰქონდა წაეკითხა საზეიმო საღამოზე, მაგრამ უკა-ნასქნელ წუთში, როცა ის ტრიბუნაზე მიწვევას ელოდა, მისთვის ამის ნება არ მიუკითხ. თურქეთში დაბრუნებულმა გამოგვიგზავნა ამ მიმართვის ტექსტი და გვთხოვა: თუ მიზანშეწონილად მიგაჩნი-ათ, გამოაქვეყნეთ, რასაც ვუსრულებთ. გუშაგი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი დეკანოზ ილია მელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით

ო ჯ ა ხ ი ს ა გ ა ნ

უღრმეს მაღლობას ვწირავთ ყველას, ვინც, ან უშუალო მონაწილე-
ობის მიღებით, ან დეპუტითა და ან წერილით, გაიზიარა ჩვენს
თავს დატეხილი უბედურება, ჩვენი საყვარელი მეუღლის, მამის და
ბაბუის, დეკანოზ ილია მელიას გარდაცვალებით გამოწვეული.

ალა, ნინო, ილიკო და ქეთევანი, შვილებით.

„გუშაგის“ რედაქტირა მწარედ დასტირის და აუწყებს მკითხველ-
ებს, მისი სამაყურ თანამშრომლის, მრჩევლისა და ერთგული მეგო-
ბრის, დეკანოზ ილია მელიას გარდაცვალებას.

„სოლიდარობა საქართველო“ (რეპრესირებულ მამულიშვილთა დამხ-
მარე კომიტეტი) ღრმად დამწუხერებული აუწყებს, რომ გარდაიცვა-
ლა მისი ერთ-ერთი დამარსებელი და გამგეობის წევრი დეკანოზი
ილია მელია.

ტარიელ ზურაბიშვილი

გ ა მ თ ხ თ ვ ე ბ ა მ თ ძ ღ ვ ა რ თ ა ნ

როგორც ქართული წმინდა ნინოს სამრევლოს მნათე, მე მინდა
მაღლობა გადავუხადო, აქ დამსწრე თუ წარმოდგენილ, საკულტო
და საერთო ხელისუფლობრივი ერთობების ნუგეშსა გვცემს ჩვენ.

ამ დამსწრების ღირსება ხაზს უსვამს, თუ ეს საჭიროა, მიცვალე-
ბულის ღირსებას, განსვენებულის ღირსებებს.

ჩვენ აქ დაგტირით მისი სახით, დიდ გონიერასა და ღვთისმეტყველს.
ჩვენთვის ცნობილია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ის ასრულე-
ბდა მართლმადიდებლობის წიაღში. როგორც მთელი საეპისკოპოსოს
წარმომადგენელი, ის დიალოგს აწარმოებდა კათოლიკურ და პროტე-
სტანტულ ეკლესიებთან, მონაწილეობდა რა მრავალ დიდმნიშვნელო-
ვან საქმიან შეხვედრებში, როგორც ეკრიპაში, ისე ამერიკაში;

როგორც პარიზის მართლმადიდებლური თეოლოგიური ინსტიტუტის
პროფესორი, დეკანოზი ილია მელია თავის ცოდნასა და გამოცდილე-
ბას მრავალი წლების განმავლობაში გადასცემდა მის სტუდენტებს.
აქაც, ისევე როგორც ყველგან: თათბირებზე, სემინარებზე, შეხვედ-

რებისას, რადიო-ტელეჭედვაში გამოსვლებებისას თუ დებატებში, მწნ გამოამჟღავნა დიდი მეცნიერის, რიგორისტის, გამგებელის და მეცნიერის თვალების თვისებები. ეს ვიცით ჩვენ და გამაყობთ, რომ ეს ყველას მიერ არის ნაცნობი და გაზიარებული.

მაგრამ დღეს ჩვენ, მის ოჯახის წევრებთან ერთად, განსაკუთრებით ვგლოვობთ ჩვენი სამწყსოს მწყემსს. ის ჩვენი მამა იყო და დღეს ჩვენ ვართ მისგან დაობლებული.

მან ისე კარგად იცოდა ლაპარაკი ბაგშვებთან – კეთილად, ტქბილად, გონებამახვილურად, დიდებთან კი მან იცოდა შეზავება შენდობისა და სიმკაცრისა, იცოდა შეცდომის გაგება ისე, რომ არ ერალატნა მორიალურ სიწმინდისათვის. ის იყო ყველას განკარგულებაში და ყველას მიმართ ის იყო გულისხმიერი.

უნდა გამოვტყდეთ და ვალიაროთ, რომ მის მაღალლირსებას დეკანის ილია მელიას ჰყავდა განსაკუთრებული სამწყსო: –უდისციპლინო, მოჩხუბარი, ცვალებადი; და ის ერთადერთი იყო, რომელსაც შეეძლო წესრიგის დამყარება. მისი ავტორიტეტი ისეთი დიდი იყო, რომ მას ყველა ლებულობდა მომრიგებელ-არბიტრად. ის მუდამ ჩვენთან, ჩვენ შორის იყო – გაჭირვებაშიც და დალინებაშიც. არაფერი მას არ აკავებდა და ჩვენც გვწამდა, რომ მართლაც არაფერს არ შეეძლო მისი შეკავება.

ამიტომაც, დღეს ჩვენთვის ძნელია იმის დაჯერება, რომ ჩვენ აქ მის ირგვლივ ვიმყოფებით და ის საფრანგეთის მიწას უნდა მივაბაროთ, რომელიც მას ასე უყავარდა, ლევილის ამ მიწას, სადაც მან თვით მიაკილა ამდენი ჩვენიანი. ჩვენი საზოგადოება ისეთია, რომ არასოდეს რომელიმე ქართველის დასაფლავება ანონიმურად არ ხდება და ამ ჩვენმა შოძლვარმა ხშირად განიცადა წინ წაძლოლოდა ახლო ნათესავის ან მეგობრის დაკრძალვას... და აგრეთვე–მსოფლიოს ოთხივე კუთხიდან მოსულ ქართველებისას. ბევრს უნდოდა ლევილში დასაფლავება, რადგანაც იცოდნენ, რომ მათთვის ილოცებდა ეს ქართველი მღვდელი.

აქ ჩვენ ვაღწევთ ჩვენი სამწყსოს ისტორიულ მნიშვნელობას. პარიზის ქართული წმ. ნინოს ეკლესია არის ერთადერთი ქართული სამლოცველო საქართველოს საზღვრებს გარეთ. ესაა სამწყსო, სადაც ლოცვა ქართულად აღივლინება, მაგრამ აგრეთვე ესაა ერთადერთი სამრევლო, სადაც შეგვიძლია გავშალოთ ჩვენი ეროვნული დროშა და ვიმღეროთ ჩვენი ეროვნული ჰიმნი. ეს არის ერთადერთი ეპლე-

დეკანოზ ილია მელიას გარდაცვალება



სია, სადაც ჩეგულიარულად
აღინიშნება ჩვენი სამშობლოს
დიდი ისტორიული თარიღები.
მამა ილია განსაკუთრებულად
აღნიშნავდა 26 მაისს, თარიღს
საქართველოს დამოუკიდებლო-
ბის აღდგენისა 1918 წელში,
25 თებერვალს, თარიღს 1921
წლის თებერვალში ბოლშევი-
კური რუსეთის ჯარების შე-
მოსევისა და დაპყრობისა და
1924 წლის აგვისტოს ეროვნუ-
ლი აჯანყების წლისთავს. და
ბოლოს, ესაა ეპლესია, სადაც
სრულდება წმინდა ნინოს ეპლე-
სის საუკუნო ტრადიციები.
მოიხსენება ქართველი წმინდა-
ნები და ესაა თავისუფლების
ეპლესია. დეკ. ილია მელია ღი-
რსებითა და კეთილშობილებით ატარებდა ამ ისტორიულ ტვირთს, და
ის მას მთლიანად ასრულებდა.

ყველა ქართველი მას ცნობდა, როგორც შემაკავშირებელ-ფედერატ-
ორს იმ დრამატიულ მდგომარეობაში, რომელშიაც საქართველო იძ-
ყოფება ამჟამად. როდესაც ვამბობ : ყველა ქართველი, მე ვფიქრობ
ჩვენზე, აქ, მაგრამ აგრეთვე მხედველობაში მყვანან ყველა სხვები
მთელ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, - საქართველოში.

თუ დღეს მელიას ოჯახია მგლოვიარე,

თუ დღეს ჩვენი მრევლია მგლოვიარე,

თუ დღეს მართლმადიდებელთა ძმობა მგლოვიარეა,

არ დაგვავიშკდეს აგრეთვე, რომ დღეს მთელი საქართველო მგლ-
ვიარეა.

თამაზ ნასყიდაშვილი, მნათე.

ორიოდე სიტყვა



მე არ მიკვირდა მამა ილიას ღრმა ერუდიცია, არც მისი ღვთის-მოსამართი-მართლმადიდებლობა, არც მისი ბრწყინვალე სასულიერო ღვაწლი და არც მისი დიდი კაცომოყვარეობა და შემწყალებლობა, რანიც მის პიროვნებას უჰქველად ამკობდენ, რაღაცაც ყველაფერი ეს მას შეეძლო ჰქონებოდა თანდაყოლილი ნიჭითა და იმ გარემო-თი, სადაც ის აღიზარდა და დავაკუაცდა. მაგრამ მე მაოცებდა მი-სი ღრმა, უზადო მამულიშვილობა, იმიტომ, რომ მან სულ თოთო ბავშვა, სულ შვიდი წლისამ დასტოვრი სამშობლო საზღვრები და მის შემდეგ მას მხოლოდ წიგნებით იცნობდა.

პარიზის ქართველებში ის გვიან მოვიდა, უკვე გონიერივად დას-რულებული. თუმცა დიდადალი სიტყვების მარაგი ჰქონდა, მისი ბუნე-ბრივი მორცხვობის გამო, ქართულად საუბარს ვერ ბედავდა, რასაც ის მტკიცნეულად განიცდიდა. სამაგიეროდ, ძველი ქართული წერილ-ძეგლები, საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, აღათ-ზენ-წეს-ჩვეუ-ლებანი და ტრადიციები მან მშვენიერად იცოდა. იგი განსაკუთრე-ბით კარგად ერგვეოდა ჩვენი ხალხის დღვევანდელ ყოფაში და იყო მასთან სრულ ზიარებაში: ზემობდა მასთან ერთად და გლოვობდა მასთან ერთად. ეს ბუნებით ლბილი ადამიანი, უკომპრომისო იყო ჩვენი ერის შელაცხლი უფლებების დაცვაში. ყოველთვის განსაკუთ-რებული მზრუნველობით და საზეიმო განწყობილებით წირავდა: ჩვენი ქვეყნის აღდგომის -26 მაისის დღესასწაულს, მისი დამ-ხმის სამგლოვიარო დღეს-25 ოქტომბერვალს და აგვისტოს გმირულ აჯანყების წლისთავებს.

მისი მღვდელმსახურების უკანასკნელი „გედის სიმღერა“ გახდა კვირა 21 თებერვალი, როცა მან, მიუხედავად უკიდურესი სისუ-ტისა, ინება და საკვიროა წირვის შემდეგ პანაშვიდი გადაიხადა 1921 წლის თებერვალ-მარტში სამშობლოს დაცვაში დაღუპულ მამუ-ლიშვილთა სულის საცხონებლად. წირვის შემდეგ ფეხზე დგომა რომ ვეღარ შეძლო, სკამი მიართვეს და დაბრძანებულმა პირველად და უკანასკნელად მიმართა მრევლს. ამის შემდეგ ის ფეხზე ვეღარ წა-მოუდგა ულმობელ სენს და 15 მარტს საკუნოდ მიიძინა.

საიდან მოდიოდა მასში ეს ღრმა, უძირო პატრიოტიზმი? უნდა ვალიაროთ, რომ ეს მასში იყო ატავისტურად, გენებით მემკვიდ-რეობით გადმოცემული. მან საკუთარი მაგალითით დამარწმუნა:



კაცი შეიძლება სამშობლოს გარეთ, უცხო საზოგადოებაში, აგრძელდოს უმშობლებოდ, მთელი სიცოცხლეც იქ გაატაროს და მიჩნევენ კარგის სამშობლოს, მამა-პაპათა სამშობლოს, ისტორიული სამშობლოს მათა-ყვანებელ-მაღიდებელი.

გ. წერეთელი

მამა ილია მელიას ბიოგრაფიული ცნობები, მოკლედ

იგი დაიბადა 1915 წლის 20 ოქტემბერი, ქუთაისში, შეძლებულ ოჯახში. მამამისს ერქვა აგრეთვე ილია, ხოლო დედამისის გახლდათ ნინო ქაჯაიას ასული. მშობლებმა შვიდი წლის ილიკო სასწავლებლად მიაბარეს, უფროს ძმასა და დასთან ერთად, წმინდა გიორგის იეზუიტ ბერთა სრულ პანსიონში, კონსტანტინეპოლში. ამ პანსიონს დედა-სახლი ჰქონდა ბელგიის ქალაქ ნამურში. ამრიგად, პატარა ილიკო მელიამ სამშობლო დასტოვა 1922 წელში და ბათუმიდან კონსტანტინეპოლს გაემგზავრა.

ქემალ ფაშას ოსმალეთში შეუძლებელი გახდა პანსიონის არსებობა და იმავე წლის სამ დეკემბერს მთელი პანსიონი გადასახლდა ქ. ნამურში, სადაც ი. მელია სწავლობს ქველ ბერძნულსა და ლათინურ ენებს, ამთავრებს 1933 წელში, შედის იმავე წელში ნამურის მუზი-დობის ღვთიშმაბლის ინსტიტუტში იურიდიულ ფაკულტეტზე, 1935 წლიდან სწავლას აგრძელებს პარიზის სენ-სერიუს თეოლოგიურ ინ-სტიტუტში, რომელსაც ის ამთავრებს 1939 წელში.

1943 წლის 12 ივნისს ჯვარს იწერს ალა მელნიკოვაზე, რომელიც მას შესძენს სამ შეილს: I. ნინო დაიბადა 2.XII.1944-ში, II, ილიკო დაიბადა 15.VIII. 1946-ში და III. ქეოვანი დაიბადა 16.X. 1949 წელში.

1943 წლის 8 აგვისტოს ილია მელია კურთხეული იქნა დიაკონად, ხოლო იმავე წლის 19 აგვისტოს -ფერიცვალობის დღეს -პარიზის ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძარში, ის მღვდლად იქნა ხელ-დასმული მიტროპოლიტ ევლოგია გიორგიევსკის მიერ. აქედან მოყოლებული 1945 წლამდე ის მღვდლობს ქ. ბელფორის ქრისტეს მეგდრეთით აღდგომის ექლესიაში და ოთით ბელფორის გარდა მომსახურებას უწევს სოშოს, მონბელიარის, ნანსის და ბეზანსონის მართლმადიდებლობას. 1946 წლიდან ის ინიშნება ქ. კოლომბელის (კალვადოსი) წმინდა სერეის ეკლესიის მღვდლად, სადაც ის რჩება.



1949 წლიდან. ამ წლიდან მოყოლებული სიკვდილამდე კი ის, მწყმები სავდა პარიზის ქართულ წმინდა ნინოს სამრევლოს. **1950** წლის 13 იანვარს ებობა დეკანოზობა (არქიპეპიტონი).

1964 წლიდან სიკვდილამდე დეკანოზი ილია მელია პარიზის სენ-სერის მართლმადიდებლურ ინსტიტუტში კითხულობდა თეოლოგიისა და ძეგლი ეკლესიის ისტორიის ლექციებს.

1971 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, როგორც საფრანგეთის მართლმადიდებელ ეკლესიის საეფისკოპოსოს მთავარი წარმომადგენელი, დეკანოზი ილია მელია მონაშილეობდა ეკლესიათა ოკუმენურ სემინარებში, სიმპოზიუმებშა და კონფერენციებში, მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრებში: კავალა, მაღრიდი, ათენი, ვანკუვერი, სტოკჰოლმი და სხვა.

* * *

მამა ილიას დაკრძალვა

ა. წ. 15 მარტს 16 საათზე, ქ. ობერვილიეს (პარიზის უახლოესი გარეუბანი) საავადმყოფო „როზერე“-ში, განუტევა სული ჩვენმა სულიერმა მამამ ილია მელიამ. შემზარავი ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ქართველობაში და არა მარტო ქართველობაში...

იმავე საღამოს ჩვენს ეკლესიაში გადახდილი იქნა განსვენებულის სულის სავედრებელი პანაშვიდი, რომელიც შეასრულა ჩვენი წმ ნინოს ეკლესიის ღროებითმა მღვდელმა გაბრიელ ანრიმ. ეკლესია გაჭედილია. სკარბობს მოღუშული, მწუხარე ახალგაზრდობა. ხანში შესული მანდილოსნები ერთმანეთს უჩურჩეულებენ: „დავიღუპეთ, რა გვეშველება?“..

17 მარტს 15 საათზე, ჭირისუფლებისა და ახლობლების დასწრებით, მიცვალებული კუბოში იქნა ჩასვენებული და იქვე მამა გაბრიელმა გადაიხადა პანაშვიდი. რის შემდეგაც მამა ილიას ცხედარი გადატანილი და დასვენებული იქნა წმ ნინოს ეკლესიაში, საღაც მთელი მრევლის თანდასწრებით კვლავ გადახდილი იქნა პანაშვიდი, რის შემდგომაც დაიწყო ღმის თევა და საპატიო ყარაულობა...

18 -ში დილით ჩვენი პატარა ეკლესია გაჭედილი, მესამედაც ვერ იტევდა ზღვა დამსწრე საზოგადოებისას, რომელთა შორის აღსანიშნავია: საფრანგეთის მართლმადიდებლურ მიტროპოლიას წარმომად-



გენელი ეპისკოპოსი იერემია, პარიზის კათოლიკური ეკლესიის საარქიეპისტო ეკკლესიას წარმომადგენელი ევეკი, სომხების მიტროპოლიტი, საფრანგეთის გენერალური მდივანი და სამი ათეული სხვადასხვა რანგის საეკლესიო მოღვაწე.

წესის აგება დაიწყო 10 საათსა და 30 წუთზე. წირვას უძღვებოდა ეპისკოპოსი იერემია, ხოლო თანამშირველობდენ: მამა ბორის ბობრინსკო (სენ-სერჟის ინსტიტუტის პროფესორი), არქიპეტრი ანდრე სირილას(ბერძენი), მამა გაბრიელ ანრი (წმ ნინოს ეკლესიის დროებითი მღვდელი) და მამა რემიულ იოანტა(რუმინელი, მამა ილიას შემცვლელი სენ-სერჟის ინსტიტუტში.)

თავის შეგონებაში, სენ-სერჟის ინსტიტუტის რექტორმა ალექსი კნიაზევმა სადაც და დამაჯერებლად ილაპარაკა მიცვალებულის დიდ დამსახურებაზე საზოგადოდ მართლმადიდებლურ ეკლესიის წიაღში და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის დიდ პატრიოტიზმს. ქართველებიდან: მოკლე, ამაღლებებელი სიტყვით მიმართა თოარ პატარიძემ და თამაზ ნასყიდაშვილმა.

შუადღისას სამგლოვიარო პროცესია გაემართა სოფელ ლევილის სასაფლაოსაკენ. აქ უკვე დიდი ხნიდან: მიცვალებულის მისვენებას ელოდებოდა მრავალი ადგილობრივი ფრანგი და ქართველი, მათ შორის კათოლიკური ეკლესიის პრეტრი, მერი და მერიის თანამშრომლები. საერთო გულშროფელ მწუხარებასა და სინანულში კუბი ფრთხილად ჩაუშვეს ახლად ამოშენებულ აკლდამაში და თითოეულმა ჩვენთაგანმა მას დავაყარეთ ქართული მიწა... დღეიდან მამა ილიაც, ვალმოხდილი, განისვენებს აქ, ამ საფრანგეთის დალოცვილ მიწაში, ასობით სხვა მიცვალებულ მის სამწყსოს წევრ ქართველთა შორის.

დამსწრე მეგობარი

გუშაგის რედაქცია ბოდიშ იხდის, რომ, უადგილობის გამო, ვერ აქვეყნებს იმ უამრავ სამძიმრის დეპეშებსა და წერილებს, რომლებიც მამა ილიას გარდაცვალების გამო მიიღეს: ოჯახმა, წმ ნინოს სამრევლო საბჭომ, სათვისტომოს გამგეობამ და ჩვენმა რედაქციამ. მათ შორის აღვნიშნავთ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორეს სამ დეპეშას, რომელშიც ხაზგასმულია დეკანოზ ილია მელიას დიდი დამსახურება ქართველი ერისა და მისი ეკლესიისადმი და რომ ქართული ეკლესია ლოცულობს მისი სულისათვის.



ამერიკის შ. შტ-ის ქარ. საზოგადოება

ქართული სათვისტომოს გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. შ. 15 მარტს პარიზში გარდაიცვალა მამა ილია. იგი დაკრძალული იქნა პარიზის ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

მამა ილია იყო სულიერი ხელმძღვანელი მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის და ერთადერთი მომქმედი მოძღვარი საზღვარგარეთ. მთელი ქართული საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოიჭამს ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დიდად სწავლულ, ზველას მიერ პატივცემულ ქართველი ერის საკეთილდღეოდ თავდადებულ რევერან მამა ილიას გარდაცვალებას.

ქართული სათვისტომოს გამგეობა გადაიხდის პანაშვიდის მამა ილიას სულის მოსახსენიებლად კვირას 17 აპრილს, ბერძნების მართლმადიდებელ ეკლესიაში, ნიუ-იორკში. გთხოვთ დაესწროთ.

პატივისცემით: სათვისტომოს გამგეობა.

ნიკო აფხაზის გარდაცვალება

გასულ წლის 25 დეკემბერს კანალის ქ. ვიტორიაში(ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის დედაქალაქი) 88 წლის ასაკში გარდაიცვალა თავადი ნიკო აფხაზი.

განსვენებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი მარშლის კოტე აფხაზის ვაჟი და ილია ჭავჭავაძის დის ნინოს შვილიშვილი, ზოლო დედამისი-ელენე იოსელიანის ასული.

(აქ სხვათა შორის ვგინდა აღნიშნოთ: კოტე აფხაზს ახლო მეგობრობა ჰქონებია ცნობილ ეროვნულ მოღვაწე გიორგი გვაზავასთან, ქ-ნ ელენეს კი მოუნათლავს ბ-ნ გიორგის ვაჟი ჯამლეთი. ბ-ნ ჯამლეთს ვუმაღლით მიცვალებულის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის.)

ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ



დედა-შვილი ელენე და ნიკო აფხაზები იხიზნებიან პარიზში საცდე-
აც ნიკომ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და დაუწყიდა უნი-
კატობა. თავადი ილემაზ დადეშველიანი თურმე მას აძლევდა მდი-
დარ ამერიკელ კლიენტებს და ამ საქმიანობის დროს დამეგობრე-
ბია ცოლ-ქმარ კელებს, რომლებსაც მისთვის სამეურვეოდ გადაუცია
დიდებული ას ოცი თოახიანი სასახლე და ბაღი, სადაც ის თურმე
მართლაც დიდებულ თავადიშვილივით ცხოვრობდა მისი დაწყებამდე.

მეორე მსოფლიო ომში ნიკო იბრძოდა ფრანგების ჯარში, ტყვედ
ჩავარდნილა გერმანელებთან და ტყვეობიდან მხოლოდ **1944** წელში
დაბრუნებულა. **1946** წელში დედა გარდაიცვალა, რის შემდეგაც მან
მალე დასტოვა საფრანგეთი, გადასახლდა კანადაში, სადაც მას ელ-
ოდებოდა მღიდარი საცოლე ქალბატონი პეგი. იქნაწინეს. ჭ. ვიქტო-
რიაში შეიძინეს დიდი მამული და გააშენეს იშვიათი გემოვნებით
სახლი და ბაღი, რომლის სილამაზეც იზიდავს თურმე დიდძალ ტუ-
რისტ-დამთვარიელებლებს. ამრიგად, ნიკო აფხაზს მოხუცებულება უზ-
რუნველობასა და სილამაზით გარემოულს გაუტარებია.

ჩვენ არ ვიცით, თუ მან თავისი სულიერი ან მატერიალური სიმ-
დიდრით რამე არგო დედა-სამშობლოს, მაგრამ მარტო ის ფაქტიც,
რომ ის მემკვიდრე და შთამომავალი იყო ისეთი დიდი ქართველებ-
ის, გვაგალდებულებს: ორივე მუხლებზე დავიჩოქოთ და მისი სახე-
ლი მამაზეციერს შევავედროთ.

*** *** ***

ს ტ ა ნ ი ს ლ ა მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს ხ ს მ ვ ნ ა ს

ვასული წლის დეკემბერი განსაკუთრებით
შეუწყილებელი გამოღვა ჩვენ საზოგადოები-
სათვის. **30**-ში, მძიმე ავადმყოფობის შემ-
დეგ, პარიზში, გარდაიცვალა ყველასათვის
საყვარელი სტანისლა (უფრო სტანკოდ ცნო-
ბილი) მამულაშვილი და მისი ცხედარიც
ლევილის ძმათა სასაფლაოს მივაბარეთ.

სტანკო დაიბადა თბილისში **1907** წლის

15 მაისს. სრულიად ჭაბუქმა **1928** წელს

დასტოვა სამშობლო და მთელი შემდეგი

ცხოვრება საფრანგეთში, ხიზნობაში გაატარა. მისი ხიზნობის პირ-
ველი წლები დაემთხვა დიდ საერთაშორისო ეკონომიურ კრიზისის



პერიოდს და ოოგორც ემიგრაციის უმრავლესობისათვის, სტანკოსთვისაც ეს წლები დიდი სულიერი და ფიზიკური გამოცდის წლები იყვნენ. თუ კაცი სამუშაოს იშოვნიდა, არჩევანს ვიღა დაგიღვდა! მისი მკვრივი, ჩაფსევნილი და ჯან-ლონიანი ორგანიზმი ცხოვრების მძიმე პირობებმა კიდევ უფრო გამოაწროეს და სულიერად გაამტკიცეს.

სტანკო თროიციან წლების ბოლოს გავიცანი, აწ განსვენებულ ილია ჯაბადარის ბალეტში ის მაშინ იმ ასაკში იყო, როცა ნორმალურად პროფესიონალი მოცეკვავენი ცეკვას თავს ანებებენ. ის კი ოცი წლის ჭაბუკივით მკვირცხლი და მონდომებული იყო. მან მშვენივრად ისწავლა ყველა ქართული ცეკვა, განსაკუთრებით უხდებოდა კინტოური, ჰერნდა კარგი სმენა და შესანიშნავადაც უკრავდა დოლზე. თავისუფალ ღრმის, ქართულ შეკრებებზე უყვარდა ქართული ლხინი, შეზავებული ზომიერი სმით, სადღეგრძელოებით, სიმღერებითა და ცეკვებით. ერთი სიტყვით, სტანკო სიცოცხლით სავსე იყო, მას ყველა უყვარდა და ის ყველას უყვარდა.

სტანკო მამულაშვილი ერთგული და მტკიცე ჯარისკაცი იყო სამშობლოსა და დარჩა სიკვდილამდე, იმედიანი უცდიდა ბეღნიერ მომავალს, მაგრამ მან დაიგვიანა, წლებმა მის კაფივით ორგანიზმზეც გაიმარჯვეს და მშობლიურ მიწის მაგივრად საფრანგეთის მიწამ ჩაიკრა გულში მისი გაცივებული სხეულიც, ხოლო ცად ამაღლებული მისი სული ალბათ თავს დასტრიალებს მის მშობლიურ თბილისს.

გ. წერეთელი

მხატვარ ვ ე რ ა ფ ა ღ ა ვ ა ს გარდაცვალება

წელს 25 მარტს, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა მხატვარი ვერა ფალავა და დასაფლავებული იქმნა ლოგილის სასაფლაოზე. განსვენებული დიდათ ცნობილი იყო პარიზის მხატვართა საზოგადოებაში და მას მიკუთნებული ჰქონდა „საფრანგეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის“ ოფიციალური წოდება. პარიზული პრესა გამოიხმაურა მის სიკვდილს, მაგალითად, დიდი ტირაჟის ფრანგული გაზეთები: „ლე ფიგარო“ (31.III.1988) და „ლე კოტიდიენ“ დე პარი“ (31.III.1988) მწუხარებით აღნიშნავენ: ქართული წარმოშობის მხატვრისა და გრავიურისტის გარდაცვალებას და მისი შემოქმედების მთავარ ეტაპებს.

ვერა ფალავა, 15 - 16 წლის გოგონა, 1923 წელში მშობლებთან

ერთა ჩამოვიდა პარიზში და დასახლდნენ ქ. მონრუ- უში, სადაც მან მთელი სიცოცხლე გაატარა. **1934** წელში ვ. ფაღავა შევიდა რანსონის სამხატვრო აკა- დემიაში და ხელობას ეუ- ლება როე ბისიერის ატე- ლიეში. ათი წლის შემდეგ ვერა აშენდა მისი მხატვ- რობის პირველ გამოფენას უან ბუშეს ცნობილ გალე- რეაში, რასაც წილად ხვ- და დადებითი გამოხმაურე- ბა სამხატვრო წრეებსა და ურნალებში.

ვ. ფაღავა ცნობილი გახ- და აგრეთვე როგორც წიგ-

ნების ილუსტრატორი და ეკლესიათა ფანჯრების მომხატველი.

1948 და **1950** წელებში „დამოუკიდებელთა“ გალერეაში ვერას სურა- თებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს და მრავალი იქნა შეძენილი მუზეუმებისა და კერძო პირების მიერ. ვ. ფაღავას სამხატვრო გა- მარჯვებებში განსაკუთრებით ხაზგასასმელია ქ. დიუონის სენ-ემზე- ფის ეკლესიის ფანჯრების მის მიერ შესრულებული მოხატულობა, რომელსაც შედევრად მიიჩნევენ. იმავე ქალაქის მუზეუმში ვერა ფა- ღავას სურათების გრუელი რეტროსპექტივი მოაწყო **1982** წელში, რომელსაც მოჰყვნენ ქალაქების: ბოვეს, ტრუას და რეიმსის მუზეუ- მების, ქ. მონრუეის კულტურის ცენტრის და სხვათა დიდი გამოფე- ნები. **1985** წელში „ის დე ფრანსის“ რეგიონმა და მისმა კულტურ- ის ფონდმა შეიძინა ვერა ფაღავას სამი სურათი და ბოლოს უნდა ითქვას, რომ მისი სურათები მუდამ იფინებოდა „დარიალის“ გალე- რეაში, პარიზში.

გამოსახოვარ სიტყვაში დიუონის მუზეუმის დირექტორმა დიდი შეფასება მისცა ვერა ფაღავას ტალანტს და სხვათა შორის ბრძანა: ვ. ფაღავას მხატვრობა გამოიჩინა და სულიერებით, ის საკმა- რისად არ იყო დაფასებული სიცოცხლეში და მას უფრო დიდი დი- დება ელის სიკვდილის შემდეგ.



შუაში კათალიკოსი ეფრემი, მის მარცხ- ნივ ნინო სალია და მარჯვნივ ვ. ფაღავა.

*** *** *** ***

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას,
რომ „გუშაგი“ № 14 -ს შემდეგ მარტის თვის ბოლომდე ჩვენი მიზანის
გრაციამ დაჰკარგა შემდეგი პატივცემული აღამიანები:

1987 წ. 11 ნოემბერს პარიზში გარდაიცვალა დავით დავრიშვაშვილი
და დაკრძალული იქნა პირველ დეკემბერს „სენ-ტუანის“ სასაფლაოზე.

გასული წლის **21** დეკემბერს, პარიზში, **87** წლის ასაკში გარდა-
იცვალა ვანო(ვანიჩკა) ასათიანი. დაიკრძალა ლევილში **29** დეკემბერს.

იგივე წლისა და თვის **27**-ში, დასაცლეთ ბერლინში გარდაიცვალა
დავით სიმონის ძე ბერძენიშვილი, დაბადებული **1893** წლის **15** ოქ-
ტომბერს ქუთაისში. დაიკრძალა აღგილობრივად.

ისევ გასული წლის დეკემბრის **30**-ში, ლევილის მეზობელ სოფელში,
88 წლისა, გარდაიცვალა კვირცხის ჩხაიძე. დაიკრძალა ლევილში.

და სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ჭირისუფალთ.

ბერნარ უტიეს კავკასიის ბიბლიოთეკა

ბ-ნ ბ. უტიემ კეთილი ინება და **30** იანვრისათვის, მის მიერ და-
არსებული კავკასიის ბიბლიოთეკის ახალ კადრში გახსნაზე მეც მი-
მიწვია. მიწვევა, მიუხედავად დიდი დასაქმებულობისა, მით უფრო
მივიღე, რომ მამა ილიას, რომელიც იმ დროს უკვე მძიმე ავადმყო-
ფი იყო, სურდა მას დასწრებოდა და ის მარტო ვერ იმგზა-
ვრებდა. მიუხედავად კიდისპირული წვიმისა, დანიშნულ დღეს, მამა
ილიამ, მე და ჩემმა მეუღლემ ავტომობილით გავსწიეთ პატარა სო-
ფელ ლავასაკენ (*Lavau*), პარიზიდან სამხრეთით დაახლოებით **250**
კილომეტრზე. სოფელს მართლაც ლამაზი მდებარეობა აქვს და
ზაფხულში აღბათ თვალშარმტაცი იქნება.

ბ-ნ ბერნარს დიდი ძველი ფერმა შეუძენია, რომლის ბიბლიოთეკ-
ად რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ მთლად დამთავრებული არ არის.
ბ-ნმა ბერნარმა და მისმა მშვენიერმა მეუღლემ დიდი სტუმართმო-
ყვარეობით მიგვიღეს. ქართველები დიდ უმცირესობაში აღმოვჩნდით.
ფრანგებს ისევ სომხები სჭარბობდენ. ურთიერთ გაცნობამ, პურო-

ბამ, საქმეზე სჯა-ბაასმა, ბიბლიოთეკის დათვალიერებამ გუჭოტიშვილი მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა და ზამთრის მოკლე დღეების მასში რა, ჩვენც სტუმრებსა და კეთილ მასპინძლებს დავემშვიდობეთ. სწორედ ამ უკანასკნელ მომენტში შევიტყვე საინტერესო ამბავი: ის მრავალი სკულპტურები, რომლებიც მე მომეტონა, ქალბატონ უტიეს ნახელავი იყო თურმე. ისევ თავსხმა წვიმაში ვიმგზავრეთ პარიზა-მდე, სადაც, ღვთის შეწევნით, მშვიდობით დავგბრუნდით.

კ ო მ უ ნ ი კ ე

1988 წ. 30 იანვარს მოხდა კავკასიის ბიბლიოთეკის გახსნა, მის ახალ კადრში: სოფ. ლავოში, ქ. სოლიოდან ხუთ კილომეტრზე, მორცანისა და ბურგონის პროვინციათა შესაყაჩში, შუა გზაზე ლიონ-სა და პარიზს შორის.

რა არის ეს ცენტრი? როგორც სახელი უჩვენებს, უპირველესად ესაა ბიბლიოთეკა. „სანამ იქნებიან წიგნები, იქნება ადგილი გონების თავისუფლებისათვის და მის განკარგულებაში ყოფინისათვის“ (K. White). როგორც ფრანგების, ისე ქართველებისთვის სიტყვა თავისუფლება შინაარსს მოკლებული არ არის, ის კულტურის ტრადიციების მომდინარეობს.

ეს ბიბლიოთეკა, რომელიც ღოკუმენტების ფონდს წარმოადგენს, ერთადერთია თავის დარგში: პირველად, იმიტომ, რომ ის იშვა კარძო ინიციატივით. ის დაარსდა ბერნარ უტიესაგან 1975 წელში სოლესმის მონასტერში. შემდეგ, ის მოიცავს მთელ კავკასიის და ამრიგად უპირატესობა ეძლევა შემაკავშირებელ ძალებს, ვიდრე გათიშულებისას. და ბოლოს, იმიტომ რომ, ის თავს უყრის მთელი კავკასიის კულტურების შესახებ ნაბეჭდ მასალებს, ხელნაწერების, მოსასმენ, დასანახ და სამუშეულო ღოკუმენტების ჩათვლით.

იგი უკვი საუნივერსიტეტო დონის ბიბლიოთეკაა. მასში თავმოყრილია ექვსი ათას ნაშრომზე მეტი: სომხური, ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპულ ენებზე. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მას შეემატა დაახლოებით ორი ათასი ნაშრომი.

ამ ღოკუმენტაციის ცენტრს სურს აგრეთვე, რომ გახდეს შეხვედრების ცენტრიც: სამეცნიერო საუბრების, კავკასიიდან მოსული მეცნიერების მონაწილეობით, ენების სესიების, ტრადიციული მუსიკის, სიმღერებისა და ცეკვების სტაუირებისა.

ბიბლიოთეკის გახსნა გაგრძელება იყო სორბონში გამართულ სომხ-

ეთ-ბიზანტიის კოლოგისა. დღეიდან უკედაა ცნობილი, რომ ბიზანტიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლა არ შეიძლება გა-გებული იქნეს კავკასიურ მსოფლიოს გარეშე.

ცნობილია აგრეთვე, თუ რა ძნელია სამუშაო ინსტრუმენტების თავმოყრა, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ კავკას-იური მონაცემების შესწავლის დასაწყებად. ამ მიზნით განზრახული გვაქვს ინფორმატიკული კატალოგის შედგენა, რომელიც მინიტე-ლით დაუკავშირდება იმ ფრანგულ ბიბლიოთეკებს, რომელთაც გააჩ-ნიათ მასალები კავკასიის შესახებ.

საფრანგეთს უკვე აქვს ბრწყინვალე და ძველი ტრადიცია კავკასი-ურ ეტიუდების დარგში. კავკასიის ბიბლიოთეკამ ცოცხალი კავშირე-ბი და ურთიერთობა დამყარა, როგორც ქართველ, ისე სომეხ მკგ-ლევარებთან. კავკასიის ბიბლიოთეკის მეგობართა საზოგადოება, რო-მლის აღვილსამყოფელი ლავოშია, მხარს უჭერს ცენტრის მოქმედება-სა და განზრახვებს.

გახსნას დაესწრენ: დრ კ. იუზბაშიანი, სსრკ ლენინგრადის მეც-აკადემიის უფროსი მეცნიერი; არქიპეტრი ილ. მელია, პარიზის ქა-რთული სამრევლოს რექტორი; ექიმი ლავოლ, სოლიოს მერი და ქნი ამას. ლამერის წმ მარტენის მერის მდივანი; ქნი პერატ, ქ. ორნის ბიბლიოთეკის კონსერვატორი; კ. დერ სტეპანიან ფრანგ-სომეხთა სოლიდარობის თავ-რე; დ. დუიმჯიან, კალიფორნიის უნივერსიტეტ-ის სომხური ეტიუდების დირექტორი; გ. წერეთელი, ქართული პერი-ოდული „გუშაგის“ რედაქტორი; გ. ბეგზადიან-ხაჩატურიანი, დრ უ. მ. თიერი.

დაუსწრებლობისათვის ბოდიში მოიხადეს: მონსენიორ კ. ნაკაშია-ნმა, მსრ გ. ლაბრონიანმა, ქ. კიურიმ, რეგიონის წიგნის და კითხვის მჩქეველი; ა. პუარო, დიოცისის ბიბლიოთეკის კონსერვატორი; დრ გ. დადურიან, ცენტრის სომხების კავშირი; ა. მისაკიან, ყოველ-დღიურ „არაჩის“ დირექტორისა; მ. რაზუმიან **CRDA**-ს თავმჯდომარე; ს. აფანასიან, გ. დედეიან, პ. დონაბედიან, ნ. სოიან, ე.-პ. მაჟე, თ. ნასყიდაშვილი, რ. ნიკოლაძე, შ. რენუ, ა. ტერ-მინასიან, პ. ტერ-სარკისიან.

გახსნას ფრანსიურად დაეხმარა გულბეკიანის ფონდი, რომელიც დაწყებიდანვე ამხნევებს კავკასიის ბიბლიოთეკას; სხვათა შორის, ის არ იარსებებდა, როგორიც ის არის, რომ მას არ ექმარებოლენენ თვით კავკასიის ინსტიტუტები: ერევანის მატენადარან, საქართვე-

ლოს მეცნიერებათა აკადემია და განსაკუთრებით მისი ჟურნალები
ბის ინსტიტუტი, *Spirirk, aoks et goks.*

ცენტრმა ახლა უნდა განავითაროს მისი საშუალებები და მოწყობი-
ლებანი, რაც ვერ გაკეთდება მისი მეგობრების დაუხმარებლად.

B. Outtier

*Bibliotheque du Caucase
Lavau st-martin de lamer
21210 SAULIEU*

ბერნარ უტიეს წარდგენა

(ვლიქრობ: ბ-ნ ბ. უტიეს პიროვნება დააინტერესებს მკითხველებს.
გთავაზობთ მის მოკლე ბიოგრაფიას, მოთხრობილს პირველ პირში.)

დავიბადე ბარიზში **4.VII. 1941.**, ღარიბ ოჯახში. კლასიკურ ბა-
კალაგრის შემდეგ (**1959**) შევეღი სალემის (*Salesmes*) მონასტერში,
სადაც ვსწავლობდი ახლო-აღმოსავლეთის ენებს: ბერძნულს, ებრაულს,
სირიულს, სომხურს, ქართულს, კრასიკურ არაბულს, ძველ სლავურს
და განსაკუთრებით დავინტერესდი ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული
ლიტერატურით, კერძოთ, წმ ეფრემ ასურის ნაწერებით, რომლის
ძველი ქართული თარგმანების ძებნისას გავიცანი ქართული ხელნაწე-
რების ინსტიტუტი. **1975** წლიდან დაწყებული შვიდჯერ ვიყავი თბი-
ლისში. იმავე ლროს მე ვმუშაობდი ბევრს ძველ ქართულ ლექციონ-
არებზე და მაქსიმებზე (*Aproph't egle*), მაგრამ ყველაფერი, რაც ქარ-
თულ კულტურას ეხება: ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფოლ-
კლორი, მაინტერესებს.

1985 წელს, როცა შეუძლებელი გახდა, რომ მონასტერში მემუშა-
ვნა ამ დარგში, მე ის დავტოვე და შევიძინე მამული, სადაც გა-
დავიტანე მონასტერში დაწყებული ბიბლიოთეკა კავკასიის.

თავიდან ძველი ქართული მარტო ვისწავლე. მერე, საქართველო-
ში გავიწავე ახალ ქართულში, რომელიც აუცილებელია ჩემი კვლე-
ვებისთვის, რადგან ბევრი მნიშვნელოვანი თხზულება არის გამოქვე-
ყნებული თბილისში.

ქართულის სწავლა რომ დავიწყე, დაახლოებით **1968**-ში, შევხდი
ლევან ზურაბიშვილს. შემდეგ კი გავიგე „ბედი ქართლისას“ არსებო-
ბა. **1972**-ში კ. სალიამ დამპატიუა, თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუ-



ტის დირექტორ ჭ-ნ ელენე მეტრეველთან, რომელიც გავლენაზე მდგრადი ში იმყოფებოდა, შესახევდრად. 1972 წლიდან დავიწყე მრავალი მუნიციპალიტეტის წერა „ბედი ქართლისა“ -სთვის და 1978 წელს ბ-ნმა სალიამ დამნიშნა კრებულის მდივნად.

კავკასიის ბიბლიოთეკის დაარსების იდეა ჩემში მომწიფდა სამოცდაათიან წლებში და ის დავაარსე 1975-ში. საფრანგეთში ლიტერატურა, რომელიც კავკასიას შეეხება, გაფანტულია და ხშირად კატალოგებიც ცუდადაა შედგენილი. საჭირო იყო ფონდის შექმნა ვინმესთან ერთად, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს. იდეა კარგად იქნა მიღებული საქართველოში, საიდანაც ჭევრმა მეგობარმა გამომიგზავნა წიგნები და სადაც იშვიათი მხარდაჭერა მაქვს მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებისაგან. ვფიქრობ, რომ ამჟამად მაქვს 4000 ქართული წიგნი ან ქართულ კულტურას რომ შეეხება.

ს ი ც ხ ა დ ი ს ა თ ვ ი ს

ბ-ნ ბ. უტიეს შორიდან თვალყურს ვადევნებ აგერ ათ წელზე მეტია და მხოლოდ ახლა, კავკასიის ბიბლიოთეკის გახსნაზე, გავიცანი პირადად. მე მასზე კარგი წარმოდგენა მაქვს, ის ნიჭიერი ქართველოლოგია და ქართველების გულწრფელი მეგობარიც. მას, როგორც ქართული ცივილიზაციის მკვლევარს, ესაჭიროებოდა და მომავალშიც დასჭირდება, ურთიერთობა და თანამშრომლობა დაამყაროს საქართველოს სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებთან, ისეთებთან, როგორებიც რეალურად არსებობენ და მას, როგორც უცხოელს, ამის მორალური უფლება აქვს. ჩვენ კი, ე. ი. ეროვნული ემიგრაცია, არ ვცნობთ რა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოზე, ვერც მათ ხელქეთ უწყებებთან ვითანამშრომლებთ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ უტიეს არც შემოუთავაზებია ჩემთვის თანამშრომლობა. ისე კი, თუ კავკასიის ბიბლიოთეკა დარჩება წმინდა სამეცნიერო და კულტურულ ჩარჩოში, ის დიდ სამსახურს გაუწევს საფრანგეთში საქართველოს და, აქედან გამომდინარე, ქართველმა ემიგრანტმაც მას, შეძლებისდა მიხედვით, გარედან უნდა დაეხმაროს.

გ. წერეთელი

ქართული ხელოვნების ტრიუმფი პარიზში



წელს პარიზელი მაყურებლები განსაკუთრებით განებიც მეტად გართ ქართველ ხელოვანთა გასტროლებით. რიგით პირველი იყო და დავიშურო ლენინგრადის კიროვის ბალეტის თეატრით, რომელმაც პარიზის კონკრესების სასახლეში

წარმოადგინა, მხოლოდ ერთხელ,

„ვეფხისტყაოსანი“. თუ ესეც ქართულ ხელოვნების რკალში მოვაჭიერ, ეს იმიტომ, რომ სპექტაკლში დიდი შოთას გარდა ქართველები არიან: მუსიკის ავტორი კომპ. ალექსი მაჭავარიანი, ორკესტრის დირიჟორი კომპ. ვახტანგ მაჭავარიანი და დეკორატორი მხატვარი თეიმურაზ მურვანიძე.

ბ-ნ ოღეგ ვინოვრადოვის დადგმას ბევრ რამეში ვერ დავეთანხმებით, მაგრამ აქ არც ამის ადგილი გვაქვს და ვერც საჭიროებას ვხედავთ. რაც შეეხება მოცავავებს, ისინი პარტი-ებს დიდი სიმღლავრითა და ვირტუო-ზობით ასრულებენ. განსაკუთრებით ხაზგასასმელია თეიმურაზ მურვანიძის ღმერჩეულები და კოსტუმები, რომლებმაც მაყურებელთა და კრიტიკოსთა ერთსულოვანი დიდი მოწონება დაიმსახურეს და ჩვენც ზემოდ ამ გამოჩენილი ქართველი მხატვრის სურათს გთავაზობთ.

რიგით მეორე გახლავთ ვანის რაიონის მომღერალთა გუნდი „სულორი“, რომელიც პარიზელებს წარუდგა, უფრო მოკრძალებულ კადში, „ალიანს ფრანსეზ“-ის კულტურის სახლში, 25 და 31 იანვარს. მაყრულმა, მგზავრულმა, ნანინამ, ჰოკუნამ, სულიკომ და სხვა ხალხურმა სიმღერებმა, თხუთმეტი ჭარმაგი მამაკაცისაგან შესრულებულმა, გულწრფელი მოწონება და ტაში დაიმსახურეს. ქართული სიმღერის ზეიმი ფონეშიც გაგრძელდა, როცა მოსულები და დამხდური ქართველები ერთ ჯგუფად შენივთდა...

მარტის 16-დან მოყოლებული სამი კვირის განმავლობაში კონკრესების სასახლის ვრცელ მუდამ გაჭედილ დარბაზში „ქართული ეროვნული ბალეტის“ სპექტაკლები უწყვეტ მხურვალე ოვაციებით მიმდინარეობდნენ. ეს გახლდათ ჭეშმარიტი გამარჯვება-ზეიმი ქართული



თეიმურაზ მურვანიძე



ქართული ბალეტის ერთი ჯგუფი, შუაში ქნი ნინო რამიშვილი
* * * * *

ეროვნული ცეკვებისა. ჩა კარგია, რომ ანსამბლი, რომელიც აწ განსვენებულმა ილიკო სუხიშვილმა ჩამოაყალიბა, მისი მემკვიდრის ბ-ნ თენიაზის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო დახვეწილა და დახელოვნებულა. „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა“, თუმცა გამარჯვებათა ორგანიზატორი ისევ და ისევ ენერგიული ქნი ნინო რამიშვილია. განსაკუთრებით უნდა აღნიშნოთ ბალეტის სკოლის პატარა შეგირდები, რომელთა ცეკვები მაყურებელთა უსაზღვრო სიხარულსა და აღფრთოვანებას იწვევდენ.

ჩვენს მცირე კორესპონდენციას დაგამთავრებთ, მსოფლიოში უკვე სახელგანთქმულ თბილისის ოპერის მომღერლით ბ-ნ პაატა ბურჭულაძით, რომელსაც პარიზელი მელომანები დღემდე მხოლოდ დისკებით იცნობდნენ, ახლა კი ის მათ წინაშე წარსდგა ძნელ ბორის გოდუნოვის როლში, მუსონრგვის ამავე სახელწოდების ოპერაში. პაატა ბურჭულაძემ პარიზული გამოცდა ბრწყინვალედ დაიქარა. კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მას აქვთ შესანიშნავი იდეალური ბასი, მღერის ზუსტად და როლს დრამატიულად უზადოდ ასრულებს.



პ. ბურჭულაძე ბორის გოდუნოვის როლში.

ჩ 3 2 6 0 ფ 2 6 დ 0 (ფრანკებში)

ანემარი ვაშაძე – ჩემი დაუგიშუარი მეუღლე დაცითის ხსოვნის მიზანის მისამართის მინისტრის მიერთების და გიორგი მორალიშვილი – ძვირფასი მშობლების: ნინას და იასონის მოსახსენებლად –	237	
პეტრე ხვედელიძე – ვანო ასათიანის მოსახსენებლად .	510	
შალვა ცინცაძე – 197 ელზა ცომაია –	250	
მიხეილ თარაშვილი – 300 ნიკო თოფურია –	283	
ფონ სონი – 220 მიშა გოგორიშვილი –	500	
ავთანდილ ფარჯანაძე – 500 თათრახან ანთაძე –	200	
ირაკლი ოთხმეზური – 160 იონა გუნია –	300	
ნიკო ბედელაძე – 100 მიხეილ თარაშვილი –	300	
ვილი შნაიდერი – 237 გივი გაბლიანი –	114	
დიმიტრი მახარაშვილი – 138 ნამეტია გოგუაძე –	100	
აკაკი ბარკალაია – 300 დავით თორაძე –	1.000	
ისარატ ბეგი – 200 შალვა ცინცაძე –	206	
მელიტონ ულენტი – 200 მირიან მელუა –	200	
ანონიმი გ.ფ.რ.-დან	500 სანდრო ფანჩულიძე –	150
მანია ყაველაშვილი – 200 ირინე ბაგრატიონი –	100	
მართა სტურუა – 50 ტატიანა კაჭიაშვილი –	100	
იროდიონ ბეგიაშვილი – 300 ქეთევან ზურაბიშვილი –	200	
ვენერა ხაბულიანი – 200 ილია კუპუხიძე –	850	
პროკოფი ინწკირველი – 300 შალვა ზედგინიძე –	200	

ვ ა მ ო

12. 331

* * *

1987 წლის ანგარიში

გუშაგი №12 .შემოსავალი .. 6.680	გასავალი –	8.416
გუშაგი №13 – „ – „ 6.524	„ – „	9.656
გუშაგი №14 და „ჩვენი		
სატკიცრები“ – შემოსავალი – 9.028	„ - - - „	18.390
1986 წლის ნაშთი – 3.682		

		25.914

		37.462

ამრიგად, სალაროს დანაკლისი 1987 წლის ბოლოს უდრიდა 11.548 ფრანკს.
 გუშაგი უღრმეს მაღლობას სწირავს ყველას, ვინც მას გვერდში უდგას.



შ ი ნ ა ა რ ს ი

- .1 მამა ილია წმ ნინოს ექლესიის საკურთხევლის წინ, 1986 წ.
- .2 წლიური მიმოხილვა რედაქტორი
- .11 ცნობები ქართ. ოპოზიციონერების შესახებ: ვალენტინა ფაილოძე, გურამ გოგბაძე. ბორის კაპუბავა.
- .15 ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და ზეიდ გამსახურდიას მიმართვა მ. გორბაჩივისა და ჯ. პატიაშვილისადმი.
- .23 უკიდურესი ზომა. თ. და ედ. გუდავების წერილი. დემოკრატიზაციის უგუებლობა – გულბათ გულბათიშვილი
- .29 ლექსები (გაზ. „კომუნისტილან“) მიხეილ ქვლივიძე
- .30 კარი II.
- ლექსები – ნოშრევან გალაშვილი
- .33 „მესამე სევერის“ უცნობი ავტორი – ახლობელი
- .35 ნოე ქორდანიას 120 წლისთავი – გიორგი წერეთელი
- .51 ლექსი – გიორგი ტოვონიძე
- .53 თბ. უნივერსიტეტის 70 წლისთავისთვის-ილია კუჭუხიძე
- .57 ლექსები – გივი შაორელი
- .60 ლექსი – ირაკლი იოხმეზური
- .61 გიორგი პაპაშვილი: მწერალი, მოქანდაკე – ლადო ბაბიშვილი
- .66 კიდევ ერთხელ „მონანიებაზე“ – თენგიზ გულავა
- .72 ფიქრები „მონანიებაზე“ – გ. ლუბაშვილი
- .74 ბარათი თურქეთელი ქართველისა ილია ჭავჭავაძეს – ვახტანგ მალაყმაძე
- .77 მამა ილიას გარდაცვალება. განცხადებები. გამოთხოვება მოძღვართან – თამაზ ნასყიდაშვილი
- .81 მამა ილიას ბიოგრაფიული ცნობები და დაკრძალვა
- .84 ნიკო აფხაზის გარდაცვალება
- .85 სტანისლა მამულაშვილის ხსოვნას – გ. წერეთელი
- .86 მხატვარ ვერა ფალავას გარდაცვალება – გიორგი ნოზაძე
- .88 ბ. უტიეს კავკასიის ბიბლიოთეკა – გ. წერეთელი
- .93 ქართველ ხელოვანთა ტრიუმფი პარიზში – ეთერი „გუშაგის“ ფონდი და 1987 წლის ანგარიში

39/3



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE